

ქართველები სპარსეთში



6

ყოლა ამრეზ ხუციშვილი.

ყოლა მუსეინ ანიკაშვილი.

შესამე, დიმატებითი გამოცემა

1904



ერათევლები

სპარსეთი

საქართველოში მოსული

სპარსეთ მართველები

ვ. ჭიჭინაძესა

მესამე, დამატებითი გამოცემა



თბილისი

სრამბა „ძმობისა“, მოსკოვის ქუჩა, № 5.

1907

3722554

ქართველები სპარსეთში.

ქართველი ტომის ერი ერთ დროს საკმარისად იყო გამ-
რავლებული და ოლორძინებული, ამ ტომის ერს კარგა ფარ-
თო აღვილებიც ეჭირა. X საუკუნეში ორივე სქესის რიცხვი
6 მილიონზე მეტი ყოფილა, XI საუკუნეში 7 მილიონი და
XII საუკუნეში 8 მილიონი, მაშინდელი ერთი ცნობა გვაუწ-
ყებს, რომ დავითის სამეფოში ათის თავზედ სალაშქროდ ერ-
თი ქართველი გამოვიდა „და გამოხდა დავითისა სამეფოში
კაცი ოთხასი ათასი“ 1), ამ ცნობიდან სჩანს, რომ ერთ
დროს ქართველობა ოთხ მილიონამდინ ადიოდა, ოთხი მი-
ლიონი მამა კაცი ყოფილა, ამათ თუ მდედრობითი სქესიც
მივუმატეთ და ისიც ერთი ამოდენი ვიანგარიშეთ, მაშინ 8
მილიონზე მეტი თუ არა, ნაკლები მაინც არ გამოვა. XIII
საუკუნის ნახევრიდამ ქართველების რიცხვი კლებას მიეცა,
ჯერ მონგოლების შემოსევამ და მერე ჯვაროსანთ ომში დიდი
ძალი ქართველობა გაწყდა. საქმე ისე წავიდა, რომ XIV საუ-
კუნის დამდეგს ქართველი ხალხი 5 მილიონი-ლა იყო. XV
საუკუნეში 4 მილიონი, ავღან-თურქთა შემოსევამ კვალიდ
შეამცირა. XVI საუკუნეში 3 მილიონი. 1610 წლების შემ-
დეგიდამ ვიდრე 1626 წლებამდის სასტიკად იწყო კლება,
რაღვანაც ოსმალეთმა სამუდამოთ დაიჭირა და ჩამოაცალა ხა-
ქართველოს დასავლეთი საქართველო, საღაც თრ მილიონ-
ზე მეტი ქართველი იქმნებოდა. ეს წართმეული აღვილები ოს-
მალეთმა მიუმატა იმ საქართველოს აღვილებს, რომლებიც
წინეთ წაართო საქართველოს, ე. ი. კარის ქართველთ, ოლ-
თისის, კოლის, ვალაშკერტის, პარხლის, იშხნის და სხვანი.
საქმენი იქამდის მივიდა, რომ XIX საუკუნის დამდეგს, მთელი
საქართველო მილიონ ნახევარს-ლა შეადგენდა... ისტორიულის

1) დავით რექტორის შენიშვნა ვახუშტის გეოგრაფიაზე.

წყაროებით ვიცით, რომ ქართველთ რიცხვის ერთი მიღიონ სული მცხოვრები მარტოდ ახალციხის და ახალქალაქის მაზრაში ყოფილა. ე. ი. მესხეთსა და ჯავახეთში.

ასე და ამ გვარად დაეცა დიდებული ერი, დიდი რიცხვის მექონი ქართველი; ოდესმე თუ ამ ერის სახელი სახელოვნებდა და სკექდა, უკანასკნელ იგი ისე შეიძუსრა ქრისტიანობის გულისთვის, რომ ქედ-მოხრილი მწუხარებით-ლა უმზერდა თვის შთამომავლობათა წირსულს. ქართველ ტომის ხალხის რაოდენობა დღეს ზოგი-ერთათვის გასაკვირველი იქმნება და მასთანავე საეჭვოც, მაგრამ შემდეგი მოსაზრება დაგვარწმუნებს, რომ აქ საეჭვო და გასაკვირველი არაფერი უნდა იყოს; ამა დავაკვირდეთ საქართველოს ძელ სამზღვრებს, რკინის პალოლან დარუბანდამდე, ამ ადგილებში დარჩენილ ძეგლ-შთენთ ნიშნებს და იქიდამ დავიწყო ინგარიში და მოსაზრება, თუნდ ავილოთ მაგალითებრ შემდეგი: განა 1 მილიონს, ან 2 მილიონ ხალხს შეეძლებოდა იმდენი ეკლესიების კეთება, რამდენიც ჩვენს წინაპრებს უკეთებიათ? განა შესაძლებელი იქნებოდა, რომ შეირჩე ერს ეკეთებინა ისეთი ძეგლები და ისიც V საუკუნიდამ X საუკუნემდე, როგორიც არის მცხეთის ტაძარი, ბანა, სიონი, ხახულისა, იშხნისა, გელათის, პარხლის, თფილისის სიონი, სეფარა, ზარზმა, ვარძია და სხვანი, რომელთა მოთვლა აქ საჭირო არ არის. განა ეს ისტორიული ძეგლ შთენთ ნაშთნი ცხადათ არ გვამცნობენ ქართველთ რაოდენობას, სიმძლავრეს და განვითარებას? მაგრამ ჩვენ რა დაგვარწმუნებს და რა დაგვაჯერებს! თვით ჩვენვე ვყოფთ ჩვენ თავს უარს და ვარლვევთ მას, რასაც სხვანი უნდა არღვევლნენ და სცდილობდნენ. სხვანი რაღაზე გავამცუნოთ. ასეა გათახსირებულთ საქმე, მაგრამ ქართველნი ამას არ გრძნობენ. დღესაც კიდევ იმავ გზასა და კვალს ადგანან, რასაც ჩვენი მამა-პაპანი ადგნენ და რამაც დაგვაუძლუნა და მიწასთან გაგვასწორა.

ჩვენი ტომისთვის გარემოებას ხელი რომ მოეწყო და
მისი ბედის ჩარხი უკუღმა არ გადატრიალებულიყო, დღეს
ქართველი ტომის რაცხვი დინის წარმატების გზაზე იქნებო-
და დამდგარი. ძველ ქართველთ კარგად ესმოდათ საქართვე-
ლოს გაძლიერების საჭიროება და მათ სწორედ ამ ჰაზრით
დაიმორჩილეს და გააჭრისტიანეს ლეკები XII საუკუნეში; ამ
აზრითვე დაეპატრონენ გაოხრებულ სომხეთს და ანში გადა-
სახლეს ას ათასზე მეტი ქართველი, რომელთაც სომხეთში
ქართველების ეკკლესიების შენებაც დაიწყეს და ბევრს ალა-
გას ააგეს ძვირფასი ტაძრები. მაგრამ ჩვენდა სამწუხროდ
ქართველთ ასეთმა მისწრაფებამ დიდხანს არ გასტანა, მის
ბედსა და მეცადინეობას დიდი რისხვა და მტერი მოევლინა,
რომელმაც უძლურ ჰყო ძრიელი ქართველი, რომელმაც დას-
ცა და დაამდაბლა ქართველობა, ქართველებში აღმოკვეთა
ერთობისა და წინ-მსელელობის წალილი, ყოველი მოსაზრება
და მიღრეკილება ქართველთა შეპუერჩა, შეაჩერა და მოსპო-
თითქმის ისე, რომ დღეს მრავალთათვის ქართველების რაცხვი
კი არა და, ისიც კი საეჭვოთ ხდება, რომ ვითომც ამ ერს
თავის განვითარებული ყოფა-ცხოვრება, მოქალაქეობა, სამ-
ხედრო ძალოვნება და გამგეობაც კი ოდესმე ჰქონოდეს! ჩვენ
კი ვიტყვით თამამად, რომ ქართველი ხალხი ძველადგანვე
დაადგა დიდის წარმატების გზას; ძველად ქართველი თანა-
ბარნი იყვნენ რომის, ათინის და სხვა ასეთ განათლებულთ
ხალხთა; პირველ დროებში ქართველებშიაც ისე იყო ყველა-
ფერი ალორძინებული როგორც ზემოხსენებულს ხალხში-
გარემოებას რომ ქართველთა წინ მსვლელობისთვის ხელი არ
შეაშილა და ყველა ალორძინებათა ძალნი და სახსარნი მკვა-
დრად დაშენილიყვნენ და ისე წარმართული იყვნენ, რო-
გორც ის წინეთ იყო, დღეს საქართველო თანაბარი სამეფო
და ერი იქნებოდა ევროპის განვითარებულ ერთა და სამეფო-
თა შორის; დღეს საქართველო არც ერთ ევროპის სახელმ-
წიფოს და ხალხს არ ჩამორჩებოდა უკან. განა ამისთვის არ

კმარა გავიხსენოთ ჩვენ V საუკუნის ქართველთ ხუროდ მოძღვრება, მხატვრობა, ცხენთა მკურნალობა, კაცთ ექიმობა, ძველებური მისნობა, ვარსკვლავთ-მრიცხველობა, ქვის-მჭრელობა, ქანდაკი, ხარატნი, ძველთ-ხელოვნური მწერლობა, და თუ გინდ გავიხსენოთ პეტრე ვარაზბაკური, სტეფანე და დავითი V საუკუნეში და პეტრიწანი XII საუკუნეში.

ვინც ამაზედ არ დამერწმუნება, იმან გაიცნოს ჩვენი და უცხო ტომთ ძველთა დროთა ისტორიები და იქიდამ დარწმუნდება ჩვენ ჰეშმარიტებაზე. საქართველო ოდესმე ბელნიერი და სახელოვანი, თავის მომავალს ბელნიერებას ასცდა XIII საუკუნის გასლვიდამ, მისთვის დადგა დიდი ქცევა და ნგრევის ხანა. საქართველოს ასეთი უბედური მხვედრი გამოწვეულ და მოვლენილ იქმნა თათრებთა მეოხებით, უფრო ქრისტიანობის მტრობით. ქრისტიანობის წინეთ ქართველნი დიდად მრავლდებოდნენ, რადგანაც მათ კავკასიის გონათესავე ხალხებთან დაახლოვებული კავშირი ჰქონდათ, ასეთი გამრავლება ქრისტიანობის შემდეგაც იყო, რადგანაც ქართველთ როცა მეფეები ამოუწყდებოდათ, მაშინ იგინი მიმართავდნენ თავიანთ მონათესავეებს ანუ მეზობლებს: სპარსთ, სომებთ და თავიანთ სამეფო ტახტის აღსაღევნათ მათ სთხოვდნენ მეფის შვილსა, ძმას, ბიძას და ან მთავრის შვილსა. ასე იყო და ასევე წავიდოდა ქართველთ საქმე, მაგრამ ამას წინ გადაელობა მაჰმადის გამოჩენა და მაჰმადიანობის გავრცელება. მაჰმადის სარწმუნოების გავრცელების შემსუბურებელთ იწყება. ქრისტეს სჯულის მფარველობისთვის მაჰმადიანთა წინაშე ქართველნი დას დასობით სწყდებოდნენ. ხშირად მტერსა სპობლნენ და ხოცავდნენ, მაგრამ თვითონაც მცირდებოდნენ, რიცხვით მაჰმადიანები. სკარბობლნენ ქართველთ.

მთელ კავკასიის ხალხში მაჰმადიანობას მკვიდრად გაედგა ფეხები და მაჰმადის დროშა დიდის დიდებით გაიშალა. ხაბრალო და ახოვან ქართველებს ხშირად შინ გაწყვეტის გარდა სპარსთ-ოსმალეთშიაც მიერეკებოდნენ და ასახლებდნენ.

ზოგს სადა, ზოგს სადა, ვინც საქართველოში ჩამოდინენ, ისინიც მუდმივ ომში იყვნენ გართულნი და ქრისტიანობის გულისთვის მწარედ ემუქრებოდნენ გარ შემოსეულ მაჰმადიანებს. ერთს ჩვენ უძლურებათ თვით ჩვენი ტომის შვენიერებაც ხდებოდა, რაღვანაც აზის მაჰმადიანთ შავი ხალხი ძრიელ ეტანებოდა ჩვენ ხალხს. ქართველთა შვილებით ამ-შვენებლნენ თვის მოდგმას, ¹⁾ XVII საუკუნეში მთელი სპარსეთი და ოსმალეთი სავსე იყო საქართველოდან წაყვანილ ქართველთა შვილებით. ²⁾ არ მოიძებნებოდა სადმე ვინმე ფაშის ან ბეგის ოჯახი, რომ იქ ერთი და ორი ქართველი ყმაწვილი არ ყოფილიყო დაკავებული. შავნ-შავების და სულთნების პარამხანებიც ხომ ყოველთვის ქართველთ შვილებით იყო სავსე. თვით უკანასკნელ დროს, 1790 წლებშიც კი, პუსეინ ყეინის პარამხანის უფროს გამგეთ საჭურისი თავ. სუმბათაშილი იყო დანიშნული. ქართველ ქალებითაც სავსე იყო ყოველთვის პარამხანა. ასე ეწაფებოდნენ ქართველებს სპარსელინი.

მგონი ყველა ქართველისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ რიცხვ-მრავალ ქართველთა ტომის შვილებთა შთამომავლობით სავსე უნდა იყოს ოსმალ-სპარსეთი, ჩვენი ტომის შვილების რიცხვი იქამდის გამრავლებული იყო ზემოხსენებულს ხალხებში, რომ XVIII საუკუნის ბოლოს აფრიკის მთავარ ფაშათ ქართველ მაჰმადიანთაგანი იყო, ნებაძე. ამ საუკუნეებშიაც ერთ დროის ოსმალეთის შეის ისლამათ სტამბოლში ქართველთაგანი იყო, არტაანელი; მაგრამ დავანებოთ ამცინობებს და საუბარს თავი, გადავიდეთ იმ ცნობებზე, როცა ჩვენი ტომის უკან წევის დღეები დაიწყო; როცა დადგა ქართველთ გარდასახლების და ამოწყვეტის ხანა. ³⁾
„ვეფხვდის ტყაოსანში“ მოხსენებულ ჯალალედინ შვილის ხვარაზმ შავის შემოსევიდან იწყება ჩვენი შემცირება ჯილა-

1) საქართველო, დ. ბაქრაძისა, თბილისი, 1872 წ.

2) პიეტრო დელავალის მოხსენება რომში 1624 წ.

ლედინა სპარსეთში გადასახლა 15,000 ქართველი; მეორე შემოსევის დროს გადასახლა 10,000 ქართველი, ზოგი ამათგანი მოქცეულ იქმნებოთ თავიანთ მაშულში, რადგანაც შაჰი გზაში მოჰკვდებოს. მრისხანე მტერმა ეს ქართველნი ისე მოაცალა საქართველოს, რომ უმეტესთ შემდეგ თავიანთი სამშობლო თვალითაც აღარ უნახავთ. ლანგ თემურმა წაიყვანა და ამოსწყვიტა 180 ათაიქართველი, უმეტეს იხალ გაზღა გოგო-ბიჭები, თანვე წაილო მრავალი ქართული ხელო-ნაწერი წიგნები; წიგნების უმეტესი ნაწილი პერგამენტზე ნაწერები, დღევანდლამდე ინახება სამარყანდის ერთ ციხეში; ეს წიგნები სომხის მოგზაურებსაც უნახავთ. იქიდამ ამ წიგნების გამოტანისთვის მათ წყევლა ჰქონიათ დადებული 1), შაჰი ისმაილის და იაყუბ ყაენისაგან გადასახლებულთ რიცხვი 25,000 ქართველზე მეტია, უმეტესი სამხრეთ და ჯავახეთის საქართველოს ქართელნი, რომელ მხარესაც დღეს სამხრეთის მაგიერ „სომხეთი“ ეწოდება. შაჰითამაზმა გადასახლა 50,000 ქართველი და ხვარასანში დასახლა; ამ დროს აოხრდნენ ფიტარეტი, ტანძია, ბოლნისი, დმანისი და სხვანი. შაჰიბაზმა გადასახლა ზოგის თქმით, 80 ათასი, ზოგის 120 და ზოგის თქმით 100 ათასი ზედ მიწვნით კი 80 ათასი კომლი უნდა ვიგულისხმოთ, 2), რადგანაც ამ დროს აოხრდა, საინგილო, ივრის-ხეობა, ქიზიყი, ვარდთა-ნაშენი, ვართაშენი და დღეს ნახევარ კახეთი. ამ ქართველთა უმეტესი ნაწილი ამოწყდა სპარსეთში, რადგანაც სპარსეთში ამათვან ცხენოსანთ ჯარი შეადგინეს, საღაც 30,000 სული ითვლებოდა ქართველთა და რომელნიც აქა-იქ სპარსთა მტრების წინაშე ბრძოლაში გაწყდნენ. აზანმა გადასახლა 5,000 ქართველი და ესენი გილანში დასახლა. იქ უევანდლამდი დარჩნენ ესენი და 1840 წლებამდე აქ ესენი კართულად ლაპარაკობდენ 3), სელიმ ხანმა წაიყვანა 20,000

1) საქართველოს აოხრება. შედგენილი XVII საუკ I883 წ. თბილის.

2) ბრძოლა საქართ. მოსპობაზე, ა. ფურცელაძისა. თბილისი 1993 წ.

3) ნამბობი სპარსეთში ყოფილის სალამბეგოვის მიერ.

ქართველი, ფეიქარ ხანმა გადაასახლა 30,000 ქართველი, ამათ
მაგიერ თათრები დასახლეს, უსეინ ყეინის დროს წაყვანილ
იქმნა 3,000 ქართველი. შაჰ-ნადირმა წაიყვანა 5,000 ქარ-
თველი, უზუნ-ხანმა წაიყვანა 3,000 ქართველი, მირვეისმაც
გადაასახლა. გადასახლებულთ ცნობა არ სჩანს; კონსტანტი-
ნეს მძევლობის დროს 100 კაცზე მეტი იქმნა წაყვანილი,
ლეონ ირანთა მსაჯულის დროს 200 კაცი, ირაკლი ნაზარალ-
ხანის დროს 100 კაცზე მეტი; დიმიტრი თავდადებულის
დროს 500 კაცზე მეტი, ბევრი ამათგანი ურუშიისაკენ იქმნენ
დასახლებულნი. 1795 წელს წაყვანილ იქმნა 20,000 კაცი,
ვახტანგ მეექვსესაც 100 კაცი წაჲყვა, ერეკლე მეორეს დროს
300 კაცის გამოჩენილ მხედარნი, ამათ უმეტესი ნაწილი
ავლანისტანში გაწყდნენ.

ჩვენ აქ მოვიყვანეთ მხელოდ სპარსეთში გადასახლებულ
შეირე რიცხვი, ჩვენის მიხვედრით და ისტორიულის ცნობე-
ბის ცოდნით თუ რიგიანათ დავადექით საქმეს და მკაცრათ
გავარკვიეთ ჩვენი ისტორიის ცნობები, მაშინ ჩვენ ამაზე მეტ
რიცხვსაც დავინახავთ გადასახლებულთ, ამათ ცხოვრებისკვალსა
და ცნობებს კი ვერ ვპოვებთ, მრავალნი ისე გადუსახლებიათ
და ისე დაღუპულან თავიან სამშობლოსთვის, რომ მათ შესა-
ხებ არსად ხსოვნაც არ დარჩენილა. ოსმალეთმაც საკმარისად
იჯერა გული; 1580 წ. შემდეგ დაუწყო გადასახლება კარის
(ყარსი) ქართველთ, არტაანის, (არდაგანის) ოლთისის, ჭანეთის
პირამდე და მრავალთა სხვა ადგილების, რომლებიც არ თათრ-
დებოდნენ. ოსმალთაგან გადასახლებულთ რიცხვი სულ რომ
ცოტა ვსოქვათ 1670—1852 წლებამდის 1,600,000 სულზე
მეტი ქართველი გადაუსახლებია, ქურთისტანში და ეგვიპტეში,
ასეთს შორს ქვეყნებში დაუსახლებიათ; ამათ ალაგას, სა-
ქართველოში კი სხვებს ასახლებდნენ, როგორც მაგალითებრ
ახალკიხის მხარესთან, საქართველოს სამზღვრებზე. 1878
წლის შემდეგ ისმალოს საქართველოდამ 200,000 სულზე
მეტი გადასახლდა. 30,000 მაკახლიდამ; 20,000 სული ქო-

მულეთიდამ, 20,000 სული ლივანიდამ; ამდენივე ქვედა და ზედა აკარიდგან. აგრეთვე სხვა და სხვა აღგილებიდან, რომელთა რიცხვი მთლად 200,000 სულზე მეტი იქმნება; ესენი სახლობენ სტამბოლს, ტრაპიზონ, ჩარშამბას, სინოპს, ესკიტრაპიზონის, ტრიპოლი, უნის, ორდეს და სხვაგან *) სპარსეთს და ოსმალეთს გარდა ქართველნი თავიანთ ნებით რუსეთშიაც გადასახლდნენ, 1640—1820 წლებამდე სტავროპოლისკენ, მოზღვეს, ყიზლიარს და სხვა აღგილებში 10,000 სულზე მეტი იქნება გადასახლებული, უმეტეს მებატონეთა ყმანი დევნულობის გამო. ამათ შთამომავალნი დღევანდლამდე სტავროპენ თერგისკენ, მოზღვეს, ყიზლიარს, სტავროპოლს და სხვაგან. ზოგმა მათგანმა შეინახა სამშობლო ენა. ბევრნი ხივაშიაც ყოფილან ძელთავე გადასახლებულნი და თვით ქალაქი ახალ-თექაც ქართველთაგან ყოფილა გაშენებული, თექელებში, რომ ძველად ქართველნი ყოფილან და ესენი დიდათ გამრავლებულიც ამას ისიც მოწმობს, რომ დღევანდლამდე თექელებში ბევრს ახსოვთ, რომ ისინი ქართველთ შთამომავალნი არიან; ესენი ამაზე უკელვან ლაპარაკობენ. ვახტანგ მეფემ რუსეთში გადაყივანა 2,000 ქართველი, ამათ უმეტესი ნაწილი რუსეთში დარჩნენ. დაღისტანშიაც შრავალნი ყოფილან წაყვანილნი ძალადობით, ნამეტურ მებატონეთაგან ტაცვით, პარვით და სხვანი. ესენი დაღესტანში ლეკდგბოდნენ, რომ მით თავი ეხსნათ ტანჯვისაგან. შუა გულ სომხეთშიაც შრავალნი ყოფილან წაყვანილნი და თუ თავის ნებით გაქცეულნი. რაფის სიტყით: ერთ ქართველს თავადს ქალალდის თამაშობაში 150 კომლი ქართველი წაუგია, ეს მოუგია ერთ მდიდარ სომებს, ამ სომებს ეს ხალხი შუაგულ სომხეთში გადაუსახლებია და ერთ სოფელში დაუსახლებია. დღეს ესენი მთლათ გასომხებულნი არიან. სარწმუნოებით გასომხებულნისა ქართველობიაც ბევრნი არიან, გაბერძნებულნი იყრუსალიმისკენ, ჯვარის მონასტრის ყმანი, ძველადვე გადა-

*) ქართველები ოსმალეთში — ჩემი დაუბეჭდავი წერილი.

სახლებილნი ზ. საუკუნეში და რუსეთში XVIII საუკ. გადა-
სულნი სარწმუნოებით და ენით სრულიად გადაგვარებულნი.

ჩვენი ცნობების შესავსებლათ საჭიროთ მიგვაჩნია მოვიყ-
ვანოთ შემდეგი ცნობაც ქართველთ ემიგრაციის შესახებ,
რომელიც დ. ბაქრაძეს მოჰყავს თავის წერილში.

შაპაბაზის ომში დაიხოცა 70 ათასი ქართველი. ტყვეთ
წაიყვანა 100 ათასი ქართველი. ესენი მათ დაუსახლებიათ
მაზანდარანს, ფარსისტანს, მიდიას და სომხეთს. 1562 წ.
შაპთამას წაიყვანია ტყვეთ 30,000 ათასი ქართველი. ყველა
ესენი სპარსეთის სხვა ლა სხვა აღგილებში დაუფანტავს XVII
საუკ. შემდეგ ოსმალთა ომში ქართველთაგან დახოცილ იქმ-
ნა 75,000 ათასი სული, 1500 კომლი ტყვეთ პურობილი,
შუაგულ ასმალეთს გარდასახლეს, რომელ ოჯახთა რიცხვი
15 ათას სულზედ მეტი იქნებოდა. იმავ დროს ანუ XVII
საუკ. დამდეგს სპარსეთში გარდასახლეს 800 კომლი, რო-
მელთა წევრთა რიცხვი 8000 სულზედ მეტი იყო. ზემო
ქართლის ავალიშვილების საყმოდამ წაიყვანეს 5000 სული.
საცოციონოდამ 500 კომლი, რომელთა წევრთა რიცხვი 4000
სული იქნებოდა. ქსნის საერისთავოდან 1,000 სული. აღსა-
ნიშნავია, რომ მაშინდელი ოჯახის წევრთა რიცხვი 10—15
სულისაგან შესდგებოდა და არა ისე ეს როგორც დღეს არის.
ამიტომ ჩვენც აქ ასე მოვიყვანეთ.

აი ამან შეამცირა ქართველთა რიცხვი საქართველოში
ამან გახადა დღეს საეჭვოთ ჩვენთვის ისიც კი, რომ ვითომუ
ქართველნი ოდესმე 3 მილიონიც კი არ ყოფილან. გადასახ-
ლებულთ ქართველთ გარდა კარგად მიაღევნეთ თვალ-ყური
სხვა და სხვა საუკუნოების ომებში დახოცილ ქართველთ
რიცხვს და მაშინ თქვენ ცხადად დარწმუნდებით, რომ ქარ-
თველნი XI, XII, XIII, საუკუნოებში 8 მილიონზე მეტიც
უნდა ყოფილიყვნენ ორივე სქესისა. უცხო ქვეყნისკენ წაყ-
ვანილებში სშირად თვით მეფენი და მეფის ძენიც ერივნენ,
თავადნი, მთავარნი, მათი კოლები და შვილები, ამათ გარდა

ერივნენ სასულიერო პირნიც, თვით მღვდელ-მთავარნიც და
ბერების რიცხვიც ხომ ყოველთვის მრავალი იყო. ხშირად
ერივნენ მწიგნობარ ქართველნი და მწერალნიც, და როცა
ესენი მიღიოდნენ სპარსეთში, მაშინ ამათ თან მიჰკონდათ
მრავალად ქართული ხელთ-ნაწერი წიგნები და სხვა და სხვა
ძველი ნივთები, რაღაც მათ საქართველოში დაბრუნების
იმედი აღარ ჰქონდათ. ესენი შთებოდნ ენ სპარსეთში, რამდე-
ნიმე ხნის შემდეგ იგინი ძალ-დატანებით მაჰმადიანობას უერ-
თდებოდნ ენ და უკანასკნელ, სიბერეში შესულნი იხოცებოდ-
ნ კიდეც, ამათ რჩებოდათ იქ შთამომავლობა, და ესენი
ძველს წიგნებს და ნივთებს უანდერძებლნ ხოლო რომ მათ
შაენახათ ფაქიზათ და არ დაეკარგნათ; ესენი აუწყებდნ ენ
შვილებს, რომ ჩვენ თუმცა გავთათრდით და ეს წიგნები და
ნივთები ჩვენთვის საჭირო არ არის, მაგრამ როგორც ჩვენი
მამა-პაპის საკუთრება, ამიტომ გთხოვთ, რომ ესენი ხელ-უხ-
ლებლად შეინახოთ. ასე უბედურთ და სამშობლოსაგან მოწ-
ყეტილ ქართველთაგან სპარსეთში დიდი ძალი წიგნები და
ნივთებია წალებული. 1879 წელს, თბილისში თეირანიდან მო-
ვიდნ ენ სპარსთა მეწიგნენი, ამათ თან მოიტანეს ბევრი სპარ-
სული წიგნები, და ამ წიგნებით შორის მოიტანეს რამდენიმე
ძველი ქართული ხელთ-ნაწერი წიგნები, რომლებიც აქ დაჰ-
ყიდეს; ყველა ხელთ-ნაწერი წიგნები სპარსეთში იყვნენ ნა-
წერი, სამთელ გავლებულს ქალალდზე, სრულიად სპარსთა
წესით. სპარსეთში ნაწერი ქართული ასოები დიდათ განირ-
ჩევა საქართველოში ნაწერი ანბანისაგან.

სპარსეთში დიდი ძალი ქართველობა სკოლობდა და
ამ დიდ რიცხვს იქ დიდი ბინადრობაც ჰქონდა გამართული.
უნდა ითქვას, რომ იქ მცხოვრებ ქართველნი ხშირდ მწიგ-
ნობრობდნ ენ კიდეც და სწერდნ ენ სხვა და სხვა ისტორიულ
წერილებსა, რომლებშიც ქება-დიდებით და ცრემლებით მოიხ-
სენ ებლნ ენ თვის ამბებს, სამშობლოსაგან მოშორებას, ობებს,
გაჭირვებას, თავ-გადასავალს, ქართველთ მეფეთა ამბებს და

ბევრს კიდევ სხვა ცნობებს- ასეთ ცნობებს გარდა ესენი სწერდნენ ლექსებს, სთარგმნიდნენ სპარსულ ზე-ხასიათის ზღაპრულ მოთხრობებს, სამეცნიერო და ხაექიმო წერილებს და ამ წიგნებიდამ ზოგს საქართველოშიც ჰგზავნიდნენ ხოლ-მე და ზოგს იქ იტოვებდნენ; შთამომავლობისაგან ეს წერი-ლები შთამომავლობას გარდაეცემოდა სუფთად, ყველა ჩვენი გამოჩენილი მთარგმნელები სპარსეთშიც ყოფილან, იქ აღზ-რდილან, ზოგნიც კი იქ დაბალებულან და იქ შეუსწავლიათ მწიგნობრობა; ვახტანგ მეფემ „ქილილა და მანის“ თარგმნა სპარსეთში დაიწო ერთ იქ მყოფ სომხის დახმარებით, რო-მელმაც ქართული საკმარისად იცოდა. ხოსრო თურმანიძემაც იქ დაიწყო „როსტომიანის“ თარგმნა. დოუთხანმაც სპარსეთში სთარამნა შარიე ზადეს „მუნთანაფი-შია“ ანუ „კარაბალინი“, ბევრმა კიდევ სხვა ძველმა მწერლებმა იმუშაკეს იქ; ამას მოწ-მობენ თვით მათი ნაწერები. XVIII საუკუნის გასულს, მთე-ლი სპარსეთი სავსე იყო ქართული ძველი ხელო-ნაწერი სა-გკლესიო წიგნებით, ხატებით და ჯვრებით; საეკლესიო ძველი ნივთებით, რომლებიც ქართველთ სამლელელო პირთ საქარ-თველოდან იქ მიჰქონდათ თავიანთ გარდასახლების დროს. ქართველნი სპარსეთში ტყვეთ-პყრობილნი და წაყვანილნი დიდათ მაგრობდნენ სჯულის გამოცვლის და ხშირად ამის-თვის ეწამებონ ენ კიდეც, ბევრს წამებას და ტანჯვას იტანდ-ნენ ხოლმე, მაგრამ სამუდაროთ სჯულზე კი მტკიცედ მაინც არ რჩებოდნენ, რადგანაც მუდმივ ბრძოლა და ტანჯვა სჯუ-ლის გამო ერთობ ბეზრდებოდათ და უჭირდებოდათ, ბევრ ქართველთ კი გადაირჩინეს თავი გათათრებას მით, რომ ზოგ ამათგანმა თავის თავი სომხის სარწმუნოების მექონეთ აღიარა, ზოგმა აისორის და ზოგმა კათოლიკის. ამ სარწმუნოების მე-ქონ ქართველთ სპარსი ხმას არ სცემდენენ. მიზეზი ამისა ჩვენთვის ცხად არს: ეს ოსმალ-სპარსთა ბარბაროსული პო-ლიტიკა იყო.

სპარსეთი ძველადგანვე სავსე იყო სომხებით, აისორებით,

შერძნებით და XII საუკუნეში იქ გაჩნდნენ კათოლიკეთა ყველა ორდენის მამებიც; ამათ იქ დაიწყეს ექიმობა, ხსნიდნენ სასწავლებლებს და ქრისტიან აისორ ხალხში კათოლიკობას აკრცელებდნენ. სპარსეთში მოსულნი თუ ტყვეობით წაყვანილნი ქართველნი ყოველთვის ამ ქრისტიან ხალხს შეეჯლებოდნენ და ხშირად მრავალნი ქართველნიც უერთდებოდნენ კათოლიკობას, სომხობას და ნესტორიანობას. ქართველებს თუ რამ გააჩნდათ ქრისტიანობის წიგნები, ან სხვა რამ ნივთები, სულ ამ ქრისტიანთ ერთა ეკკლესიებში მიჰქონდათ შესაწირავად და შესანახად. დღესაც თურმე სპარსეთში ძრიელ ბევრს ეკკლესიებში ნახავთ ქართულ ძველს წიგნებს, ხატებს და სხვა ნივთებს, რომლებსაც იქაური ქრისტიანები დიდის პატივით ეპურობიან და ფაქიზათ ინახავენ.

სპარსეთში ქრისტიანათ დაშთენილთ ქართველთა დაპკარგებ თავიაანთი დედა-ენა, ვინც სომხად ალიარა თავი, ის გასომხდა, ვინც კათოლიკეთ, იმათგანმა ზოგმა სომხური ენა შეითვისა, ზოგმაც აისორული, უმეტესი ნაწილი გათათრდა და ენა დაივიწყა. წინეთ ქრისტიანად დარჩენილ ქართველთ გარდა, სომხის, ფრანგის და აისორების ეკკლესიებში ხანდისხან გათათრებული ქართველებიც დადიოდნენ; ესენი დიდის პატივით ეპურობოდნენ საეკლესიო საქმეებს და სახლებში თუ რამ გააჩნდათ, ხატები ან წიგნები, სიკვდილის შემდეგ ყველა ამაებს ეკკლესიებში აწყობდნენ, სხვაგან სად რას წაიღებდნენ. სომხის, კათოლიკის და აისორების ეკკლესიების გალავნები ძეგლად სავსე ყოფილა ქართველთა საფლავებითა. რაფის სიტყვით ალექსანდრე ბატონიშვილიც თავრიზისის სომებთა ეკკლესიის კარებშია დასაფლავებული 1). ურუმიაში ძველად ქართველების რიცხვი დიდი ყოფილა, თვით ალექსანდრე ბატონიშვილიც იქ იმყოფებოდა და აისორთა მღვდელ-მთავრის მარშიმონს (მამა სვიმონს) ემეგობრებოდა, მის ნათესავ ქალს ირთავდა. ბრიტანიის ერთმა მქადაგებელმა შამშა იშობ გარდა 1) სახსოვარი, კამოცემა ჩემი, 1882 წ. ტფილისს.

მომცა, რომ მე თვით მოვესწარ ქართველ მოხუცებულ ქალებს, რომლებიც ურუმიაში სცხოვრობდნენთ, ისინი და იმათ დედ-მამა ამ საუკუნის პირველ წლებში ურუმელთ დაეხსნათ სპარსთა ხელიდან და შინ მოეყვანათ. მოხუცებულებისაგან გამიგონია, რომ ძველ დროში სპარსეთში ქართველები ხშირად მოჰყვანდათ ტყვეთა და ამ ქართველთაგანი ხშირად იფარავდნენ ქრისტიანობას აისორთა დახმარებით და ბოლოს აისორთა უკკლესიაც უერთდებოდნენ. სპარსეთის ქრისტიანთ ეკკლესიებში კაცი ბევრს ნიშნებს და განძებს ნახავს ქართველთა ერისასათ. სპარსეთში ქართველობა და ქართული ენა უკელვან მოისპო. დარჩა მხოლოდ იმ აღგილებსა და სოფულელებში, სადაც მხოლოდ ქართველნი ესახლნენ. და მათ სპარსებთან მისვლა-მოსვლა ხშირად არ ჰქონიათო: ასეთი აღგილები და ქართველნი ერთობ მცირება და თუ საღმე ქართველნი არიან დაშენილნი, ისინიც სულ გათათრებულნი არიან შიის სარწმუნოებითათ. მე არ მაქვს იმედი, რომ 100 წლის განმამავლობაში ამათაც არ დაჰყარგონ ქართული ენათ. ჩვენ ვცადეთ მათში მოგზაურობა და გაჭრისტიანებაზე ლაპარაკი, მაგრამ ვერა გავაგონეთრათ. თავის დროს ამ ქართველთა შესახებ ბრიტანიის სამქადაგებლო საზოგადოებას ჩვენ მოხსენებაც გაუგზავნეთო, მაგრამ არაფერი მოხერხდათ.

დროის განმავლობის მეოხებით სპარსეთში ქართველებმა დაჰყარკეს თავიანთი ვინაობა და გარდასახლებას ამბებიც; გათათრებულ ქართველთ შეითვისეს სპარსული ენა და ქრისტიანედ დარჩენილების ზოგმა სომხური, ზოგმა სპარსული. როგორც ესენი დაიკარგნენ თავიანთ ქვეყნისთვის და დაივიწყეს მათ საქრთველო, ქართველი ხალხი და ხსოვნა, აგრეთვე ჩვენ მოგვივიდა და ჩვენც მიგვავიწყდნენ იგინი, მიგვავიწყდნენ მიტომ, რაღვანაც მათ შესახებ ჩვენი ძველი ისტორია სულ მცირედ გარდმოგვცემს; მთელი „ქართლის ცხოვრება“ ცარიელია ამის შესახებ ცნობებით და თუ არის საღმე რამ

მოხსენებული, ისიც ორი სამი სიტყვით ასე: „შეაბაზი მოვიდა, კახეთი აჭერა და სპარსეთში გადასახლა“ ეს არის, მორჩი, მოისვენა, ამით გათავდა საქმე: საკვირველია, ნერა ისეთი დიდი შემთხვევები, როგორიც იყო ქართველთა გადასახლება სპარსეთში, ქართველთა მეისტორეითათვის რად იყო უმნიშვნელო და ისე დამცირებული, რომ ასეთს დიდს შემთხვევებზე ისე მცირეთ გარდმოგვცემენ: „აპყარა და წაიყვანა“ ეს არის „ქართლის ცხოვრების“ ცნობა. ჩვენის გარდასახლების და სპარსეთში მცხოვრებ ქართველია მდგომარეობის და დაღუპვის შესახებ ისევ უცხო მწერლები უფრო მეტს ცნობებს გარდმოგვცემენ, ვიდრე ჩვენები; მაგალითად: ლათინთ მოძღვარნი და სომეხნი. ამაღგან გარდმოცემული ცნობები რომ არ გვქონდეს, მაშინ ჩვენ სპარსეთში წინათ ყოფილ ქართველთა შესახებ სულ არათერი გვეცოდინებოდა. მაგრამ ქართველნი რაში არა ვართ მივიწყებულნი და უკან ჩამორჩომილნი. სპარსეთში გადასახლებულ და დაღუპულ ქართველთა ცხოვრებაზე ცოდნა კი არა, თვით ჩვენს გვერდით, ჩვენს სამშობლო სამცხე-სათაბაგოში მცხოვრებთ ქართველთ მაჰმადიანთ ცხოვრებასაც არ ვიცნობთ, თვით ჩვენს მთიულებს, ფშავ-ხევსურთ, საინგილოს, სამეგრელოს, სვანეთს, აფხაზეთს, ჯავახეთს და აბა მარანდაში, ქირმანში, თავრიზში, ხოროსანში და სხვა დაშორებულ ადგილებში მცხოვრებთ ქართველთა შესახებ რაღა უნდა ვიცოდეთ.

ასე და ამ გვარად, ასე წაგვივიდა ჩვენ საქმე და ოდესა მე დიდებულნი ისე დავუძლურდით, რომ უკანასკნელ ჩვენი არსებობის საქმეც კი საეჭვოთ შეიქმნა თვით ჩვენთვის; ისე საეჭვოთ, რომ ამ რამდენისამე წლის წინეთ ქართველ კაცისთვის რომ გეთქვა: სპარსეთში ოდესმე ქართველნი სცხოვრობდნენო, ის მაშინათვე ეჭვით შემოგხედავდა და გაჰკვირდებოდა. ბევრნი ასეც იტყოდნენ ხოლმე.

შე კაი კაცო, ქართველები საქართველოშიაც აღარ სცხოვრობენ და იქ რამ წაიყვანა, იქ რა აცხოვრებთო?!

იცის მიზეზი ქართველთა საქართველოში შემცირებისა, რომ
სწორეთ ის გახდა ამის საფუძვლად და ძალად, რომ ქართველს
საქართველოს გლეჯავლნენ და უცხო ქვეყნებში მიერეკებოდ-
ნენ საცხოვრებლად, ვიტყვით იმასაც, რომ სპარსეთში
მრავალ დაკარგულ და დაღუპულ ქართველთა გარდა აქვთ იქ
დარჩენილიან ისეთი ქართველნიც, რომელნიც თუმც გათათ-
რებულან სარწმუნოებით, მაგრამ ქართული ენა და საქარ-
თველოს ხსოვნა კი მაინც არ დაუკარგიათ. ამათ თავიანთის
ენით ჩვენ დრომდის მოულწევიათ. ამის შესახებ ჩვენ აქედამ
დავიწყებთ.

ჩვენდა მოულოდნელად და საკვირველოდ, 1871 წელს
თბილისში მოვიდა სპარსეთიდამ, ერთი სპარსელი ქართველ-
თაგანი, სახელად ათამ თნიკაშვილი, ქართულს ენაზე
წმინდად მოსაუბრე, არაბულის წერა-კიოხვის მცოდნე, აგ-
რეთვე სპარსელის და სხვა აღმოსავლეთის ენებისა. სპარ-
სეთში დაბადებული და აღჭრდილი. მის წინაპარ ქართველნიც
სპარსეთში დაბადებულან, აღზრდილან და იქვე დახოცილიან,
მაგრამ თავიანთ სამშობლო ენა არ დაუკარგავთ და მცოდნე
საქართველოს ხსოვნაც ჰქონიათ; საჭიროველოს და ქართველ
ხალხის შესახებ თურმე ზღაპრებსაც ლაპარაკობენ. ესენი
ხშირად ნახვენ ხოლმე აქა იქ სპარსეთში მცხოვრებ სომ-
ხებს და მათ საქართველოს შესახებ ამბებს ჰკითხავენ, თუ
ვინმე რამეს იტყვის, იმას სულ განაბული ისმენენ. მაგრამ
საუბედუროდ სომხებში ხშირად ვერ ნახვენ ისეთს ჰირებს,
რომ მათ საქართველოზე რამე ცნობები იცოდნენ. ათარ
ონიკაშვილი იყო სპარსელ ქართველთ ერთი შეძლებულ ოჯა-
ხის შეილოთაგანი. ამას თავიანთ ოჯახში ხშირად შეუტყვია
ხოლმე თავის შშობლებისაგან, რომ ჩვენ ქართველები ვართ,
ჩვენი ქვეყანა საქართველოა, ჩვენ აქ ძილად ვართ მოყვინი-
ლნიო. ჩვენი ძვლები იტყოდნენ ანდაზად ხოლმეო, რომ
აეგები ეცალოთ შინისაკენ დაბრუნებასაო, ბევრი კაცი და

დედაკაცი სულ ამას გვავედრიღნენ, რომ ეცადეთ აქ არ დარჩეთ და საქართველოში დაბრუნდეთო“.

იტყოდნენ თურმეო, რომ მოხუცებულნი ცხარედ სტი-როდნენო, რანდენჯერაც გაიგონებდნენ საქართველოს, იმდენ-ჯერ წუხილს და ნატვრას დაიწყებდნენო, რომ ნეტა საქარ-თველო გვაჩვენა, ნეტა ჩვენ აქ ვინ გადმოგვასახლა. ჩვენს ცოდვაში ვინ ჩადგა, რას გვემართლებოდნენ, რომ ჩვენს ძმებს დაგვაშორეს და აქ მოგვიყვანეს; ყველა ამბობს თურმე, რომ ჩვენ აქ შაჰბაზმა მოგვიყვანაო. შაჰბაზი მათში სახელოვნებს, საქართველოს საქმეების დამამცირებლად მხო-ლოდ ამას აღიარებენო. სპარსელ ქართველ მოხუცებულთა ღაპარაკს პატარა ათამ ონიკაშვილი ყოველთვის სიამოვნებით ისმენდა და ამას ძრიელ უყვარდა საქართველოს ძველებული ამბების გაგება. ყოველი ამბავი ამას ცხადად ამახსოვდებოდა და შემდეგ ამ ამბებს თავის ტოლს მეგობრებს უამბობდა ხოლმე, რამდენიმე ხნის შემდეგ ათამ ონიკაშვილი მისცეს თავიანთ სოფლის მარტყოფის სასწავლებელში შეგირდათ. სასწავლებელი აღრიდგანვე დაუარსებიათ მარტყოფში, სპარ-სებს ამ სასწავლებლის მეოხებით გაუკარცელებიათ ქართველებში სპარსული ენა. ამ სასწავლებელში ათამა რამდენიმე წელიწადს დარჩა, აქ შეისწავლა არაბული ანბანი, სპარსული ენა, საჭი-რო საკითხავი ლოცვები და უკანასკნელ როცა მოლონიერდა, სკოლიდან გავიდა. 20 წლის ვაჟკაცი იქნებოდა, რომ მარტ-ყოფილან თეირანში გადასახლდა და იქ საქმეს ეძებდა. ამან იპოვა ერთი ინგლისელი ინჟინერი, რომელთანაც მოსამსახუ-რედ დადგა. ამ ინგლისელთან ათამ ონიკაშვილი ჩინებული ასრულებდა თავის მოვალეობას. ინჟინერი გაკვირვებული იყო მასზე, რომ მე ასეთი ჩინებული ბიჭი ვიშოვნეო სპარსეთში, წერა-კითხვის მცოდნე, მასთან გონებიანი და თანაბარი ევრო-პიელ მოსამსახურებისა, ინჟინერმა სპარსული ენა იცოდა. ამან ათამ ონიკაშვილს თავის ვინაობა ჰკითხა, ამანაც ყველა-ფერი უამბო: ინჟინერი გაკვირდა, ამან სთქვა: კიდეც მიტომ

გამოვიდა ასეთიო, რომ ეს სპარსთა შთამომავლობის არ უოფილოა. ინუინერმა უთხრა, რომ მე რუსეთისკენ მომიხდება მოვლაო და თუ გინდა ბაქომდის ჩემის ხარჯით წაგიყვან, და მერე იქიდან შენ შეგეძლება, რომ საქართველოში ადვილად ჩახვიდეთ. ათამ ონიკაშვილს გაეხარდა, წამოსვლის პირობა მისცა. რამდენიმე ხნის შემდეგ ინუინერი ბაქოში წამოვიდა, ათამ ონიკაშვილი სიამოვნებით გამოჰყვა თანა, ესენი მალე ბაქოში მოვიდნენ, ინუინერი კასპის ზღვით გაემგზავრა და ათამ ონიკაშვილი კი საქართველოში გამოემგზავრა, დიდი ხნის წალილი აუსრულდა ამ პირს, მალე მოვიდა თავის სამშობლო ქვეყანაში, მან მალე ნახა ის წამებული საქართველო და ქართველი ხალხი, რომელ ქვეყანასა და ერსაც მისი მშობლები 280 წლის განმავლობაში უკან მოსტირიან მწარე გულით და ცხარე ცრემლებითა. თვით ათამ ონიკაშვილიც არა მცარედ გლოვაბდა თურმე საქართველოზე, ამას უფრო ენატრებოდა საქართველოს და ქართველი ხალხის ნახვა, ვინემც მის მშობლებს, აგრე აღუსრულდა მას წადილი და ბევრის შრომის, და მეცადინეობის შემდეგ მოვიდა თვის სამშობლო ქვეყანაში, თავს ტურთა და მტერთაგან წამებულს საგმირო საქართველოში. ათამ ონიკაშვილის მოსვლის ამბავი თბილისში მალე მთელმა ქართველობამ შეიტყო. ბევრს დიდი გვარის კაცს მოუნდა ამ ძვირფასი სტუმრის ნახვა. მალე მიიხმეს თვისკენ. ნახეს ყველა ჩვენ საპატიო პირებმა: დიმიტრი ბაქრაძემ, იაკ. გოგებაშვილმა, აკაკიმ, გ. წერეთელმა, ს. მესხმა, დიმიტრი ყიფიანმა, გრიგოლ ორბელიანმა და პეტრე უმიკაშვილმა. ამათ დაუწყეს სპარსეთში მყოფთ და დალუპულთ ქართველთა შესახებ ცნობების გამოკითხვა და საუბარი. ათამ ონიკაშვილმაც დაიწყო საუბარი და ყველაფერი რაც კი იცოდა სპარსელ ქართველთ ცხოვრების შესახებ დაწვრილებით უამბო, მისმა საუბარმა ბევრს ქართველს გაახსენა საქართველოს შავი და ბნელი დღეები, ბევრს ქართველს აუტოკდა გული, ბევრი ქართველი ატირდა მისის საუბრით, ბევრს გა-

და უშალა თვალთ წინ საქართველოს მწარე დღეები და ის წუნები, როცა ათამ ონიკაშვილის წინაპრებს თავიანთ საყვარელ საქართველოს აშორებდნენ, როცა იგინი სპარსეთში მიჰყანდათ და სამუდაბოდ ასალმებდნენ ქართველთა ცხოვრების მზერას, ქართველებთან კავშირს, ლხინს და ათას ნაირ ვაების დათმენას. განა იქნება ისეთი ქართველი, რომ იმან ათამ ონიკაშვილის წინაპართ ქართველთ ამბები შეიტყოს და იმავ წუთს გული არ აუტირდეს, განა შეიძლება მოიძებნოს ისეთი ქართველი, რომ მის გული არ შეაწყოს სპარსეთში მყოფთა დარაჯულთ ქირთველთა ცნობებმა. კიდევ განვიმეორებთ, რომ არა გვგონია, და თუ იქნება ისეთი ვინმე, რომ მის გულზე ამ უბედურ ხალხის ცნობები ვერაფერ გავლენას მოახდენს, ის სხვა სჯულის და ჯიშის ქართველი იქმნება. არამც თუ ჩვენ, არამედ ხშირად ტიროდა თვით ათამ ონიკაშვილი და ატირებდა მრავალ ქართველთაც. მის საუბარს ისეთი დავლენა ჰქონდა დიმიტრი ბაქრაძეზე, რომ ამან ალარ იცოდა რა ექმნა, ამის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. ათამ ონიკაშვილი სპარსელ-ქართველთაივის ძალიან გლოვობდა, მათი ცხოვრებისათვის დიდათ შესტკივოდა გული და მწარედ სწუხდა, სწუხდა მით უფრო, რადგან ქართველ ერის მდგომარეობას ბეჯითად ადევნებდა თვალთ და ყურს და ქართველ ტომის შემცირების მიზეზსაც კარგად გრძნობდა, სწუხდა მწარედ. რაღვანაც საქართველოს სპარსთა ბევრი შეილები მოსტაცეს და ვინც წაიყვანეს იმათ უმეტესი ნაწილიც გაწყდა და დაიღუპა. აქ ქართველთ მოაკლდნენ, ქართველნი შემცირებულან და იქ კიდევ მათ ვერ იხეირეს და მოისპნენო. რამდენჯერ უთქვამს ასე: ახ, ჩემო მეგობარო, განა მოვესწრები იმ დროს, რომ მე და შენ ან კიდევ სხვა ქართველნი სპარსეთში წავიდეთ და ჩვენი დალუპული ძმები ვნახოთ, გავიცნათ მათი ავი და კარგი და ყოფა-ცხოვრება, მაგრამ მაშინ ე. ი. 1877 წელს, ჩვენ სპარსეთში წასვლის თავი კი არა, საქართველოშიაც არ ვიყავით და აბა იქ წასვლის, ვინ

იფიქრებდა, თუმცა ნატვრა კი დიდი გვქონდა. ეხლა რომ საწყალი ათამ ონიკაშვილი ცოცხალი იყოს, სწორედ აღტა-ცებული იქნებოდა მით, რომ ძლივს ეღირსა მის ნატვრას შესრულება და სპარსეთში წავიდა საქართველოს ძვირფასი მოლვაწე შვილთაგანი ბ. ვლადიშერ აღნიაშვილი. იგი თამამად მტყოდა ასე.

— ოჲ, ჩემო ძვირფასო ვლადიშერ, მადლობა ლმერთს, რომ მოვესწარ ქართველს, რომელმაც ისურვა ჩვენსკენ წა-მოსვლა და დაკარგულ ძმების გაცნობა.

ეს კაცი ბევრს ცნობას მისცემდა ქართველს მოგზაურს, იგი უჩვენებდა მთელ სპარსეთის ადგილებს, აჩვენებდა იმასაც, საცა კი ქართველთა კვალია დარჩენილი, ამას გარდა სპარსეთის ენითაც დიდად დაეხმარებოდა ჩვენის ტომის საქმეს და იგი თარგმნებით ბევრს რასმეს შემოიტანდა ჩვენს მწერლობაში, მაგრამ ეს არ იქმნა ასე, ჩვენ ვერ ვისარგებლეთ ამითა. ათამა თავისუფ-ლად ამბობდა ხოლმე „წყეულ სპარსთა და ოსმალთა მეო-ხებით დიდი ძალი ქართველობა დაღუპულა. მაგალითს გეტუვით, რომ ძველათ არ ყოფილა სპარსთა დიდი ოჯახი, რომ იმ ოჯახში ქართველთა შვილების 2 მაინც არ ჰყოლო-დეთ მონებათ. ასე დაპნეულ, დარიგებულ და დაკარგულ ქართველთა დაკარგეს ქართული ენა. ვინც დარჩნენ და შეი-ნახეს დღევანდლამდე, ისინიც დაჰკარგამენ ამ 100 წლის განმავლობაში, თუ ამ საბრალოებს არაფერი ეშველათო, თუ რაფერ უნდა ეშველოს იქ, რა უყოთ? გადმოსახლებას უნდა ვეცადოთ, მეტი გზა არ არის, მე დავიწყებ თხოვნას და იმედი მაქვს, რომ მრავალნი ქართველნიც დამეხმარებიან ამ საქმეში, ეს ამაები ვინც კი გაიგო, ყველას ესიამოვნა, ყველა აღტაცებული დარჩა, ხოლო ვისაც ამ საქმეში შეეძლო მონიწილეობის მიღება და ვისაც უხაროდა ამ კაცის ლაპა-რაკი, ეს გამოჩენილი ქართველი პოეტი გენერალ გრიგოლ ორბელიანს კი შორს დადგა და აჩსად ერთი სიტყვაც კი არა სთქვა, ვერაფერი წინამძლოლობა გაუწია ათამ ონიკაშვილს.

ათამ ონიკაშვილი გადაწყვეტით ასაბუთებდა, რომ დღეის შემდეგ ქართველნი სპარსეთში ველარ შეინახვენ თავსა, რადგან თმენას და ბრძოლის სპარსებთან მობეჭრებულნი არიანთ. აი რა გვიამბო თავიანთ სოფლების შესახებ.

ისპაანიდან ჩრდილოეთ დასავლეთისკენ, ქალაქ შირაზის მახლობლად, ხუთი დღის სავალზე, ყულევის წყლის ხეობაზე, მდებარეობს რამდენიმე სოფელი ქართველთა, რომელ სოფლის მცხოვრებნიც ქართველნი არიან და დღევანდლამდე აქ ქართულად ლაპარაკობენ, ქართული ენის გარდა მათ სხვა ენა კარგა არ იციან. წვრილ სოფლებთ შორის, გამოჩენილ სოფლებათ შემდეგი სოფლები ითვლებიან, საღაც მთლალ ქართველები ცხოვრობენთ.

მარტყოფი — 1200 კომლი

აფუსი — 800 კომლი

თელავი — 900 კომლი

ტაშკენაში — 500 კომლი

ახჩა — — 50 კომლი

ბოინი — — 60 კომლი

მელაანი — — 50 კომლი

მუკუზანი — 100 კომლი

შაჩხანი — — 200 კომლი

ზემო-აკურა — — 30 კომლი

ქვემო-აკურა — — 20 კომლი.

გილანის ზღვისკენ, თავრიზსა თუ თეირანს აქეთ, გზაში არის შემდეგი სოფლები:

პატარძეული — — 30 კომლი

ლილი — — 40 კომლი

ნორიო — — 30 კომლი

აქ მოხსენებულ უკანასკნელ სამი სოფლის შესახებ ათამ ონიკაშვილის გარდა, მე მიამბო ერთმა მოხუცმა სა-ქართველოს სომეხ ვაჟა-ჩმა, რომელსაც მთელი სპარსეთი დაევლო, ეს სოფლები ენახა და იქ რამდენიმე დღეს ეცხოვ-

რნა და ქართველებთან ბევრი რამ ესაუბრა, ამ სოფელში ალექსანდრე ბატონიშვილსაც ხშირად უცხოვრია ხოლმე. სოფლის მცხოვრებნი დიდის პატივით ეპურობოდნენ ალექსანდრე ბატონიშვილს და ამ ბატონიშვილის შესახებ ბევრი ამბებიც ყოფილა ზღაპრად დარჩენილი. ამ სოფლებში დღევანდლამდე ქართული ლაპარაკობენ და საქართველოს შესახებ ბევრი ამბებიც იციან. ათამ ონიკაშვილის სიტყვით, დღეს მთელ სპარსელ ქართველთ რიცხვი 30 ათასამდე უნდა იყოს. ზოგ მოხუცთაგან გაუგონია ამას რას ამბავიც, რომ ვითომევ სპარსეთში აქა იქაც არიან ქართველები, მაგრამ მათი ბინალრობის და სოფლების ცნობები ქალაქ აღგილებში არავინ იცის, რაღაცაც იგინი სპარსეთის შესანიშნავ ქალაქებისაგან ერთობ შორს სცხოვრობენო, უფრო ისეთ დაშორებულ აღგილებში სცხოვრობენ, რომელ აღგილებიც ძველ დროშივე სპარსეთისათვის უხმარი ყოფილა. აი ეს რიცხვი გადარჩა იმ დიდ რიცხვს ქართველთა, რომელნიც საქართველოდამ სპარსეთში იყვნენ გადასახლებულნი 400 წლის განმავლობაში და რომელთა რიცხვიც ისე დიდი იყო, რომ XVIII საუკუნეშიც კი მთელი სპარსეთი სავსე იყო ქართველებითა. სპარსელ ქართველთ კარგათ ახსოვთ თურმე, რომ ისინი ქართველთ შთამომავალნი არიან და საქართველოდამ გადაუსახლებია შაჰბაზეს. ამბობენ თურმე, რომ როცა ჩვენი ძველები მოუკვანიათ და დაუსახლებიათო, მაშინ ამ აღგილებში ხალხი არ ყოფილათ და ქართველები სადაც დასახლებულიან, იმათ თავიანთ ახალ შენებისათვის თავიანთ ძველი სოფლის სახელები დაურქმევიათო. მაგალითებრ: სოფელ მარტყოფიდგან გადასახლებულნი ერთად დასახლებულიან და ამათ თავიანთ სოფლისთვის მარტყოფი უწოდებიათო. ასევე სხვა სოფლებსაო. ათამ ონიკაშვილი იტყოდა ხოლმე: ჩვენ არ ვიცით თუ ჩვენი სოფლის სახელების მექონი სოფლებიც უნდა იყოს საქართველოში თუ არა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ უნდა იყვეს, რაღაცაც ამის შესახებ ამბები ჩვენის ძვე-

ლებისაგანაც შემიტყვიაო. ჩვენში იმპობრნენ ჟოლმე, რომ
როცა ქართველები დაასახლეს ამ ხეობაში, მაშინ ქართველთა
დიდი ხანი შეიძაგრეს თავი და არ გათათრდნენო, იმათ დი-
დი წვალება გამოიარეს, დიდათ სტანჯავდნენ და აწვალებდნენ
იმ ქართველებსაც, რომელნიც სპარსელ დიდი კაცების სახლე-
ბში იყვნენ მონებათ დარიგებულიო. ხშირაო ამ საბრალო
ქართველთ შვილებით ვაჭრობაც ჰქონდათ გამართული, ჩვენ
ტანჯვა წვალების და შვილების ტაციანის რიცხვი არა ჰქონ-
დაო. მართლაც და ძველად სპარსეთში ქართველნი დიდს
ტანჯვაში ყოფილან, ამას იმტკიცებს პიეტრო დელავალის
ცნობა საქართველოს შესახებ, რომელ ცნობაც იმავ დროსვე
არის დაწერილი. აი რას მოგვითხრობს: XVII საუკუნეში,
სპარსებმა ძალად მოაცილეს ქართველები თავიანთ სახლ-კარ-
სა, სამშობლოს და წაიყვანეს, ადვილი წარმოსადგენია. თუ რა
არეულობა იქნებოდა მთელის ქვეყნის გადასახლების დროს,
მათშორის იყვნენ მამაკაცები და დედაკაცები, თავადნი, აზნა-
ურები და გლეხები, დიდი და პატარა, ყოველ წლოვანობისა,
ყოველ წოდების და ყოველ მდგომარეობაში მყოფი, ესენი
თავიანთ ბარგით, რამდენის წამოლებაც შეეძლოთ, დააყენეს
ჯარის წინ და სიჩქარით წაიყვანეს სპარსეთში და მიუჩინეს
ის ადგილები, რომლებიც უფრო დაშორებულნი იყვნენ სა-
ქართველოს, საღაც უფრო ეჭირვებოდათ ხალხის დასახლება.
აი საიდგან არის ის, რომ დღეს საკუთრიად თქმული სპარსე-
თი მაგალითად ქირმანში, მიზანდარი და კასპის ზღვის
ნაპირები სავსე არიან ქართველებითა და ჩერქეზებით. ფარ-
სისტანტი და მაზანდარანში ამათ არამც თუ სოფლები,
დაბებიც კი უჭირავთ, არამედ მთელი ქალაქებიც, იქ მათი მეტი
არავინა სცხოვრობს. გარდა ზემოხსენებულ ქართველების,
რომელნიც სპარსეთში სცხოვრობდნენ, თავისუფლად არიან
იმისთანანიც, რომელნიც მონად ჩაუვარდნენ სპარსებს იმ
არეულობის დროს, რომელიც მოხდა სპარსეთის შემოსევის
და ქართველთა სამშობლოდან ძალდატანებით გადასახლების

დროს, ამათი რიცხვი დღეს ისე დიდია, რომ არ იპოვება არც
ერთი სახლი სპარსეთში, რომელიც სავსე არ იყოს ამისთა-
ნა ქართველებით, მამაკაცებით და დედაკაცებით. იქ არ არის
იმისთანა დიდი კაცი, რომ არ სურდეს, რომ ყველა მისი
ქალები ქართველები იყვნენ, იმიტომ რომ ესენი მშვენიერები
არიან, თვით ხელმწიფესაც გავსებული აქვს თვისი სასახლე
მათის კაცებითა და ქალებითა, ამათ გარდა სხვებს თითქმის
არ იმსახურებს. დიდი უძლურება მოჰყვა ამ ქართველთ გარ-
დასახლებას, დიდი გაჭირვება, ცრემლის ლვრა და სხვანი.

საქართველოდამ ქართველებს წაყვანა გამოეცხადათ,
ყველა სოფლის მცხოვრებნი თავ-თავიანთვის შეგროვდნენ
და ისე გაემზადნენ წასასვლელად. ზოგიერთი ადგილე-
ბი მაშინ დაიცალა ქართველებისაგან. სოფლის მცხოვრე-
ბთა რაც რამ ჰქონდათ, ყველაფერი შეკრიბეს და თან წასა-
ლებათ განამზადეს. საეკკლესიო ნივთებიც კი შეკრიბეს,
ვისაც ურმები ჰქონდათ ბარგი იშაში ჩაწყვეს და ვისაც
ცხენები, ისინი ცხენებით მიღიოდნენ, ბევრს აქედან მღვდლე-
ბიც გაჰყვნენ. მღვდლებმა იქ კარგა ხანს შეინახეს თავი, ესენი
ქართველებს თავიანთ სახლში ალოცებდნენ, რაც ხანი გა-
დიოდა, მით სამღვდელოთ რიცხვი მცირდებოდა და ქართვე-
ლებში თათრობა ვრცელდებოდა, თავად აზნაურებმა ერთობ
მალე მიიღეს მუსულმანობა და გლეხნი კი არ შერებოდნენ,
იგინი ძალზე იღვნენ და არ თათრდებოდნენ, ბოლოს ისე
დაეცნენ ცხოვრებისაგან და ისე გალატაკდნენ, რომ ამ სიღა-
რაკისაგან თავი ეხსნათ, მიტომ მეტი ვზა ალარ ჰქონდათ,
უნდა გათათრებულიყვნენ, გათათრდნენ ძნელად, მოისპო
მათში ქრისტიანობა. მინამ გათათრდნენ ზოგნი კი კათოლიკობას
შეურთდნენ, ზოგი სომხის ეკკლესიას და ზოგი ასორი-
სას. სომხის ეკკლესიას ვინც შეუერთდა, მან დაიწყო სომ-
ხის ალსარება, რამდენიმე ხნის განმავლობაში ესენი დაენა-
თესავდნენ ნამდვილ სომეხთა, ამათში გაიმართა ხშირი მისვ-
ლი მოსვლა, ქართველთა შეითვისეს სომხური ენა, მათ

საკულტო ენად სომხური ენა სუნეს, ქართველია ეს დი-
ლათაც ენატრებოდათ, რაღვანაც სომხები ქრისტიანები იყვ-
ნენ, მათ თავიანთი ეკულესიები ჰქონდათ და ქრისტიანურ
წესებსაც ასრულებდნენ, ქართველთ ოლონდ კი საღმე ქალაქში
ქრისტიანთ ეკულესიები შეხვედროდათ, თორებ ესენი მაშინათ
ვე უერთდებოდნენ საიდუმლოდ იმ ქრისტიანთ სარწმუნოებას,
სადაც რა ეკულესია იქნებოდა. სომებთ ეკულესის ერთობის
მეოხებით ქართველთა დაკარგეს თავიანთი დედა ენა და იგი-
ნი ჩამომავლობით მთლად გასომხდნენ, დღეს სპარსეთში კა-
ცი ხშირად ნახავს ქართველ გვარის და შთამომავლობის კაცს,
რომელიც დღეს გვაროვნობით სომხობს. ზოგთ კი გაუგო-
ნით, რომ იგინ ქართველთ შთამომავნლი არიან. ახეთსივე
მდგომარეობაში ჩაგარდნენ ის ქართველები, ვინც კათოლიკო-
ბას და აისორობას შეუერთდა. სპარსელ ქართველნი, ვინც კი
არიან დღევანდლამდე ქართულის ენით დარჩენილნი, სცხოვ-
რობენ ქართულად, მათი ტანთსაცმელი ქართულია ვინებ სპა-
რსული, ქართველი ქალებიც სხვაფერ იცომენ ტანსაცმელს,
ვინემც სპარსელი ქალები. სპარსელ ქალებთან ესენი იმითაც
განირჩევიან, რომ ესენი სხეძე პირბადეს არ იფარავენ. კაც-
სა და ქალს მაშინათვე შეატყობენ მოგზაურები, ან უცხო მნა-
ხველნი, რომ ესენი სპარსები არ უნდა იყვნენ. პატარა გო-
გო-ბიჭებიც კი თავიანთებურ ტანთსაცმელს იცომენ და არა
სპარსული. ქალსა და კაცს შორის დაახლოვებული კავშირი
სუფევს. ქართველები ერთმანეთს კარგათ იცნობენ, საღმე რომ
ნახონ მაშინვე შეატყობენ ისანი, ქართველები ან გურჯები
არიან და მაშინათვე მიესალმებიან, ლაპხრაკს გამართავენ და
ერთმანეთს აშშებს მოუყვებიან. სპარსელ ქართველ ქალები
ძრიელ მხენე და ახოვანი მუშაკნი არიან, ესენი ქორებს დაუცხო-
მელად შველიან მუშაობაში, არასფერს საქმერ და მუშაობას არ
ერიდებიან. ქმრებს ყანაში და სხვაგან თან მისდევენ სამუ-
შაოდ, ხშირად თვით ქალები მუშაობენ მარტო, ქართველთ ქალ-
თა ყანაში და ბალში მუშაობით გაკვირვებულნი არიან სპარსელი.

ქალები და კაცები, ქართველი ქალები ყანაში და ბაღში მუშაობას გარდა სახლ-კარსაც ჩინებულად უვლიან, სხვა და სხვა ხელისაქმის კეთებაც უკეთ იციან, ვიდრე სპარსელებმა. ამათი ასეთი ლირუება ყველას კარგათ ესმით და ამიტომ ყველას წინაშეც ქალები თამამად იქცევიან და თავიანთ ლირსებას ყოველთვის მაღლა აყენებენ, მთ იციან, რომ ისინი პატივსაცემი ირიან, სპარსებიც ძალიან ეტანებიან მათ ქალების შესართველად, მაგრამ ესენი არ მისღევენ მათ. იშვიათად.

ქალებთან მუშაობაში კაცებიც კარგოთ მუშაობენ, სიტყვა რომ ითქვას, გაცილებით კარგათ და გმირულად. სწორედ კაცების გმირული მუშაობა გამხდარა ქალების სამაგალითოდ, რომ ესენიც შესჩევენიან მუშაობას, თორემ კაცები რომ გარდამეტებით შხე მუშაკნი არ ყოფილიყვნენ, მაშინ ქალებიც ვერ შეეჩევოდნენ მუშაობასაო, მაგრამ კაცების მუშაობას უნდა შეეჩერიათ იგინი მუშაობას, ან სპარსეთში გადასახლების ამბებს, უბედურ ყოფა-ცხოვრებას და სილატაკესაო. ქართველებს თავიანთი სოფლები მშვენიერად აქვთ გაკეთებული. და გალამაზებული. მათი სოფლები კახეთის სოფლებს წააგავს, სახლები მშვენიერად ნაკეთები, გარშემო სულ ბაღებით სავსე, სპარსელებში კი ასეთი სოფლები იშვიათია. სპარსთა სოფლები რომ ნახოს კაცმა, შიგ სახლებს ვერც კი შენიშნავს, რადგანაც იმათში სულ მიწურ სახლებს აკეთებენ, როგორც ჩვენში იციან; თბილისის ახლო-მახლო სოფლებში. მევენახობას ქართველნი უფრო უკეთ მისღევენ, ვიდრე სპარსნი. ვაზის გაშენება და კეთება კახურად იციან, მთლად ბაღები ქართულად აქვთ ნაკეთები და ბაღებში ყველა ნაირი ხილი მოიპოვება. ბაღებსა და ვენახებს გარშემო ლობები ავლია, სპარსებმა ესენი იშვიათად იციან. საქონლის შენახვასაც უხვად მისდევენ, ანახავენ ძროხას, ხარს, თხას; ცხვარს და სხვანი. კარაქის, ყველი და ერბოს კეთებაც ძალიან იციან; უფრო ქართულად ვანემც სპარსულად, პირუტყვის მოვლა და წარლობაც ძველებულად იციან, როგორც მათ მამაპაპას გაჰყოლია აქედან.

ხვნა თესვასაც უხვად მისდევენ. ხვნა-თესვის მუშაობა სპარ-
სელებზე გაცილებით უკეთ აქვთ შესწავლილი და წინ წაწეუ-
ლი. სპარსელ ქართველთ სახლში ცხოვრებაც მეტად სუთოად
უყვართ. ოთახები ყოველთვის მორთულია. შიგ ქართული
ტახტი და ავეჯეულობა. სარეცხი და დაკერებაც ხშირად
იკიან. საჭმლის კეთებაც ქართულიდ არის, თუმცა სპარსულიც
შეუსწავლიათ. პურის ცხობაც ქართულიადა აქვთ, თონეფი აქვთ
გამართული და პურს ქართულიად აცხობენ, გამოცხობის დროს
გუნდებს ზევიდან ჯვარს უსმენ, ეს მიმაპაპათაგან დარჩომიათ
სამახსოვროდ, ზაფხულის ხილის გახმობასაც კარგად მისდე-
ვენ, ზამთარში საჭირო საჭმელ ბალახებით, კაკლით, ლო-
ბიოთი და სხვა რამეებით სახლს ავსებენ, პურით და სურსა-
თით ყოველთვის სავსენი არიან ესენი, ჭლის გასვლამდე ამათ
არაფერი დაკლდებათ.

პირუტყვის შესანახი ბოსელიც იკიან ჩვენებურად. სპარ-
სებში კი ეს ასე არ არის, უმეტეს ალაგს სოფლებში ხალხი
პირუტყვებთან სცხოვრობს ბოსლებში, ქართველთ კი ესენი
ცალკე აქვთ, საცხოვრებელ სახლებთან მოშორებით, ბოსე-
ლის გარდა, საბძლის კეთებასაც მისდევენ და საბძლებიც ქარ-
თულიად აქვთ, კალო, გუთანი, სახნისი და სხვანი სულ ქარ-
თულიად იკიან, ლეწვა, ანიავება, ფარცხვა, და თოხვნა ქართუ-
ლიად აქვთ. ნამეტურ მათებური გუთანი აქაურ გუთანს მომა-
გონებსო და მასზე ქართული „პოროველავო“. ქართული სიმღე-
რები დღევანდლამდე ახსოვთ თურმე და მღერიან თავ-თავის
დროსა და თავის შესაფერად. მოკლედ რომ ითქვას ქართვე-
ლები სპარსელებზე ბევრად მაღლა სდგანან, მაღლა სდგანან
გონებით, ხელ საქმით, მუშაობით და ცხოვრებით, ალებ-მიცე-
მობაც არის მათში გავრცელებული და ესენი ბევრად სინიდი-
სიერად ვაჭრობენ, ვიდრე სპარსნი. ქართველები ზნეობითაც
მაღლა სდგანან სპარსელებზე. ქართველთა ნათესაობაც ერთმა-
ნეთში აქვთ, გათხოვება მხოლოდ ერთმანეთში იკიან, ქორწი-
ლის გადასდაც ქართულიად იკიან, სიმღერები და კიდევ სხვა

სულ ქართველიადა აქვთ. ორი ცოლის შერთვა იშვიათია. ქართველი ქალი მეორე ცოლიდ არ გაჰყვება. ვინც ორ ცოლს შეირთავს ის ძრიელ სტულთ მათ და მას სახელიად „ლიუტი“ ეძახიან“ და ლიუტი კიდევ სამარცხვინო სახელს ნიშნავს. ქალებსაც დიდათ ეძნელებათ და ერიდებათ ასეთ საქმეების შესახებ საუბარიო. ეს არის იმის მიზეზები, რომ სპარსელ ქართველნი ერთმინეთში არიან დანათესავებულნი და ისე მკიდროთ არიან შეკავშირებულნიო. სპარსელ თათრებს ძრიელ შურთ ქართველთ რიგიანი ყოფა-ცხოვრება. სპარსთა ყაჩაღები ხშირად ეცემიან საბრალო ქართველთ სოფლებს და უწყალოდ აოხრებენ, ვაზებს ძირში უკრიპან, ვენახებს ჰაფავენ, ლობეებს ჰგლეჯენ, ძნებს უწვავენ და პირუტყვასაც ართმევენ ხშირად. ამას გარდა ხშირად სახლებსაც უწვამენ თურმე და შეილებსაც კი სტაცებენ, რადგანაც სპარსელ ქართველთ ცხოვრება ძრიელ შურთ, ნამეტურ გამშვენებული სოფლების მდგომარეობა, და ქართველთ კარგი ჭამა, სმა და ცხოვრება. შურთ და ეჯავრებათ ესენი მით უფრო, რადგანაც სპარსნი ქართველს უწოდებენ ქართველებს, და იგინი სულ სხვა ტომის კაცად მიაჩნიათ.

საუბედუროდ სპარსთა მთავრობაც ერთობ ცუდათ ეპურობ ამ ხალხს, რაღაც შურით და მტრობით უმზერის ქართველთა ცხოვრებას, ჯარში ამათგან ჯარის კაცნი ერთობ მაღმალე გაჰყავთ, ისე რომ ოჯახში წევრს აღირ სტოვებენ, რომ ჯარში არ გაიყვანონ და არ იმსახურონ, სპარსნი კი ასეთის გარდასახადისაგან თავისუფალნი არიან. სპარსეთის ასეთ საქციელზე ქართველები ერთობ სწუხან, მაგრამ რას იზმენ, ამათ ჩივილს ვინ შეიწყნარებს. სპარსნი ამათ პირდაპირ ქართველებს „გურჯებს“ ეძახიან და გურჯები კი ყველას ხაერთოდ სტულთ. სწორეთ ესეთივე დევნა და წვალება გამხდარა ათამ ონიკაშვილის მშობლების მიზეზათ, რომ ათაშ ონიკაშვილი საქართველოში წამოვიდა. ქართველებმაც კარგად იციან თურმე, რომ ისინი ქართველები არიან, საღაც კი ვინ-

მე შეხვდებათ ამათ, ყველგან თავისუფლად ლაპარაკობენ, რომ
ჩვენ ქართველები ვართოთ ესენი ყველანი შეას სარწმუნოებას
ეკუთვნიან და მათი ხოჯები, მოლები, ყადები, იძამები და
სხვებიც სულ ქართველები არიან, ქართულად მოლაპარაკენი.
მოლებმა და ხოჯებმა უფრო კარგად იციან, რომ ისინი ქარ-
თველთ შთამომავალნი არიან და მათი ძველები იქ საქართვე-
ლოდამ არიან მისულნი. მათში ხშირად ლაპარაკობენ, რომ
საქართველო მშვენიერი ქვეყანა არისო. ქართველნი როცა სა-
ქართველოში ნამყოფ სპარსებს ნახვენ მაშინათვე ჰკითხავენ
საქართველოზე ცნობებს და მათი სმენით სტკბებიან. ქართვე-
ლი მოხუცებულნიც ხშირად მოუთხრობენ ხოლმე ახალგაზ-
დებს თავიანთ ძველების ამბებს, საქართველოს შესახებ ზოაპ-
რებს. ათამ ონიკაშვილი იტყოდა ხოლმე, რომ ეს ძველი ამ-
ბები და ზღაპრები საქართველოს შესახებ ღირსია შეკრებისა
და დაწერისათ, თუ იქ დაბრუნება არ მომიხდა, მაშინ ზოგი-
ერთებს მე მაინც დავწერ აქათ. ათამ ონიკაშვილი თბილისში
მალე დახელოვნდა, მთელი საქართველოს ავი და კარგი შეი-
ტყო, ამის დაწინაურებას ის უფრო უწყობდა. ხელს, რადგა-
ნაც ეს მოსამსახურედ დაფგა თბილისის სემენარიაში და აქ
ამას ზოგიერთი კეთილ-საიმედო სემინარიელები ქართულ წე-
რა-კითხვას ასწავლიდნენ, წერა-კითხვასათანავე ეს წიგნების კი-
თხვასაც შეეჩია და საქმე იქამდის მივიდა, რომ მალე ქართუ-
ლი გაზეთების კითხვაც დაიწყო. „დროება“ და „სასოფლო
გაზეთი“ მუქთად ეძლეოდა, იგრეთვე სხვა და სხვა გამოცემა-
ნიც. ათამ ონიკაშვილი მალე ისე დახელოვნდა, მწერლობაში
და ქართულ კითხვაში, რომ თითონაც მოჰკიდა კალაშის ხელი
და დაიწყო სპარსელ ქართველთ ზღაპრების წერა. ზღაპრებს
სწერდა სპარსულ მეზღაპრება მდიდარის ფანტაზიით და ენა-
საც ყოველთვის ამჭერმეტყველებდა. ერთი ამის ზღაპარი და-
ბეჭილია, „დროების“ ნომერში, არ ვიცი კი რომელში, თო-
რემ ამ ზღაპარს მთლად მოვიყვანდი აქ, მაინც აქ მოვიყვან
მის შინაარს დასამტკიცებლად, თუ ეს კაცი რამდენად დაუახ-

ლოვდა ჩვენს ვითარებას. ეს ზღაპარი სპარსელ ქართველებში არსებობსო... ერთ მშვენერ, მეტად ლამაზს სამოთხის მზგავს ქვეყანაში, ყოველ ნაირი ყვავილნი და ხეხილნი იზრდებოდნენ. ერთი სიტყვით დედამიწის ზურგზე არ იყო ისეთი რამ ყვავილი, რომ აქ არ ყოფილიყოს. არ იყო მხოლოდ კომბოსტო. მშვენიერთ ქვეყნის პატრონთ ამაზე დაიწყეს დროვინვა, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა ნაირი ყვავილნი და ხეხილნი არიან და კომბოსტო კი არა. ამათ განიძრავს სხვა ქვეყანაში წასვლა. და კომბოსტოს თესლის შოვნა. მალე წავიდნენ. იარეს რამდენიმე დღე და ერთს ქვეყანაში იშოვნეს კომბოსტოს თესლი; მოიტანეს ეს და თავისათ ვენახში იასთესეს, კომბოსტო მალე ამოვიდა და გაიზარდა; ამან გაშალა თავისი დიდობის ფოთლები და მის მეოხებით დააჩრდილა მრავალი ყვავილი. უმზივ უსხივოთ დასტოვა ყველანი. მშვენიერნი ყვავილნი მხის ხილვას სამუდამოთ მოაკლდნენ და იწყეს „ჭკნაბა და ლპაბა“. მებალეები აჩის ხილვისაგან ძრიელ შეშინდნენ, მაგრამ რას იზამდნენ, კომბოსტოს ძალა უკვე გამოჩენილიყო, მათ დაუწყეს კომბოსტოს ძირიანად ამოგდება, მაგრამ ძირი ვეღარსად უპოვეს, ძირი აქეთ იქით, გაიშალა. მთელს მხარეში მოფენილიყო, ვეღარა დააკლეს რა და მის მეოხებით დაჭკნენ მრავალნი მშვენიერნი ყვავილნი „დროებაში“ მხოლოდ ეს ზღაპარი დაიბეჭდა, სხვა ზღაპრები არ ვიცით რა უყო. შემდეგ ჩვენ ისე დაეშორდით ერთმანეთს, რომ მის სიკვდილის შემდეგ მე ვეღარაფერი გავიგე, თუ სად რა ზღაპრები დარჩა მას. ათამ ონიკაშვილს, ისე მოუთბა გული, ისე შეუყვარტა საქართველო, რომ ამან დაიწყო სპარსეთში თავის მოძმევებთან წერილების წერა. ზოგიერთ აქაურ ქართველებთან თათბირი ჰქონდა და რამდენიმე ხნის შემდეგ მაშინდელ კავკასიის მთავარ-მართებელს თხოვნა, მისცა და ითხოვა, რომ სპარსთა ქართველნი საქართველოში გადმოსახლებუს ვითხოვთო და ამიტომ წარმოვდგზავნით თქვენს წინაშე ჩვენს წარმომადგენელ ათამ ონიკაშვილს და გთხოვთ, რომ ჩვენი თხოვნა

შეიწყნაროთ, სპარსეთის შაისთან გვიშუამდგომლოთ და ჩვენს ქვეყანაში დაგვაბრუნოთო. მთავარ-მართებელში თხოვნა სიამოვნებით მიიღო და გაჰკვირდა მასზე, რომ სპარსეთში ქართველნი ყოფილან, და იქიდან კაცი გამოუგზავნიათ. ათამ ონიკაშვილი თავს ქართველად აღიარებდა, მთავარ-მართებლის წინაშე, ასევე მთელ სპარსეთის ქართველთა; თხოვნის შესახებ პასუხის მიღებას დაპირდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს წავიდა გრიგოლ ორბელიანთან და დაუწყო ხეეწნა და ცრემლებით თხოვნა ასე:

შეიძრალეთ სპარსელ ქართველნი, მიხედვთ მათ ტანჯვა-მწუხარებას და მოგვეცით დახმარება წინაშე გთავარ-მართებლისა, რომ ჩვენ საბრალო ქართველთა თხოვნას ყურადღება მიაქციონ და სპარსელი ქართველნი დაიხსნან სპარსთა ტყვე-ობისაგან. მთავარ-მართებლის გარდა თამ ონიკაშვილი გრი-გოლ ორბელიანს მთავარ მართებლის მეულლის წინაშეც სთხოვ-და სიტყვის თქმას და დავალებას, რადგანაც ათამ ონიკაშვი-ლი მთავარ-მართებლის მეულლებაც ინახულა და გამოჰკითხა ქართველთ ვითარება, რამაც ერთობ განაკვირა იგი. გრიგოლ ორბელიანმა პირობა მისცა, რომ მთავარ-მართებელთან და მის მეულლესთან მივალ და ვითხოვ ყველაფერსაო. რამდენიმე ხნის შემდეგ ათამ ონიკაშვილი მივიდა გრიგოლ ორბელიანთან და პირობის შესახებ ჰკითხა. მან უთხრა:

მმართ ჩვენში არაფერი საზოგადოება არსებობს; მე ვერ გავბედე მათი თხოვნა, მიტომ რომ არაფერი იქნება, ჩვენ თხოვნას არ შეიწყნარებენ, იქიდან აქ ხალხს არ გადმოსახ-ლებენ. ან რა საჭიროა მათი აქ გადმოსახლება, იყვნენ იქ, იცხოვრონ მშვიდობით და ხანდისხან იქაც მოვიდნენ. ათამ ონიკაშვილს ამ ამბის შეტყობა ძრიელ ეწყინა, ეწყინა მის უფრო, რადგანაც მას უარი უთხრა ისეთმა პირმა, როგორც იყო გრიგოლ ფრინველიანი და ვისგანაც უფრო დიდი იმედი ჰქონდა საქმეში მონაწილეობის მიღებისა და დახმარებისა. ამის შემდეგ ათამ ონიკაშვილს ძრიელ გაუტყდა გული, ქართველე-

ბისაგან ალარაფრის დახმარების იმედი ჰქონდა, ვისაც შეხვ-
დებოდა ყველას მწუხარებით ელაპარაკებოდა ქართველთა უხე-
ირობას, ზარმაცობას და საქართველოსადმი გაციებულს გულს
და გრძნობასა. ჩვენ ხშირად ვნახავდით ერთმანეთს და ვსაუ-
ბრობდით ჩვენი მწერლობის შესახებ. ერთხელ „ვეფხის ტყა-
ოსნის“ შესახებ სთქვა: მე ბევრი წიგნი წამიკითხავს სპარ-
სულ ენაზე, მაგრამ გეფიცებით, რომ ასეთი არაფერი მინა-
ხავს და მიკითხავს. „ვეფხის ტყაოსნი“ თვალია არამც თუ
მარტო ქართულის მწერლობისა, არამედ მთელი აზიის ხალ-
ხისაცა. სპარსულ ენაზე მისი ცალი და მზგავსი არაფერია,
არის ერთი მოთხოვნა პროზად, რომელიც ძრიელ მცირედ,
სულ ბნელად წააგავს „ვეფხის ტყაოსნის“, ზღაპარსაო, სხვა
ამის ცალი არაფერია სპარსთა მწერლობაშით. ათამ ონიკაშვი-
ლი ხშირად კითხულობდა სპარსულ წიგნებს და იქ ქართვე-
ლების ცნობებს ეძებდა; უყვარდა მეტად „შაპ-ნამეს“ კითხვა,
ქართული თარგმანიც წაიკითხა. „ლეილიანი, ბარამიანი“ და
სხვა და სხვა ქართული თარგმანებიც გაშინჯა და სპარსულს.
დაბეჭდილ წიგნებს უდრიდა. დიდათ უყვარდა საქართველოს
ისტორიის კითხვა. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს დაუმევობრდა
საგარეჯოს დეპოს მწარმოებელთ ამხანაგობას და მალე ამ დე-
პოს დახლიდრად დადგა. საქმის წარმოება დაიწყო, რამდენი-
მე ხნის შემდეგ მოინათლა, სახელად ალექსანდრე უწოდეს,
საგარეჯოში ქალიც შეირთო, მაგრამ არ გავიდა დიდი ხანი,
რომ ამან სხვა და სხვა მიზეზების გამო 1880 წლებში თა-
ვი მოიკლა დამბაჩით და მით გაათავა თავისი მწუხარება და
შეუსრულებელი წადილი. ამ პირის ასე უმიზეზოდ დაღუპვა
ბევრს ეწყინა, ბევრმა სთქვა, რომ ეს საწყალი ქართველი რა
უბედურად და უგზოუკვლოდ დაიღუპა, დაიღუპა უფრო
სპარსელ ქართველთათვისაო. ათამ ონიკაშვილის შემდეგ ჩვენ
სპარსელ ქართველთ ცხოვრების შესახებ ალარაფერი შეგვი-
ტყვია; იქიდან სპარსელ ქართველთაგანი აქ ალარავინ მოსუ-
ლა. მათ შესახებ სომხურს გაზეთებშიც იყო რამდენიმე ცნობა

დაბეჭილი და ამ ცნობებსაც ახლა მოვიყვან. სპარსეთში მცხოვრებთ ქართული ცნობებთ ჩვენთვის შეიძლებოდა საეჭვოდ დარჩენილიყო, მაგრამ ამ საბრალოების შესახებ 1877 წ. სომხურს სასულიერო უურნალ „არარატში“ და სხვა და სხვა წლების „მშაკის“ ნომრებში აი რას სწერდა სპარსეთიდგან სომეხთა სპარსელ მწერალის: „მე ამას წინედ ერთს წერილში მქონდა გაკვრით ლაპარაკი სპარსეთში მყოფ ქართველებზე და მათ ყოფა-ცხოვრებაზე. ეხლა მოგახსენებთ რამდენსამე სიტყვას და იმედი მექნება, რომ თქვენი ბატავიუმული უურნალი ამ წერილს დაბეჭილავს, რადგანაც ეს ამბავი ბევრ ჩვენთაგანთათვის იქნება სასიამოვნო, რადგანაც ეს ცნობები შეეხება ჩვენს მეზობელ და მოძმე ქართველთ ყოფა-ცხოვრებას. სპარსეთის სამხრეთის ნაწილში, სულთანაბაღის საოემოსკენ სცხოვრობენ რამდენიმე სოფლელნი ქართველთა, რომელნიც დროის მეოხებით გამაჰმადიანებულან. ამ მხარეს მე მომიხდა გავლა და ნახვა მათი. როცა ქართველებმა მე დამინახეს, მაშინ მათ რაღაც იგრძნეს გულში, ქართველი ვეგონე, დიდათ გაუხარდათ. საჩქაროთ მომიახლოვდნენ და მკითხეს სიხარულით ქართულს ენაზე ესე:

— ზატონო, თქვენ აქაური კაცი არ უნდა იყოთ, შეიძლება ბრძანოთ, თუ ხაიდან ბრძანდებით, ქართველი ხომ არა ხართ, საქართველოდან.

მე მათ ჩემი ვინაობა ვუამბე, მეც გამოვკითხე მათ თავიანთი ვინაობა: მათ მითხრეს:

— ჩვენ, ქართველები ვართ, თქვენც გეცილინებათ ქართული!

— დიახ ვიცი, მივუგე მე. ჩვენ დავიწყეთ ქართულად ლაპარაკი, ლაპარაკის დროს მათ სიხარულს სამზღვარი არა ჰქონდა.

— თქვენ ხადა სცხოვრობთ? ვკითხე მე.

ჩვენ აქ დროებით ვცხოვრობთ. აქ საქონელი დაგვიღის და ვაძოვებთ, რადგანაც აქ კარგი ბალახი იკის. ამათ აქ ხილოახლები აქვთ გაკეთებული.

სამუდამო ცხოვრება ხადა გაქვთ? ვკითხე მე მათ.

ჩვენა ვცხოვრობთ ფრეოდანის ხეობაში; ფრეოდანი
მაზანდარიდან ხუთი დღის მანძილზე სძევს. იქ არის
ჩვენი სოფლები, ყველაზე დიდი შვიდი სოფელია, ზემო
აკურა, ქვემო აკურა, ახჩა, ტაშკენაში, აფუსი და მარტყოფი,
სადაც 1,000 ქართველი სცხოვრობს. ბევრი რამ მიამბეს ამ
საბრალოებმა. მე ძრიელ გამაკვირვა ამათმა ქართულმა ლაპა-
რაკმა, ჩინებულად შეუნახავთ თავიანთი ენა, ქართულს ისე ლა-
პარაკობენ, როგორც საქართველოს ქართველნი. ჩვენ კარგა
ხანს ვისაუბრეთ, ჩვენი ლაპარაკის დროს აქეთ გამოიარეს სხვა
სპარსელ ქართველთაც, ამათ თავიანთ მეგობარ ქართველებთან
დადგნენ და ლაპარაკი დაიწყეს. მეც დამაცქრდნენ, რამდენიმე
წუთის შემდეგ ამათაც დამიწყეს ლაპარაკი. მე მკითხეს:

— ვინა ხართ ოქვენა, აქ საიდამ მოსულხართ?

მე ჩემი ვინაობა აუხსენ. მერე მე ვკითხე მათ:

— ოქვენ ვიღა ხართ?

— ჩვენ, ქართველები ვართ, მაგრამ საქართველო ოვალი-
თაც არ გვინახავს. დიდი ხანია რაც ჩვენ სპარსეთში ვცხოვ-
რობთ. ჩვენი ძვლები საქართველოდამ შავბაზის დროს გად-
მოუსახლებიათ აქეთ.

— ეხლა საღ მიბძანდებით? ვკითხე მე.

— აქეთ, ერთ სომხის სოფელში მივდივართ, რაღაც
იმ სოფლის სომეხთ ეკულესიაში ჩვენი სახარება სძევს, სა-
ხარებას თაყვანს ვსცემთ, იქა ვლოცულობთ ხოლმე, სახარე-
ბის პატივის საცემლად აღრე სპარსებიც დადიოდნენ, ეხლა
ისინი აღარ დადიან, ჩვენ დავითრებით ეხლა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ გამოვემშვიდობეთ ერთმა-
ნეთს და წავედით აქეთ-იქით. მათს მაღლობას და სიხარულს
საზღვარი არა ჰქონდა.

ამ ზაფხულში. ფრეოდანის ხეობიდამ, სპარსეთში ჯარი
მოვიდა, რომელ ჯარშიაც 150 კაცი ქართველი ერია. რამდე-
ნიმე ჯარის კაცნი ქუჩაში მიმავალნი ვნახე და ესენი ქართუ-
ლად ლაპარაკობდნენ. მე მაშინათვე შევაჩერე ისინი და ვინაო-

ბა გამოვკითხე, ჩემი გაცნობა მათ ძრიელ გაეხარდათ, ნაშე
ტურ ქართული ენის გაგონება ესიაროვნათ მე მკითხეს.
თქვენ ვინა ბძანდებით, ქართველი ხართ?

— არა, მე სომები ვარ, მხოლოდ საქართველოში დაბა
დებული, ქართულიც მიტომ ვიცი.

— შენი ჭირიმე, აქ ვინმე ქართველი ხომ არ სცხოვ-
რობს, ძრიელ ავენატრება ქართველი კაცის ნახვა. დიდათ
დაგვავალებთ, თუ ქართველ კაცს გვიჩვენებთ.

— არა ძმებო, საუბედუროდ თქვენდა აქ ქართველი არა
ვინ სცხოვრობს. ამის გაგონებით იგინი დიდათ შესწუხდნენ.
მეც შევწუხდი. მერე მე უთხარი.

— აქ, ქართველთაგანი მხოლოდ ერთი მღვდელი სცხო-
ვრობს, რომელიც რუსის კონსოლთან იმყოფება, თუ ისურ-
ვებთ და არ მოერიდებით მის გაცნობას, მე წაგიყვანთ იქ და
გაგაცნობთ.

მათ ძალიან გაეხარდათ და მითხრეს:

— ძრიელ კარგი იქმნება.

ჩვენ მალე წავედით კონსოლის სახლში, მაგრამ არიქმა-
ნდრიტი შინ არ დაგვიხვდა, საზაფხულოდ ახლო სოფელში
წასულიყო, ქართველნი ძრიელ შეწუხდნენ, არქიმანდრიტს მე
კაცი გაუგზავნე, რგო საჩქაროდ ჩამოვიდა, ქართველთა ნახვს
და დიდათ გაეხარდათ, მათ დიდი ხანი ისაუბრეს, არქიმანდ-
რიტსაც ძრიელ გაეხარდა, მე დიდი მაღლობა გადამიხადეს
ქართველთა, რომ მათ ქართველი მოძლვარი უჩვენე.

უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა ამათ მტკიცეთ შეუნა-
ხავთ ქართული ენა და ხასიათები, ყველგან ესენი ქართველად
იწოდებიან, ტანთსაცაველსაც ქართულად იცმენ, მე ძალიან
მიკვირს, რომ ასე დაშორებულს მხარეში, ამდენი ხნის განმა-
ვლობაში ქართველებს ქართული ენა არ დაუკარგავთ.

ამ წერილის შემდეგ, განვლო რამდენმამე ხანმა და სპა-
რსეთიდამ საქართველოში ჩამოვიდა არქიმანდრეტი, ევსევი,
გვარად ციბაძე, ეს, მე ვნახე და სომხურს გაზეო-

ში დაბეჭდილ ამბების ცნობები და სინამდვილე ვკითხე. მან უველაფერი კეშმარიტად აღიარა და თვითაც სთქვა:

— მე გავიცან იგინი და რამდენიმე ხნის შემდეგ, ერთ-მა სომხის ეპისკოპოზმა დამპატიუა, მე წაველ, მგზავრობის დროს იმათ სოფლებისკენ გავიარე, ქართველთ ძრიელ გაეხა-რდათ ჩემი დანახვა. იმათ მიცნეს, ეგონათ, რომ მე პირ-დაპირ მათთან მიველ, დიდათ გამიმასპინძლდნენ, ძალიან გაე-ხარდათ, სხვა და სხვა სოფლის ქართველებსაც შეატყობინეს, რომ ჩვენთან ქართველი მღვდელი მოვიდაო. როგორც ერთს სოფელში მომცეს პატივი, ისევე მეორეში, პირობა მივე, რომ მგზავრობის დროს კიდევ ისე გამოვივლი, მათ გაეხარდათ. არქიმანდრიტი დაბრუნების დროსაც ჩამომხტარა მათს სოფ-ლებში, პატივი ისევე უციათ, ლაპარაკის დროს სიტყვა სა-ქართველოში გადმოსახლებაზე ჩამოვარდნილა, ქართველთ დი-დათ გახარებიათ და თანხმობა უთქვამსთ, უთქვამსთ, რომ დიდის სიამოვნებით გადავსახლდებით საქართველოშიო. დაბ-რუნების შემდეგ ქართველთ ნატვრა და თხოვნა არქიმანდ-რიტს კონსოლისთვის გადაუცია, კონსოლს უთქვამს, რომ მათ თხოვნა შეადგინონ და მომცენ მჩს შესახებ, მე იმათ თხოვნის საფუძვლით შაჰს მივმართავო და ვეცდები, რომ ქა-რთველთ თხოვნა შეიწყნაროს. არქიმანდრიტს ქართველები დაუბარებია და კონსოლის სიტყვა გარდუცია, ქართველთ უთ-ქვამსთ, რომ ჩვენ გვეშინიან, თხოვნას ვერ მივსცემთო, შაჰ-მა რომ შეგვიტყოს, ვიდრე გადასახლება მოხდება, მინამდის ყველას თავებს დაგვაყრევინებსო. ისევე ისე თუ მოხერხდება, რომ კონსოლმა სთხოვოს ჩვენ მაგიერ და როცა ჩვენ დაგვი-ბარებენ და გვკითხამენ, შაშინ ჩვენც გადასახლების თანხმო-ბას გაუცხადებთ, მაშინ ჩვენ ვიცით, როგორ ვეცდებითო. კონსოლს უამათ თხოვნოთ მთავრობის თხოვნა არ უქმნია ქართველებსაც შიში ჰქონიათ თხოვნის მიცემის, რაისა გამო-ყველაფერი შეჩერებულა.

არქიმანდრიტმა, დაუმატა, რომ ლაპარაკში სპარსული სი-
ტყვები უხვად შეპარვიად, სხვაფრივ ისევე ქართველობენ,
როგორც ზემოთ მოვიხსენეთ.

რაც ქართველებმა ამბავი შევიტყეთ, რომ სპარსეთში ქა-
რთველები სცხოვრობენ და დღევანდლამდე ქართულათ ლაპა-
რაკობენო. მას შემდეგ გავიდა ოთქმის ოვრამეტი წელიწადი
და თფილისის სომხურ გაზეთ „ნორ-დარში“ დაიბეჭდა წერი-
ლი სპარსეთილამ გამოგზავნილი, ამ წერილის დამწერი აღ-
გვიწერს სპარსეთში მცხოვრებთ ქართველთ ცნობებს. დამწე-
რი სწერს, რომ შემდეგ წერილებით დაწვრილებით აღვწერთ
ქართველთ ცხოვრებასა და გაგაცნობთო, მაგრამ შემდეგ ნო-
მრებში ჩვენ ეს წერილები ველარ ვნახეთ. აი რას იწერებოდა-
ნენ. მაშინ:

— თეირანიდამ მე მიმიწვია ერთმა ჩემმა მეგობარმა. მე-
წაველ მასთან, კარგა მგზავრობის შემდეგ ჩემის მასპინძლის
სახლში მივედი, ჩემის მისვლის დროს მასპინძელს არა სუ-
ლოდა, სამზადისში იყო. ამ დროს ერთს დარბაზში სტუმრე-
ბი უკვე მოგროვილიყვნენ. ჩემმა მასპინძელმა მითხრა: მე აქ
საქმეში ვარ, ვერ გელაპარაკები, თქვენ არ გეწყინოთო, ამი-
ტომ დარბაზში, სტუმრებთან შევიდეთ, იქ გაატარეთ დრო,
მე თქვენს ერთს მექვეყნეს გაგაცნობთ და ისაუბრეთ. ჩვენ მა-
ლე შეველით დარბაზში. იქ ისხდნენ რამდენიმე მოხუცი სა-
პატიო სომეხნი და სპარსნი და მათ შორის ერთი მოხუცი
ახუნდიც. ჩემი მასპინძელი ახუნდთან შივიდა. მეც მიმიყვანა
და ასე უთხრა:

— პატივცემულო ახუნდო! ეს სტუმარი თქვენი „პამჟარი“
გახლავსთ და გთხოვთ გაიცნათ. ჩე გავოცდი.

ახუნდმა საჩქაროთ სთქვა:

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი, კეთილი, დიდი მაღ-
ლობა, რომ ძლივს ერთი ქართველი კაცი ვნახე.

ახუნდს ეს სიტყვები სპარსულად უთქვამს, მერე ქართუ-
ლად დაუწყვია ლაპარაკი:

ბატონი, თქვენ საქართველოდამ ბრძანდებით, ქართველი ხართ?

სომებს დიდათ გაჰკვირვებია ქართული ენის გაგონება და ამას უთქვაში:

— მე სომები გახლავართ, მხოლოთ საქართველოში ვარ დაბადებული და ქართული ენა მიტომ ვიცი.

— ოჲ, შენი ჭირიმე, შენი! ახუნდმა დაიძახა ხმა მაღლა და სიხარულით სავსემ: — მე არ მქონდა იმედი, რომ ოდესშე აქ ქართველ კაცს ვნახავდი, ძლიერ მელირსა ქართული ენის მცოდნე კაცის ნახვა, საქართველოს მნახველი. გაცნობის შემდეგ ამათ ლაპარაკი დაიწყეს და ახუნდი სიტყვებს სულ პირიდამ გლეჯავდა თურმე და ისე ისმენდა სულ-განაბული, ახუნდს ძრიელ ეხაროდა საქართველოს მნახველის კაცის გამამასპინძელა, დიდი მაღლობა გადასცა, რომ ქსეთი ძვირფასი კაცი მაჩვენეო, მასპინძლობის გათავების შემდეგ ახუნდს მასპინძელი და მისი სტუმარი მესამე დღისათვის თავის სახლში მიუწვევია. დანიშნულს დროს ესენი წასულან ახუნდის სახლში, ახუნდს სხვა სტუმრებიც ჰყოლია მიპატიუებული, თვით ახუნდი საქმარისად შეძლებული და სახელოვანი კაცი ყოფილა, იქაურებში დიდათ პატივცემული. მასპინძლობის დროს ახუნდი დიდს აღტაცებაში მოსულა და ისე უთქვაში ქართულად:

— შენი ჭირიმე შენი, თუმცა ჩვენი სჯულის ძალით ქართულს, ან სხვა ენაზე ლაპარაკი აღკრძალული გვაქვს, მაგრამ მე მაინც ქართულად ვილაპარაკებ თქვენთან ვინც რამ უნდა სთქვას, ერთი მიამბე შენი ჭირიმე, თუ საქართველო საითქმნ არის და ან ქართველები როგორ სცხოვრებენ, როგორ მდგომარეობაში არიან დღეს, გთხოვ და გავალებ ჩემო ძვირფასო სტუმარო, რომ ყოველის ფერი მიაბო.

— ძალიან კარგი! მიუგო სტუმარმა და ამან დაიწყო საუბარი და უამბო საქართველოს მდებარეობა, უამბო, თუ საქართველო საით სძევს, აცნობა თუ საქართველო რამდენს ნაწილებისაგან შესდგება, რომ აქ სცხოვრებენ სხვა და სხვა.

მთის ხალხნი, მაგრამ ყველანი ქართულად ლაპარაკობენ და ქართველები არიან. ქალაქები აქვსთ, მწიგნობრობა და სხვანი. შესა ლაპარაკის დროს ახუნდი თურმე დიდათ აღელდა და თვალებიდამ ცრემლები წამოსცვივდა, ტირილი დაიწყო, საქართველოს შესახებ საუბარმა მოხუცი ახუნდი დიდათ შეაწუხა. წერილის დამწერი სწერს:

„მე რომ შევატყე მოხუცს ახუნდს, რომ საქართველოს ამბების მბობით ის დიდათ სწუხდებოდა და ტირილი დაიწყო, ამიტომ მე ლაპარაკს კილო შეუცვალე, რომ ისეც შეწუხებული მოხუცი ახუნდი უფრო არ შეწუხებულიყო. ახუნდი დამშვიდდა, ჩვენ ლაპარაკი არ შევწყვიტეთ და მთელი მასპინძლობა საქართველოზე საუბრით გავათავეთ, სტუმრობის გათავების შემდეგ ახუნდმა დიდი მაღლობა უთხრა ჩემს მასპინძელს. თვითონ ახუნდი ქართულად მშვენიერად ლაპარაკობს, ამის სახლობა-შიაც ქართულად ლაპარაკობენ. ახუნდს უთქვამს: რომ ჩვენს სოფელს გარდა აქეთკენ სხვა სოფლებიც არისო, საღაც სულ ქართველები სკეოვრობენ და ქართულად ლაპარაკობენო, ქართველებს მისვლა-მოსვლა, მეგობრობა, ნათესავობა და აღებ-მიცემაც მხოლოდ ერთშანეთში აქვსთო.

დამწერი არ აღვიწერს თუ ეს სოფლები სად, რომელ კუთხეშე და ხეობაში არიან გაშენებული. დამწერის ამ სოფლების სახელები რომ მოეყვანა, მაშინ ჩვენ ამას აღვილად გავარჩევდით. ეს სოფლები ათამ ონიკაშვილისაგან დასახელებული სოფლები არ უნდა იყოს, რაღვანაც ათამ ონიკაშვილი მოგვითხრობდა, რომ ჩვენი სოფლები მაზნდარანის იქით არს, ყულევის ხეობაზე, სპარსეთის სამხრეთ, ჩრდილოთ, საღაც ზამთარი და თოვლი ექვს თვეს იცისო „ნორ-დარის“ ცნობა კი მოგვითხრობს, რომ ეს სოფლები თეირანთან ახლოს ყოფილა. ასე რომ ეს სოფლები ჩვენ სხვა სოფლები გვვინია და არა ის, რაც წინეთ გავიცანით. ეჭვი არ უნდა, რომ სპარსეთში ბევრს ალაგს იქნება ქართველთა კვალი დაშთენილი, ამას წინედაც მაუწყა შემთხვევით ერთმა ქართველმა,

რომ სპარსეთის ერთს ხეობაში არს ერთი დიდი სოფელი, რომელსაც „გურჯი მეჰელეს“ უწოდებენ და ამბობენ, რომ ვითომც ძველად იქ ქართველები ყოფილან დასახლებულნიო, მაგრამ დღეს კი ქართველობის იქ არაფერი სჩანსო. ეს რა-საკვირველია ასე იქნება, რადგანაც ამ დაბაში ქართველთ ძვე-ლათვე არევიათ სპარსები, ამ დაბაში მხოლოდ ერთი უბანი ყოფილა, სადაც მარტო ქართველნი მდგარან და ამიტომაც ამ უბანს ქართველთ უბანი დარქმევია, ანუ გურჯი მეჰელე-ვინმე ქართველმა რომ დაიაროს მთელი სპარსეთი და გაიცნას ყოველი თემი და ხეობა სპარსთა, მაშინ ის იქ ქართველთა კვალს ბევრს მიყრუებულს, მიუვალს და შეუვალს ადგილებში ჰპოვებს, სადაც ბევრს რასმე შეჰკრებს სპარსეთში დალუპულთ ქართვე-ლთა ყოფა-ცხოვრების შესახებ, რაც ქართველთ მეოსტორიეს დიდათ გამოადგება. თეირანსა და ხორისანს შეა არის პატა-რა ქალაქი მეამე, სადაც ქართველები სცხოვრობენ და ესენი ქართულ და სპარსულად ლაპარაკობენ.

ძველათ ქართველებს სპარსეთში უფრო ასახლებდნენ შემდეგ ადგილებში: მაზანდარანის მიდამოებში, ფარისის რანის, ზალდალის, შირაზის, თავრიზის, გილანის ზღვის ნაპირებს და ხორისანს იქით, სადაც თოვლი და ზამთარი ეჭვს თვეს იცისო. კაცი თურმე ბევრს მეჩითებში ჰპოვებს მიცვალებულთა საფლავის ქვებს, რომელთა სპარსული წარწერანიც მოწმობენ, რომ იქ ასაფლავია ვინმე ხაქართველოს მეფის ან მთავრის შთამომავალი, როგორც მაგალითებრ გუმის მეჩითში ხოსრო მირზა არის დასაფლავებული.

ჩვენდა სასიამოვნოთ და სანატრელათ, ამ უკანასკნელ დროს, საქართველოდამ სპარსეთში გაემგზავრა ქართველთა ძვირფასი მოღვაწე ვლალიმერ აღნიაშვილი და იმედი გვაქვს, რომ ეს ძვირფასი მოღვაწე ქართველთა საკმარის ცნობებს. ჩვენგან შორს წასულ და სამუდამოთ დალუპულთ შეჰკრებს ჩვენგან შორს წასულ და სამუდამოთ დალუპულთ სპარსელთ ქართველთა ყოფა-ცხოვრების შესახებ, რომელ ქართველთა ამბები სპარსეთში აქა ჩქ ბევრს ეხსომება კიდევ.

1907
11 წლის 10 თებერვალი

რაც ხანი გადის, მით სპარსეთში მცხოვრებ და დაღუპულ ქართველთა შესახებ სომხურს მწერლობაში ხანდისხან აქა იქიდამ ცნობებიც სჩნდება. მაგალითებრ 1902 წ. სომხურ გაზეთ „მშაკის“ 186 ნომერში აი რას სწერდა სპარსეთიდგან ბ. ავაქიანი.

„სხვათა შორის, რამდენიმე სიტყვა უნდა მოგახსენოთ შემდეგს შემთხვევაზედ: წარსულში მე მომიხდა მგზავრობა მაზანდარანისაკენ, იქ მგზმვრობის დროს, სხვა და სხვა სპარსთა სოფლებიც ვნახე, სხვათა შორის მე მივეღ ერთს დიდს სოფელში. ერთს სპარსელთაგანს ვკითხე — რა სოფელია ეს?“

მან მიპასუხა:

— გურჯი მაჰალა (საქართველოს სოფელია), ჩვენც წინ ეთ თქვენთაგან ვიყავით, ჩვენი მაშა-პაპები შაჰბაზს საქართველოდამ ტყვეთ წამოუყვანია.

გაროლაცა და ერთი რამ: მათ ცხალათ ეტყობათ და ამ-ტკიცებს მათი სახის მსგავსება, მათი სახის გარეგნობა ნამდვილი მსგავსება არის ქართველისა, დედობრივ სქესის სილა-მაზეც ნამდვილი ქართველი ქალის სილამაზეს ასაბუთებს, ქრის-ტიანურ ჩვეულების მათ დღემდე შეუნახავთ ერთი ჩვეულობა: გამოსაცხობ ცომის გუნდებს ზედ ჯვარს ასვენ, ანუ ამით ნიშნავენ და სხვანი.

სპარსეთში მცხოვრებ ქართველ კათოლიკეთ პატრი რაფიელ ნებიერებისაგან მივიღე წერილი, რომელიც მომყავალური გველობისათვის.

ბ. ზაქარია! გამაჭმალიანებული ქართველები არამც თუ მარტოდ ჭველად ყოფილა სპარსეთში გამრავლებული, არა მედ ეს დღესაცი გახლავს და ქ. ისპანიაში გამაჭმალიანებული ქართველთ შთამომავლნი მრავლად სცხოვრებენ აქა იქ უბნებში. ამ მოკლეს ხანში, სალმასტიდგან იქ მომიხდა მგზავრობა და ქ. ისპაპანში მე ჩემის თვალით ვნახე ქართველი სპარსელები და მათი ქართული ლაპარაკი მეც მოვისმინდ.

ამათ ნახვით კაცი მარტივ დარწმუნდება, რომ იგინი სპარსთა შთამომავალნი არ უნდა იყვნენ. სპარსთა შთამომავალნი უფრო მოშავო კანის არიან და მასთან ტან დაბალნი და ქართველთ შთამომავალნი-კი უფრო თეთრის სახის არიან და მასთან უფრო ლამაზი. აქეთ ამბათ არს დაშთენილი, მოხუცებულებმა კარგად იციან და ერთს სპარსულს წიგნში აწერილიც არის, რომ სპარსეთის შაჰებს ქართველები სპარსეთში უფრო იმ ჰაზრით მოჰყვანდათ, რომ მათის დაკავშირებით თვისი ტომი გაემშვენიერებინათ. ვთიქრობ, რომ მათვის ამის გარეშე სხვა რამ მიზეზი არა უნდა ყოფილიყოს რა.

ისპაპაანის ქართველთ დღემდე შერჩენიათ ქართული ენა, მაგრამ უხმარებლობის გამო ამ ბოლოს დროს, მათში ესეც შერყეულა, ენა და მისი კანონიერი ხმარება ამოვარდნას მისცემია. ამის უმთავრეს მიზეზათ ის გარემოება უნდა მივიღოთ, რადგანაც ქართული ენა იხმარებოდა მხოლოდ ურთი ერთ ქართველობაში. სპარსელ და სხვა თათრებთან ხაყოველთავი სპარსულს ენაზედ სწარმოებს საუბარი, და ამიტომ ადვილი შესაძლებელია, რომ სულ მოკლე დროის განმავლობაში ქართველთ სამუდამოთ დაავიწყოდებათ ქართული ენა და მით ამოვარდება ყოველივე.

იქვე, ისპაანის ქართველებში დღემდე შენახული სხვა და სხვა თამასუქები, ქართულათ ნაწერები, ზოგს თამასუქს ქართულ ნაწერების გარდა სპარსული ნაწერიც აქვს. სწორე მოგახსენოთ, ამ თაშასუქების წერის დროს მე ვერათერი ვსკანი, ცხადი საქმეა, რომ იგინი დაიწერებოდნენ იმ დროს, როცა სპარსელ ქართველებში ქართული ენა და წერა-კითხვა-მეფობდა, როცა მათში ქართული ანბანი მკვიდრად არსებობდა და მიტომაც შუა გულს სპარსეთში ქართველებს თავიანთი თამასუქებიც ქართულად უწერიათ. რასაკვირველია ყველა ეს უნდა ყოფილიყოს არა უგვიანეს XVIII საუკუნის ნახევრისა. ვეცდები, რომ ასეთი წერილები შევკრიბო და საქართველოში მოგაწოდოთ.

გარდა ასეთის ცნობების, სალმასტის, ერთ სოფლის სასაფლავოზედ, რასაკვირველია მუსულმანების, ასაფლავია ერთი ქართველი თავადიშვილის გვარი, რომლის საფლავსაც ქვა აძევს და ზედ წაუკითხავ ნაწერებს გარდა ერთი ლეკურიც არის დახატული. ამ ქართველის თავადის შესახებ სპარსელ მოხუცებულებში დაშთენილია შემდეგი გარდმოცემა:

ეს თავადი საქართველოდამ იყო მოსულიო, იგი ჩვენს ფაშიდ იმყოფებოდა, ამ პირთან თეირანიდამ ხშირად მოდიოდნენ სხვა და სხვა ქართველები და ნახულობდნენ, ხოლო იგინი აქ დროებით შთებოდნენ და შემდეგ ისევ უკან ბრუნდებოდნენ. სხვა რამ ცნობები ამ თავადის შვილის შესახებ არაფერი იციან და თუ რამ შევიტყე და შევკრიბე, ყველა მათ თქვენ გაახლებთ. „რვერია“ 1901 წ.)

თქვენი პატივის მცემელი პატრი რაფიელ ნებიერიძე.

ქ. ხოროვი, სპარსეთს.

ძვირფასი დოკუმენტები

სპარსელ-ქართველების შეხარება — ნამბობი სპარსეთში მყოფის კათოლიკუთა მქადაგებელის და „ლაზარისტების“ ძმობის წევრის რაფიელ ნებიერიძის-მიერ.

მოგეხსენებათ რომ, „ქართლის ცხოვრება“-ში ბევრს აღაგას არის ნათქვამი: „სპარსთა შაპე-შაპი მოვიდა, ქართლი აჰყარა და სპარსეთს გადასახლა“, ანუ „შაპ-თამაზი მოვიდა და ქართველნი გადასახლა“, „შაპბაზი მოვიდა და ქართლიდამ 120 ათასი ქართველი გადასახლა“, ზოგის თქმით 100 ათასი, ზოგის თქმით მეტ ნაკლები. ამ სამწუხარო ცნობებს იმ დროის ევროპის მოგზაურთა მოძღვარნიც ასაბუთებენ, ნამეტურ დელავალე, შარდენი და ბევრნიც სხვანი. დელავალეს თქმით, სპარსეთში ქართველ ყარიბთაგან შემდგარი ყოფილა ცხენოსან ლაშქართა გუნდი, რომელთა რიცხვიც 30 ათას კაცამდე აღიოდა თურქე. ასეთი გადასახლება ჩვენს ჭვეყანას ხშირად მოჰვლენია ხოლმე.

თუმცა ეს კაცთა ბოროტებით აღვსილნი ნადირნი თავიანთ მოსვლას ქართველებზედ უწყალოდ ხმარობდნენ და მით ჩვენს ქვეყანასაც აუქლოურებდნენ, მაგრამ ეს იყო მხოლოდ დროებითი, წუთიერი, სამუდამოდ-კი აქ ფეხს ვერ იმაგრებდნენ, მალე ქურდულად მიიპარებოდნენ, თორებ ქართველთაგან ისეთი მუსრი გაევლებოდათ, რომ ბოლოს აქედგან ერთი კაციც აღარ დაბრუნდებოდა სპარსეთში. ქართველებიც სამაგიეროს მალე უხდიდნენ და ხშირად ანანებდნენ ხოლმე ჯავრს. ვისაც ჩვენი ისტორიული წიგნები უკითხავს, იმას უთუოდ ასობით და ორასობით ეჭმნება ისეთი ცნობები წაკითხული, სადაც ქართველთა გმირობა და ვაჟკაცობაა პირუთვნელი არს აღწერილი. ეს რომ ასე არ ყოფილიყოს, მაშინ, შერწმუნეთ, ქართველიც ისევე შემცირდებოდა და მოისპობოდა, როგორც ეს სხვა ქრისტიან ერებს ეწვიათ მუსლიმთაგან.

სპარსელ ქართველთა გადასახლებაზედ საკმარისი საბუთები გაგვაცნო ანატ ფურცელაძემ თავისს ისტორიულს გამოკვლევაში „ბრძოლა საქართველოს მოსპობაზედ“ და ვ. აღნიაშვილმა თავისს ვრცელს მოგზაურობათი, რომელიც ამ აზრით წავიდა განგებ სპარსეთში და ქართველთა შესახებ ბევრი რამ ცნობები შეკვრიბა და ანუსხა. თუმცა სპარსელ ქართველთა შესახებ ცნობები გვაქვს აქა-იქ ისტორიულს წიგნებშიაც და ამ უკანასკნელს დროსაც აღმოჩნდა ზოგი რამ მასალა, მაინც ეს საქმე ჯერ კიდევ ისე არ არის აღვსებული, როგორც საჭიროა და გვენატრება. აი, ეხლაც მოგვყავს შემდეგი ცნობები, რომელებიც გაღმოგვცა პატივცემულმა ქართველ კათოლიკეთა მოძღვარმა-მქადაგებელმა ლაზარისტ რაფიელ ნებირიძემ.

ურიგო არ იქმნება, აქ რამდნიმე სიტყვა თვით ამ ლაზარისტ რაფიელ ნებირიძეზედაც ვსოქვათ. რაფიელ ნებირიძე ქართველი კათოლიკე, თემით ახალციხელი, რომში გაზრდილი, იქაურ კათოლიკეთა სასულიერო სასწავლებელში

უსწავლია, შემდეგ პატრათ კურთხეულა და „ლაზარისტების“ ძმობის წევრად შესულა. შემდეგ კურთხვვისა პატრი „ლაზა-რისტების“ ძმობას სპარსეთის მქადაგებელად დაუნიშნავს და ესეც მალე გამგზავრებული სპარსეთში.

სპარსეთში პატრი დაიარება აქ-იქ შორეულს კუთხეებში, საღაც ქრისტიანი ქალდეველნი და სხვა ტომის ერნი სცხოვ-რობენ. კარგა ხანია, რაც ეს მქადაგებელი პატრი იქ იმყო-ფება. 1900 წ. საქართველოში ჩამოვიდა. გამაცნო იგი დონ-გაბრიელ ასლანიშვილმა, გაცნობის უმაღლეს პატრმა სიტყვა ქართველობაზედ ჩამოაგდო, შემდეგ სპარსელ ქართველებზედ დაიწყო საუბარი და ბოლოს მიამდო.

სპარსეთში, ზოგიერთ ალაგას, ქრისტიანებმა და თათ-რებმაც კარგად შეიტყეს, რომ შე ქართველი ვარ. ერთს ალაგას ლრმა თათარმა რაღაც დახვეული ძველი ჰერგამენტები მომიტანა და მომცა:

— ჩვენ შევიტყეთ, რომ თქვენ ქართველი ბრძანდებით. აი, ეს ტყავის ქაღალდები მოვიტანეთ თქვენთან, რომ ეგვები გაშინჯოთ, შიგ თქვენებურად ლოცვები სწერია; გვინდა შევიტყოთ, რა ლოცვებია, რადგანაც იგი ჩვენი ძველების გა-კეთებულია და ჩვენ-კი არ ვიცით, თუ შიგ რა სწერია, რა ლოცვებია, ჩვენები ამას გულზედ ატარებდნენო.

მეც გადავშალე ეს დახვეული ჰერგამენტის ფურცლები და ძველად რომ „ავგაროზათ“ ჰქონიათ მიჩნეული, შიგ ქარ-თულად მხედრულის ხელით ნაწერები აღმოჩნდა. მე მართლაც ლოცვები მეგონა, როგორც სახოგადოდ იცოდნენ ხოლმე „ავგაროზებში“ ჩაწერა; დავიწყე კითხვა და ლოცვების შაგივ-რად სულ სხვა აღმოჩნდა. და აი, ამის შესახებ პატივცემულმა პატრმა სიტყვიერად რა გადმომცა:

ერთის ქართველ ოჯახისათვის გათათრება დაუპირებიათ, მაგრამ ოჯახის უფროსს არ უქნია, არ გათათრებულა და მთელი სახლობისთვისაც იგივე დაუვალებია, რომ არც ისინ. გათათრებულიყვნენ და ქართველობაზედ მაგრა მდგარიყვნენი

მაშინ სპარსეთში, მოკეხსენებათ, დიდ-ძალი ქართველობა სცხოვრობდა. რომელნიც ძალად იქმნენ გათათრებულნი. რამდენისამე ხნის შემდეგ ზემოდ-ხსენებულ ოჯახის უფროსი წევრი სპარსეთის შაჰის ბრძანებით დაუკერიათ და დაუპატიმრებიათ; ციხეში მისთვის სატანჯველიც მიუყენებიათ, ძალას თურმე ატანდნენ — გათათრდით. ეს ამბავი მისს შვილებსა და სხვა ქართველებს შეუტყვიათ. შვილებს განუზრახავთ, მამის ნახვა, გამხნევება სდომებიათ. მაგრამ საპატიმროში არ მიუშვიათ, არ უჩვენებიათ. ამავე მოხუც ქართველთან სხვა ქართველებიც ყოფილან დაპატიმრებულნი. ესენიც დიდს ტანჯვაში ყოფილან ჩაცვინულნი.

უკანასკნელთ, რაკი ვეღარა გაუწყვიათ-რა, აი რა საშუალება მოუგონიათ: გაუკეთებიათ ეს „ავგაროზი“ და ციხეში შიუტანიათ; ციხის მცველისათვის უთხოვნიათ, რომ ეს „ავგაროზი“ ამა-და-ამ მოხუცს გარდაეცით, რადგანაც მის საკუთრებას შეაღგენს, გულზედ უნდა ატაროსო. ციხის მცველთაც შეუტანიათ ციხეში და აღნიშნულის მოხუცისათვის გადაუციათ. მასაც გაუშლია ეს „ავგაროზი“, შიგ ნაწერი ამოუკითხავს და შემდეგ ესევე „ავგაროზი“ უკან დაუბრუნებია, თუ გულზედ დაუკიდნია, ამისი რჩაუერი სჩანს; მხოლოდ შემდეგ ერთი ასეთი „ავგაროზი“ ამ მოხუცსაც დაუბრუნებია თავისს შვილებისათვის. ერთ ავგაროზში, რომელიც შვილებს გაუზავნიათ მამისთვის, წერებულა შემდეგი:

„მამაო, შევიტყეთ, რომ შენ თურმე მანდ ციხეში დიდადა გტანჯავენ, ძალიან ვსწუხვართ ამასა და სასტიკად ვიტანჯებით, რომ ჩვენის სჯულის გულისათვის მოხუცებულს მამას შანდ გვიტანჯამენ. მაგრამ იმედი გვაქვს, ღვთით, რომ შენ უველა ამ ტანჯვას მხნედ აიტან. და ციხიდასც მოესწრები განთავისუფლებას. იმედია, ჩვენს მტერს ღმერთი სამაგიეროს გარდაახდევინებს, შენ იყავ ოლონდ მაგრა და მტერს ნუ შეუშინდები, ნუ გატყდები.“

მეორე „ავგაროზში“ სწერია შემდეგი:

„შვილებო, შევიტყე, რომ თქვენ თურმე თქვენის მოხუ-
ცებულ მამის პატიმროისა და ტანჯვის გამო სასტიკად იტან-
ჯებით; რა გაეწყობა. მე მაგრა ვარ, არა მიშავსრა, თქვენ
იყავით ოლონდ კარგათა და ჩემთვის ნუ სწუხართ. იმედი
შაქვს, ღმერთი ჩვენს მტერს არ შეარჩენს, მალე მოჰკითხავს
სამაგიეროს, მეც მეშველება გამოსვლა, თქვენ ჩემზედ ნუ
სწუხართ, ნუ დარღობთ თქვენს მოხუცს მამას ვერც გაათათ-
რებენ და ვერც გასტეხენ, ოლონდ თქვენც ასე მაგრა იდე-
ჭით სჯულზედ და მტერმა არ დაგძლიოთ.“

აქ მოყვანილ ცნობებს გარდა სხვა-და-სხვა ცნობებსაც
ატყობინებენ ერთმანერთს, მაგალითებრ: შვილები მამას იქ
დროის სპარსთა მთავრობის ვარემოების ცნობებს ატყობინე-
ბენ, მთავრობის წინააღმდეგ ხალხი როგორ ჩოქოლშია და
მით ამათაც ეძლევათ შავბაზის დაცემის იმედები. ასევე მამა
ატყობინებს შვილებს საპატიმროს ზოგიერთს ცნობებს. ორი-
ვე „ავგაროზი“ ერთის ზომისანი არიან, სხვა-და-სხვა ხელით
ნაწერი, ქართულის კარგის მხედრულის ასოებით. ნაწერიდან
სჩანს, რომ მისნი დამწერნი მწიგნობარნი უნდა ყოფილიყვნენ.
ასე და ამ გვარად, ასეთის ოსტატობითა და „ავგაროზებით“
უცნობებიათ ერთანეთისათვის სხვა-და-სხვა ცნობები. ეს
ოსტატური საქუიელია და სპარსნი ასეთ „ავგაროზების“
გაგზავნ-გამოგზავნით ვერაფერს ეჭვს აიღებდნენ, ყოველთვის
საღმრთო ხასიათს მისცემდნენ, რაღვანაც ეს მათშიაც ძრიელ
იყო გავრცელებული და თითქმის ყველა სპარსს ჰქონდა გულ-
ზედ „ავგაროზი“ ჩამოკიდებული. ასეთი „ავგაროზები“, მით-
ხრეს მომტანთ: ჩვენში ბევრს ალიგს არისო, ბევრს ოჯახე-
ბში აქვთ დაშთენილიოთ. ყველგან იმასა ფიქრობენ, რომ მას-
ში ლოცვები სწერია. აქედგან კარგადა სჩანს, რომ სსენებულ
კუთხის მცხოვრებთა შორის ქართველთა შთამომავალნიც
მრავლად უნდა იყვნენ, ძალით გათათრებულნი და ქართვე-
ლობისათვის დაკარგულნიოთ. მქადაგებელმა აი, კიდევ რა
დაუმატა:

— არ შემიძლიან გარდოქცეთ ის მწუხარება, რაც კი
ამ „ავგაროზების“ კითხვის დროს ვიგრძენი. ტირილი მომივი-
და, ბევრი რამ გამახსენდა ჩვენის ტომის უბედურ ისტო-
რიიდამა. მაყურებელ სპარსთ ძრიელ უკვირდათ ჩემი ამ გვარი
გარემოება, მაგრამ აბა რას მიჰხედებოდნენ!

პატრის რაფიელ ნებიერიძეს დიდის შუღარებით დავა-
ვალე, რომ აღნიშნული „ავგაროზები“ ეგების იშოვნოს
და გამოგვიგზავნოს, ხოლო თუ შეძენა ვერ შეიძლოს, მაშინ
გადმოგვიწეროს. მაინც პატრიმა სრული თანხმობა აღიარა:
სრული იმედი გვაქვს, პატიფუმული პატრი რაფიელ ნები-
ერიძე დაპირებას აასრულებს და მალე თუ არა, ოდესმე
გამოგვიგზავნის ამ ძვირფასს ცნობებს. სრული მოიმედენი
ვართ, რომ იგი სპარსეთში ყოფნის დროს შესამჩნევს მამულის-
შვილობას გამოიჩენს და, სხენ ებულს ცნობებს გარდა, სხვა
რამ ცნობებსაც შეჰქრებს. ცნობებს ძებნა უნდა, თორემ იქ
უთურდ აღმოჩნდება, რადგანაც ისტორიიდგან ვიცით, რომ
სპარსეთში დიდ-ძალი ქართველობა სცხოვრობდა, მათ იქ დი-
დი ტანჯვა გამოიარეს, ბევრიც საგმირო საქშე ჩაიღინეს.
ბევრი ცნობები უნდა დარჩენილიყოს თუ წერილებით, თუ
ქართულის წიგნებითა, სხვა-ლა-სხვა ნივთებითა და ზეპირ
გარდმოცემითაც. ამას მხოლოდ სპარსულ-თათრულის ენების
მცოდნე კაცისაგან მოძებნა და შრომა სჭირია.

„ივერია“ 1901 წ. № 239.

შავი დრო

ქართველებმა მეჩვიდმეტე საუკუნეს „შავი დრო“ უწო-
დეს: ამაზეა ნათევამი:

„შავთა დროთ ვერა შესტევალეს მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მებრძოლი შავის ბედისა“
ზოგნი იტყვიან ასეც: — „მოყვარე თავის მიწისა“ და სხვანი.

დიახ, ეს ასე გახლავსთ და ქართველი დიდი მოყვარეა თავის მიწისა. ამ შავს დროს, ანუ ქართველების მეტად ჰნელს და უბედურს საუკუნეზედ თვალთ საჩინო წიგნი გვაქვს ჩვენ ქართველებს, ეს წიგნი გახლავსთ ანტონ ფურცელაძისაგან დაწერილი „ბრძანება საქართველოს მთხოვთაზე“, ანუ დიდის მოურავის გიორგის ცხოვრება. ეს ისტორიული გამოკვლევა არის საფუძვლიანი წიგნი XVII საუკუნის შესახებ, დამწერმა „შავთა-დროთა“ მაგიერ იხმარა „ბრძანება საქართველოს მთხოვთაზე“ და უნდა ითქვას, რომ ეს უფრო ზედ-გამოკრილია ხსენებულს საუკუნეზედ. რადგანაც მაშინ დაიწყო ქართველთ ტყვევნა, გარდასახლება-ემიგრაცია, სრულიად მოსპობა თავის მიწა მამულზედ, გაწყვეტა.

მთელის აღმოსავლეთის ერთა პოლიტიკა XVII საუკუნეში იმით დაგვირგვინდა რომ სამცხე-საათაბაგო და იმერეთი ოსმალეთს უნდა დაეჭირა და გაეთათრებინა და ქართლი და კახეთი სპარსეთს დაეპყრო, ქართლის ერი ამოეწყვიტა და კახელნი სპარსეთში გადაესახლნათ. ამის მეთაურობას სწევდა ბარბაროსულად გასდილი შაპაბასი, ქართველის ქალის ნაშობი, დედა ამისი შალიკაშვილის ქალი გახლდათ, დედამ დასწუევლა ეს ბარბაროსი როცა საქართველოს ასაკლებად წამოვიდა. მიზეზები საქართველოს ამოგდების და მოსპობის იყო ორ ნიირი მხარე, ერთი ქრისტეს სჯული, რომელიც მუსულმანებს დიდათ სძულდათ და მეორე ქართველების რუსებთან დაახლოვება XVII საუკუნეში, კახელ მეფეთა მიწერ-მოწერა მათთან და რომთან, რაც სპარსელებს ძრიელ აშინებდა. ასევე ეშინოდათ ოსმალთაც.

საქართველოს მოსპობა აღმოსავლეთის თათრებმა ერთის მხრით მიტომაც გადაწყვიტეს, რადგანაც საქართველო სხვა სამეფოებივით ადვილად ვერ დიამხეს, ვერ მოსპეს. მართალია ქართველებს ათი სამეფო ერთად ეცემოდენ: ოსმალნი, სპარსი, არაბი, ქურთი, შირვალნელნი, ავლანელნი, სამარყან-დელნი, თურქენნი, კავკასიის მთიელ-ველურნი და სპარსე-

თის სხვა და სხვა თემთა თათართა სამთავროები, მაგრამ მაინც საქართველოს ვერ იმორჩილებოდნენ ისე, როგორც დამხეს არმენია XI საუკუნეს, ბიზანტია XV საუკ. ძველის-ძველად ქალდეველნი, სლავიანთა ტომთა სამეფოთა ბოლგარეთი, სერებია, რუმინია, ჩერნოვორია, ბოსნია, დალმაცია და ბევრიც სხვანი. მიზეზი აშისი იყო ქართველების განუსაზღვრელი გმირობა, შამულისათვის ბრძოლა, ერთი ბეწო მტკაველი მიწის არავის დათმობა, წართმევა და სხვანი. ქართველებს არც სხვებისაგან წართმევა მოსწონდათ და არც თვით ეცილებოდნენ სხვებს წასართმევად. ამიტომაც თათრები ვერ ახერხებდნენ ქართველების სრულიად დამხობას. ვერ ახერხებდნენ მიტომ, რაღვანაც საქართველოში, ქართველებში, ყოველი პირი აი ასეთის მცნებით იყო სავსე;

დედები თავიანთ პატარა შეილებს აკვანზედ დამღერდენ ქვეყნის შეილობას და ერთგულებას. ასეთ ერთგულ ძლიერებას კარგად ასაბუთებს სიმონ მეფის ერთის წერილის შემდეგი სიტყვები, რომელ წერილიც მას რ მის პაპისათვის მიუწერია. აი — „მრავალ გზის შევებით ოთხმანებს. ვგთნებთ თქვენც (ჰაპს) შეიტურბდით, რათდენი შეწუხება და ტანჯვა გამოვარეთ, მაგრამ მაინც გული არ გავიტეხეთ. ჩემს თავს გავსწირავ ერთანად და აგრეთვე ჩემს ჭრთა შეიძებს, დავდორი ჩემს სისხლს ვიდრე უგანასკნელს წვეთამდე, ვიდრე პირში სული მიდგა ხელს არ ავიღებ ასმალების წინააღმდეგ თმზედ“. და სხვანი მრავალნი ამ გვარნი, რაც ცხადათ ასაბუთებს მაშინდელთ ქართველთ მამული შეილების სულის ძლიერებას.

არავინ, იფიქროს, რამ ასეთის განუსაზღვრელის გმირობით მარტოდ მეფენი და მთავარნი იყვნენ, არა, თითქმის ყველა ქართველი ასეთის ცნებით იყო ავსილი, მიტომაც სწირავდენ იგინი თავს მსხვერპლად. საქართველოს მიწა-მამულს აკვდებოდნენ და ერთ ბეწო ალაგს არვის უთმობლნენ, თუ არ ასეთი შერთებული პირობა მთელის ქართველის ერისა, თუ არა ასეთი თავ-განწირვა, უამისოდ დღეს ქართველის

ხსენება საქართველოში გამჭრალი იქმნებოდა და მისი ტერი-
ტორიაც დაკარგული. მაშინ კი გადავრჩით შავს დროის
მახვილს და ეხლო კი ვკარგავთ ჟველაფერს და ვესალმებით
საყოველთაოდ საქართველოს ერთობას, ქართველ ერის მიწა-
მამულს და მივდიგართ გულა-ნაბად მოკიდებული საიქიონ
ჯანდაბისაკენ, ვესალმებით უველაფერს, ვყიდით, ვფლინგავთ,
განუსაზღვრელის მიწა-მამულის მოყვარე გლეხ-კაცობასაც
გულს უცრუვებთ საქართველოს მიწა-მამულზედ მჭიდროდ
ყოფნისათვის და გულში უნერგავთ გულ-ცივობას საქართვე-
ლოს ერთობის, მიწის სიყვარულის და მასზედ მკვიდრად
ყოფნის.

უნდა ითქვას რომ XVII საუკუნე არის შავი-დრო
ქართველთა, შავზედ უფრო მეტიც. სისხლის წვიმების დრო
როგორც 'თქმულა „ნებზარ ერასთვის დროსათ, სისხლის წვიმების
დროსათ“ ქუდზედ კაცის ძახილი, მდევარი, დედაკაცებ-
თაგან მეომართა დედების გამოყვანა, თვით მღვდელნი და
ბერნიც იბრძვიან, ბრძოლას არც მღვდელ-მთავარნი ერიდე-
ბიან, საქართველოსთვის დგება დიდი განკითხვის დღე. ამ
დროს უნდა გადაწყდეს ქართველ ტომის არსებობის ბედი,
ამ დროს უნდა ალიგავოს საქართველოს პირზედ ქართველის
ხსენება, ამიერიდამ უნდა მოისპოს ქართველობა და ეს ძვირ-
ფასი კუთხეც, ქართველების სისხლით მორწყული და
გაპოხიერებულიც მუსულმანთა ტომის საბინადროთ უნდა
გადაიქცეს. სწორეთ მიტომაც წამოვიდა საქართველოში შავ-
აბაზი და თან წამოიყვანა აუარებელი აღმოსავლეთის ტომთა
ჯარი, რომელთა საშუალებით გადალახა მთელი საქართველო.
ესეთი მაგალითი იშვიათი იყო ხოლმე რომ ყეინი თვით
წასულიყო საომრად საქართველოზედ, ეს ბარბაროსიც თავის
მამის მსგავსად თამამად მოვიდა საქართველოში, მართალია
წალილი შეისრულა, მაგრამ მაინც ისე ვერ როგორც სურდა-
კახეთი კი დაამხო, წელში გაწყვიტა. გადაასახლა.

მას სურდა მთელი ქართლის ერის ამოწყვეტა და კახელ-
თა და ბერდუჯელთა სრულიად სპარსეთში წაყვანა. პატრი
ავიტაბოლის სიტყვით*) ყეინმა დაწო ქალაქები, დაბები, ხოცა
ხალხი უღმერთოდ და უსამართლოდ, მთელს ქართლს ზარ-
დასაცემი სურათი ეშალა თავზედ. დაამხო ყველაფერი, მოსპო,
გააუქმა, დაანგრია ტაძრები, წაბლალა ყოველივე როგორც
ხელოვნური ჩუქურთმა, ისევე ფერადი ხელოვნური მხატვრო-
ბა. მოიტაცა ძვირფასი ნივთიერულობა, დასწვა და დადაგა
ბევრი რამ ქართული ძველი წიგნების, ერთის სიტყვით
მთელს ერს მძლავრი მეხი დაარტყა და დააუძლურა, ბევრს
თვალთაგან ცრემლები ადენინა, ბევრს აუგო უღვთოდ ან-
დერძი, ბევრს გამოსკრა ყელი, ბევრის სისხლის სმით გაძლა
მისი სვავი გული. იგი იყო შეუბრალებელი ტირან-დესპოტი
და ტირანულადაც მოქმედებდა. მართალია აღისრულა საწა-
დელი, დანგრეულს და დაქცეულს საქართველოს სიამოვნებით
უმშერდა, ბევრს ქართველს აღვრევინა მწარე ცრემლები თავის
დანგრეულს და დაქცეულს საქართველოზედ, ბევრმა დალვა-
რა იერემიას გოდება, ბევრმა ქართველმა დაანთხია სისხლის
ცრემლები, მაგრამ რას იზივდენ, ერთზედ ათი, ოცი მოდიო-
და და აბა რა უნდა ექმნათ.

მაინც არც ქართველები დაეცნენ სულით, ესენიც
მძლავრად უხვდებოდნენ წინ და ბარბაროსთა ბრძოს გმირუ-
ლიათ ეომებოდნენ, ზედ აკვდებოდენ და უკან კი არ იხევდენ,
ამათაც კარგად ავნეს, ამათაც ისე გაღუბადეს სამაგიერო რომ
შაპაბაზს ქართლის ამოწყვეტის თავდარიგის შესრულება
ველარ განუხორციელდა, ქართლიდამ ძლეული და თითქმის
გაბრაზებული თფილისზედ დაბრუნდა, თფილისიდამ კახეთ-
ზედ გარნადირა და ისრულა მისმა სვავმა გულმა თავის
წალილი, ეს შესძლო მან მხოლოდ შიგნით კახეთის
ერთის ნაწილზედ, ბოდებს, საინგილოს, გარეთ-კახეთს და
მასთან ბერდუქისკენ, ანუ აწინდელს ბორჩალოს მაზრას,
აქედამ მოკრიბა 80 კომლი ქართველი, უფრო ისეთის

*) მ. თამარაშვილის ნაწერები.

კუთხიდამ სადაც განაპირო ადგილებში სოფლები შორი შორს იყო. დაჭრილებს სპარსელ ყარაულებ ქვეშ აპარიშ-რებდა და მერე რამდენსამე სოფლის ერს ერთად ამგზავრებ-და სპარსეთისაკენ. ასე არა უმეტეს თით სოფლის, ისე რომ მათ დანაც კი აღარ ფძლეოდათ. ერთ წყობას რომ გაის-ტუმრებდა, მის რამდენიმე დღის შემდეგ მეორე წყობას, მე-რე მესამეს და მეოთხეს.

გეგმა ისე ჰქონდა მოხერხებული, რომ გარდასახლე-ბულნი გზაში ერთმანერთს ვერსად შეხვდებოდნენ, რომ ერთ-მანეთის ნახვით შეერთება არ მოეხდინათ და უკან არ დიბ-რუნებულიყვნენ, ეს საქმე ბარბაროს ისე აქვნდა მოწყობილი, რომ ქართველთ სულ არ იცოდნენ თუ კაზეთიდგან ვის და სად ასხლებდენ, ყოველ გარდასახლებულს მხოლოდ საშუა-ლება ეძლეოდა რომ სპარსეთში შეიტყო ქართველთ გარდა-სახლებულთ საქმე, ამასაც ზოგი შეიტყობოდა, ზოგი ვერა, რადგანაც საქართველოდამ ჩაყვანილებს მარჯვნივ და მარ-ცხნივ აპნევდნენ ისე რომ მცირე ხნის შემდეგ ერთმანეთის ცნობაც კი აღარ იცოდნენ.

გარდასახლებულთ ყოველს ყოველთვის თან ახლდნენ სპარსთა ჯარის კაცნი, გარემოცულნი. უმეტესი ნაწილის ბარგი-ბარხანა საქონლით და ურმებით მიჰქონდათ, ზოგს, ჯორი და სხვა საქონელიც ახლდათ, ამასთან სხვაც ბევრი რამ, მაგრამ ყოველივე ესე მათ გზაში ჟწყდებოდათ ისე რომ სპარსეთში ჩასვლისას მათ იქ აღირა ჩაჰყვებოდათარა, თითქმის ყოველივე გზაში ესპობოდათ და ეხოცებოდათ.

თვითონ ხალხი კი ფეხით მიღიოდა ამათაც ეკიდათ ზურგზედ ბარგი-ბარხანა. ამათში ერივნენ ყველა წრის კაც-ნი, ქალნი, ახალ გაზღები, პატარები, შუა-ხანს შესულნი, ასე-ვე მოხუცნიც. გზაში ისინი დიდი გაჭირებას, დიდი სიმშილს, ავადმყოფობას და სიკვდილს სულიდნენ, ამათ გარდა აქვნ-დათ გოდება საქართველოზედ, მწარეს ცრემლებით ტირი-ლი. ყოველს მათგანს გული უტირდა მტრის მახვილი-

სა და ჯავრისაგან, ყოველს მათგანს სული უშფოთავდა მას-ზედ, რომ დაუძინებელი მტერი მათ ასალმებდა თავიანთ სამ-შობლო ქვეყანას, მამა-პაპათა სახლ-კარს, ბაღს, ბოსტანს, ყანას, მთას, ბარს, ნაშთებს, ცივ-წყაროებს, სუფთა ჰერს, მამა-პაპათა საფლავებს, თანა მემამულეთ, ქირთულ ენას, ქარ-თველ ერს და საქართველოს მიწა-მამულს, რასაც ისინი თვალით ყელარ ნახავდნენ. რამდენი ტიროდა ამისთვის, რამ-დენი გლოვობდა, რამდენი ლვრიდა ჩუმათ მწარე ცრემლებს ისე რომ ეს სპარსთა ჯარის კაცებს არ შეემჩნიათ, რამდენი სწყებლიდა მტრის გაჩენის დღეს და იმ წუთს, როცა იგი ჩა-სახა მის დედას გვამში, ყველა ამას კაცი ვერ მოსთვლის...

მგზავრობის დროს ძრიელ ხშირად ქართველნი დალ-ლულნი სიმშილისა და სიცივისაგან ავად ხდებოდენ, სპარ-სეთის მთავრობაც გზაში არაფერს დახმარებას აძლევდა, უმეტესათ ქართველნი სიმშილით მგზავრობდენ. ამიტომ ძრი-ელ ხშირად გზაში სტოვებდნენ უპატრონოდ თვით ისეთ ქართველთაც, რომელთაც სიარულის თავი აღარ აქვნდათ. ბევრს ალაგას გზაში უპატრონოდ დაუტოვებიათ ავადმყოფ-ნი მოხუცნი და გზაში ველარ უტარებიათ. ესენი შარა გზა-ში ყრილიან ავათმყოფნი, ულვრიათ მწარე ცრემლები, უწ-ყევლიათ თვისი ამგველი და ასე და ამგვარათ დაულევიათ ცის ქვეშ ტანჯული სული, ასევე დიდი ტანჯვით და სულის ალშტო-ვით დაულევიად გზაში სული ბევრს თვით ახალგაზდებსაც, რომ-ლებიც ავად ყოფილან და სიარულის თავი არ ჰქონიათ, და მიტომ მათ გზაში ტანჯვით თრევას, ისევ ერთს ალაგას გდება ურჩევიათ და ტანჯვით სიკვდილი. რაც ამ გვარად ქართველი სნეული კაცი და ქალი მომკვდარა გზაში, ყველა ამას ჩვენ ვერ ავნუსხამთ. რაც შეეხება პატარა ყმაწვილების რიცხს და უსენიც ხრშირად იხოცებოდნენ, ვინც ავად იყო და იმათ ტარება მშობლებისთვის ისე ძნელი იყო, რომ თავიანთ ბაჭ-შვებს თვითვე ულებდენ ბოლოს და მით თავისუფლდებოდნენ

მათი ტანჯვა საცოდავების მზერას და ტანჯვისაგან.

ასე და ამ გვარა ჩ ჩენ ვიცით, რომ ბელ შავ ქართველთაგან გზაში მგზავრობის დროს, იღვრებოდა მწარე ცრემლები საქართველოზედ და ამაზედ უარესი კიდევ მასზედ, რომ მრავალთ მათგან გზაში უცხო ალაგას და უპატრონოდ ელებოდათ ბოლო, ამათ საფლავებიც აღარ ეღირსებოდათ და ბოლოს ცოცხალ-მკვდარნიც კი ნადირის საჭმელნი გახდებოდნენ, ყოფილა ისეთი მაგალითები, რომ გზაში უპატრონოდ დატოვებულ ავალ-მყოფ სულთ მობძვავს ქართველის მგლებს დაუწყვიათ ჭამა და ლრლნა. ამისთანა შემთხვევები ერთობ ხშირად ყოფილა და ამიტომ მის გამო ბევრი მეტად მწარე ცრემლებიც დაღვრილა. როგორს ტანჯვასაც ქართველები სპარსთა წყალობით გზაში სცდიდენ, როგორს მწუხარებასაც აქ გზაში მზერდნენ, სპარსეთში ჩასვლის დროსაც არა მასზედ ნაკლები ელოდათ და იქ ჩარეკალნი, ნადირს, გაუგებარს ერში სწორეთ პამჰულები იყვნენ, საწყლები დიდს სულის მლელვარებას სცდიდენ და ტანჯვებს, მაგრამ რას იქმოდენ, ემორჩილებონენ მძლავრს მტერს.

ქართველების დიდს გადასხლებას მოჰყვა დიდი უძლეურება ქართველთა, მთელი სპარსეთი გაიგსო საბრალო ქართველებით. მათ სპარსთა მთავრობა არაფერს დახმარებას აძლევდა, თუ მისურმდა რამეს და მაშინათვე სჯულის გამოცვლას სთხოვდა. მთელის სპარსეთის ქალაქები სავსე იყო ქართველთა მათხოვრებით, ცუდათ და უსაშვალოდ მოსულთაგან. მერე ყაენმა ყველა ამ უბელურებს ის მოწყალება უყო, რომ ორ ორი ქართველი თითო შეძლებულ სპარსთა ოჯახებს მონებად მისცა. მონად დარიგების წყალობით სრულიად დაიქსაქსა ქართველობა და გაწყალდა, მაგრამ შემბრალე და პატრონი არ ვინ იყო. მთელს სპარსეთში ყველა ხედავდა ქართველების ცრემლს და ტანჯვას, ამ გარემოებს მკაცრად ყურადღება მიიპყრეს სპარსეთში მყოფ ლათინის პატრებმა და

პაპების წინაშე მოხსენებათა გზავნა დაიწყეს, ასეთია მაგალითებრ
პიეტრო დელა ვალე, რომელმაც სპარსეთში მყოფ ქართ-
ველთ ტანჯვები ანუსსა და პაპს აუწყა რომში 1624 წ. პატ-
რი ავითაბოლე, პატრი იაკობი. პატრი თადეოზი და ვინ
იცის რამდენი კიდევ სხვანი ენით მოუთვლელნი, რომელნიც
იმ დროს სპარსეთში სკეოვრობდნენ და ქართველთ ტანჯვა
ვაებასაც ყურადღებას აპურობდენენ.*)

სპარსეთში პყრობილ ქართველთ ტანჯვა-ვაებამ აამლელ-
ვარა ქეთევან დედოფალი, საღაც ყეინს შავ ბაზს ქართველთა
განთავისუფლებას ავედრებდა, სთხოვდა საბრალო ტანჯულ-
თა შინ, საქართველოში დაბრუნებას. ამ გარემოებამ შავბა-
ზის გული ისე გააბოროტა, ისეც მხეცი ისე გაამხეცა, რომ
ქეთევან დედოფალი პატიმარ პყრ და უბრძანა ხშის გაკმენდა
და, სჯულის გამოცვლა, რათ მის მაგალითით სხვა ქართველ-
თაც მალე დაეთმოთ სჯული. ქეთევან დედოფალმა ეს არა
ქმნა, იგი მაინც მაგრა იდგა და ქართველების საქართველო-
ში დაბრუნებას ითხოვდა, ეს გარემოება შავბაზმა ველარ აი-
ტანა და ქეთევან დედოფალი ქ. შირაზს, 1622 წ. აწამა,
ჯერეთ შანთით დადალა, ძუძუები დასკრა, სხვა ნაწილები და
მერე სულ დაკუწეს ნაკერ-ნაკერ. წამების დროს, ქეთევან
დედოფალმა ციხის მცველს უფროს სთხოვა, რომ დედაკა-
კაცისთვის ჯალათის წინაშე შიშველი არ არის კარგი რომ
იყოსო და ამიტომ ვითხოვ რომ ტანზედ ერთი სულარა შე-
მარჩინეთ და ისე დამდალეთო. სასჯელის წინეთ დედოფალმა
ანბანთ ქება სთქვა ლექსად „გაფი“ ამით მოსთქვა სპარსეთში
მყოფთ ქართველთ პატიმრობა: ან ამას ვსტირი, ბან ბნე-
ლსა მჯდომი, გან გულმდულარე დონ დანატირიო“ და სხვანი.
სწორედ ამ დროსა და ხანაზედ ითქმის იოსებ სააკაძისაგან
თქმული:

„თავთ ჩემთ ვით გასულო, სევდიანო, როგორ წელულო,
საქართველოს სჯულისათვის ათას ფერად წამებულო“.

*) ისტორია მ. თამარაშვილისა.

ჩვენგან შეუძლებელია ქართველთა შავი დღეების და-
წვრილებით ანუსხვა, მას დიდი, ვრცელი ისტორია აქვს,
სპარსეთში ქართველნი თუ რა ტანჯვას იტანდენ, რა წამე-
ბას, რა ცხარე სისხლის ცრემლებს ღვრიდენ, როგორ მოსტი-
როდნენ თავიანთ სამშობლოს და ან როგორ წყდებოდნენ
ულვთოდ, ეს კარგადა სჩანს იმ დროის ლათინის პატრებთა
აღწერისაგან. ქართველები რიცხვით სპარსეთში ერთს მილიო-
ნამდის არის წაყვანილი, მეტიც. მერე რა იქმნა ეს ხალხი?
რა იქმნა და ზოგი გზაში გაწყდა, ზოგი შიგ სპარსეთში, ზო-
გი გადაგვარდა და ამით მოისპო ყოველივე. თავი შეირჩინეს
მხოლოდ იმ აქ ანუსხულთ სოფლის ქართველთა, რომელნიც
შაჰა ბაზმა სპარსეთის განაპირა ადგილებში დაასახლა საყარა-
ულოდ და სადაც სპარსთ მათში მისვლა-მოსვლაც არ აქვნდათ;
იმ ამ გარემოებამ დასტოვა ეს ხალხი დღემდე თავის ენით,
თორებ ესენიც რომ სხვებივით დაეფანტა აქა იქ მთელს
სპარსეთში, მაშინ აღარც ხსენება იქნებოდა ამათი.

იმ ეს ქვემოთ მოყვანილი სოფლები, რომლებიც ეხლა
გვაცნობეს სპარსეთიდამ მოსულ ქართველებმა. ამ სოფლის
სახელების ვ. აღნიაშვილმაც აწერა, ჩემი წიგნის შეცდომებიც გაას-
წორა. მისის ანუსხვით ფერეიდანის კუთხის ქართველთა ნაწილის
ადგილებში 26 სოფელი ყოფილა, ამათში რვა სომხისა, ზო-
გი თურქის და ზოგიც თათრის, დანარჩენი ქართველების არის.
სომხების შესახებ ვ. აღნიაშვილი ამბობს, რომ იგინი ქართ-
ველთ შთამომავალნი უნდა იყვნენო, ხოლო გათათრების
დროს სომხის სჯულზედ გადასულნი, რათა მით ქრისტიანიდ
დაშთენილიყვნენ, ეს მაშინ აღვილად მოხდებოდათ, რად-
განაც იმ დროს იქით სომხის ერი და სამღვდელოებაც იყო
და იგინი არც დევნაში იყვნენო, მეორე თვით მათი ტიპიც
ძალიან გავს ჩვენს ტიპსა და მესამე პირჯვარსაც დღეშდე
ქართულად იწერენ და არა სომხურადათ. ესეც შეიძლება
სრულ ადვილად. ჰაზრია რომ მთლად ამ 26 სოფლის მცხვ-
რებთ შორის ქართველნი მრავლად უნდა იყვნენ, ხოლო მათ

დაკარგული უნდა აქვნდეთ თვისი ენა, ვინაობა და სხვა. ასეთს
მაგალითები ხშირად ყოფილი სპარსელ ქართველებთ შორის.

- 1) ჯაყჯაყი ქართული სოფ. 200 კომ.
- 2) სიბაქი 250
- 3) ჩუღურეთი 200
- 4) ზემო მარტყოფი, ახორა 1200
- 5) ქვემო მარტყოფი, ახორა 200
- 6) დიესური 150
- 7) ნინო-წმინდა 200
- 8) შეშკანი 150
- 9) ტაშკეშანა 250
- 10) აფუსი, ძველად რუს-პირი ეწოდებოდა 700
- 11) თვლავი, ანუ თოლერი 600
- 12) ბოინი 800 ლილო თევირანსა და თავ-
- 13) შაურდი 200 ნორიო პა- რის შუა სძევს,
- 14) ვაშლოვანი? ტარძეული ენა დაუკარგავთ.
- 15) აბას-აბადი მეშედისკენ სძევს, ენა დაკარგეს.
- 16) არზამპოლი, ჩამადანთან ახლოს, ენა დაკარგეს.

ზემო ხსენებულს სოფლებთ შორის 9 სოფელში ქათული ენა
დაკარგულია, ქართულს ლაპარაკობენ მხოლოდ შვიდს სო-
ფელში, ცხადი საქმეა აქაც მალე დაიკარგება ეს ენა, რად-
გინაც მისი სხეული გახრწნილია და ენის ავებულება, მნიშ-
ვნელობა და საჭიროებაც მკვდარი. აქამდის დარჩათ ამათ ეს
ენა და დღეის შემდეგ კი აღარა გვგონია, ესენი ამ ენის შე-
ნახვას ვეღრი შესძლებენ.

თუ არ გვინდა რომ ეს ასე მოხდეს, მაშინ აშ ხალხის
საქმეებს და ენის მფარველობის ზრომას ჩვენგან ყურადღება
უნდა მიექცეს, მაშინ კი შეგძლებათ ამათ რომ თავიანთი
შრომის ნაყოფის შედეგი ნახონ, ქართული ენის და წიგნე-
ბის საშუალებით სპარსულ წიგნებზედ უფრო უკეთესად და-
უახლოვდენ ეკროპიულს რიალურს განათლებას, ქართული
ენის და ქვეყნის მამულის შვილობას, ქართულ მოქალაქობას.

ჩვენს უძლურებაში, ხშირად სპარსელთ ჩვენი მეზობელნი ლეკნიც ეხმარებოდენ. მაგალითებრ შაჰ აბაზმა პირველ მოსვლის დროს საქართველოში, ჯერეთ ერტვანი აიღო და მერე აქტამ კახეთის მეფეს ალექსანდრე და გიორგის კაკი ჩამოართვა და მის მაგიერ მათ წელიწადში 700 თუმანი დაუნიშნა. ამ საქმის მოხერხებაში ლეკნიც იღებდენ მონაწილეობას, მეორედ მოსვლის დროს (ქართ. ცხოვრებით 119 გვ. ტ. II) შაჰაბაზმა გაწყვიტა მთელი კახეთის ხალხი, ამ უბელურებაში მას დიდათ ეხმარებოლნენ ლეკნიც. ვინც მტერს გადარჩა კახეთში, მათ თავი შეაფარეს თუშ-ფშავ-ხევსურეთში. კახეთიდამ აყრილის ზოგი მაზანდარნას დასახლა, ზოგი ხორასანს, ზოგიც ფრეილანს (იქვე 118 გვ. II ტ.).

შაჰ აბაზმა საქართველოში თავის მოადგილედ ფეიქარხანი დატოვა, რომელიც აგრეთვე ქართველებს ასახლებდა სპარსეთში და მათ სოფლებში თათრები და ლეკები შეჰყვანდა და აბინავებდა. ასევე ბოროტად პურიდა და ასახლებდა სალიმ ხანიც, ამან გაავსო საქართველო თათრებით. ლეკებისგანაც ისეთივე ოხრება ეძლეოდა კახელთ როგორც თვით სპარსთავან, ლეკებმა ისე გაიმაგრეს ფეხი სპარსთა წყალობით, რომ მათ საინგილოს ქართველთ 1720 წლიდამ სუნის სჯულით გათათრებაც დაუწყეს, ამ სჯულის ვრცელებში სპარსეთი არაფერს დავას უწევდა, ლონდ კახეთი მოსპეთ, გაათათრეთ და რაც ვენებოთ ის ქენითო, გამხეცებულ ლეკნიც ქართველებს ხშირად იტაცავდენ და დალისტანშიაც რეკავდენ, სადაც რასაკვირველია მათ ათათრებდენ, ასე და ამ გვარიალ, ქართველთათვის XVII საუკუნე არის ისეთი ტყვეობის, გარდასხლების და მოსპობის ხანა, როგორც ძველად ისრაელთა, ქალდეველთა, ჰაოსიანთა და სხვათა ამ გვარიალ დაჩაგრულების აოხრება, დაპნევა, ემიგრაცია და უნდა შევნიშნოთ რომ ხშირად ჩვენი მეისტორიენი სკოლებიან, როცა სპარსთა გადასახლებულოთ სულობით მოიხსენებდენ, უნდა იხსენებოდეს კომლობით. ისიც ცხადია, რო-

შავ ბაზმა 80 კომლი გადაასახლა და არა სული, ამასვე ხსაბუ-
თებლენ იმ დროის სპარსეთში მყოფ ლაპინის ბერები.
იმავე დროის ლათინთ პატრი ორსინეს აღწერით: შავ ბაზს
საქართველოდამ სპარსეთში გადუსახლებია 80 ათასი კომლი,
ამათ ალაგას მათ მაგიერ დაუსახლებიათ სპარსელები და სომხები.
(87 გვ. მ. თამარ). თუ რამდენად უბედური იყო სპარსეთ
ში წაყვანილთ ქართველობა და თუ როგორ სწყდებოდნენ
იგინ ამას ასაბუმებს იმავ დროს, რომის პაპთან დელა ვალე 1624
წ. „ქართველთა დიდს გადასახლებას მოჰუვა საზარელი წევეტა-ულეტა,
რამდენი სიკვდილი გაჭირვებისაგან. რა გლეჭა, რა გასრწია, რა
ძალდატანება, რამდენი ჩვილი უმაწვილები თავიანთ მშობლების
დაახრჩეს, ან წეულში ჩააგდეს სასორისკვეთილებისაგან; რამდენი სხვა
მოჰკვდეს სპარსელ ჭარის ჭიცებშია შირობი რომ ისინი სასიცოცხლი
რ იყვნენ, რამდენი ძალით მოგვიჯეს დედის ძებუს და დააგდეს
შარაზედ მხეცების საჭმელად, ან მხედრების ცხენების და აქლემე-
ბის სასორისად. მხედრების არა ერთხელ უვლიათ ქართველთა მიცვა-
ლებულთა ჭეშებზედ, რამდენი მაცვალებულის გვამი მიგელს.
ძალის და ნადირის უხრია და უგრეჭ-უჭიჭგნია, რამდენჯერ მამა-
შვილს, ქმარი-ცოლს, ძმა-დას მოაშორეს ისე რომ იმათ იმედიც არ
შერჩენიათ როდისმე ერთმანეთის ნახისა. აშ სამწუხაო შემთხვევაში
რამდენი ქართველი ქალი და კაცი იუდებოდენ უველგან შირუტუვებზედ
უფრო დაფალ, რამდენი ამისთანები სხვა ბოხდა, დირსი შებრალებისა,
მაგრამ ვინ მხსოვლის უველას თქვენის უნეტარესობის დი წმიდის
ფერხთა წინაშე“ („ივერია“ 1879 წ.) დელა-ვალეს მთხსენება.

აი სურათი იმ ულილეს რიცხვ ქართველებისა, რომელ-
ნიც სპარსეთში იყვნენ გადასახლებულნი და რომელნიც ასე
საკოტავად სწუხდებოდენ და ისპობოდნენ. ესეოთ გარემოება
რომ არა, მაშინდლეს მთელს სპარსეთში არ იქნებოდა არც
ერთი ქალაქი და სოფელი დაშთენილი, რომ იქ ქართველ-
თაგანი არვინ ყოტილიყო, ეხლა კი იქ ამისი აღარაფერია
სრულებით.

1907 წ. იანვირს პირველს რიცხვებში. სპარსეთიდამ თბილისში ჩამოვიდნენ სპარსელ ქართველნი: ყოლი მუსეინ ონიკაშვილი და ყოლი ამრეზ ხუცისშვილი. ამათი მოსვლა ქართველთათვის იყო მეტად უცხო და არ მოსალოდნელი. ამათ ნახვამ და ლაპარაკმა დაგვისაბუთა სიღიადე ქართველის ერისა, რომლის ზოგიერთ შვილთ შესძლებიათ, რომ უცხო, შორს ქვეყნებში თავიანთი ენა შაენახათ.

ამ სპარსელ ქართველთ მოსვლის ამბები ადგილობრივ გაზეთებშიაც იბეჭდებოდა. 11 იანვარს, ვნახე ეს ქართველ სპარსელნი, გავიცანით, ლაპარაკი დაგიწყეთ და მათგან ბევრი რომ მოვისმინეთ. ესენი მოთავსებულნი არიან ჩვენში კარგად ცნობილ მოლვაწე ლუარსაბ ბოცვაძესთან. ორივ ესენი იღმოსჩნდნენ სოფ. ზემო მარტყოფელები, 30 წლებს მიახლოვებულნი, ორივ დანიშნულნი, მაგრამ ისე დატოვებულ იქ მათი საცოლონი და ესენი საქართველოში წამოსულნი, ორივ თავიანთებურად ნასწავლები არიან სპარსულს ენაზედ, ქართულს ეხლა სწავლობენ და თა რამდენსამე დღის განმავლობაში ქართული კითხაც ისწავლეს.

კილო ამათის ლაპარაკისა არის ასე: წავიდის-ყე, მოვიდის-ყე და სხვანი, უფრო ქიზიყურია, ანუ როგორც „ამირან-დარეჯ-ნიანია“ ნაწერი, „დილარიანი“ და სხვა ძველი მოთხრობები. ამათი წამოსვლის მიზეზი საქართველოში ის ყოფილა, როგორც მათ დიდი სიყვარული ჰქონიათ საქართველოს გაცნობის და ნახვის, პატარაობიდანვე ამთ დიდი ტრფიალება ჰქონიათ თავიანთ სამშობლოს ნახვის. მათში თურმე ზამთარში ბერი კაცები და დედაკაცები ახალგაზდებს მოუთხრობენ თვის გადასახლების ამბებს, თავიანთ ძვლების ცნობებს, ახალგაზდებიც სიამოვნებით ისმენენ მოთხრობილ ცნობებს. მათ საკვირელად აქვთ მიღებული თვისი გადასახლების საქმენი და კარგად არ იციან მიზეზები გადასახლებისა. ის კი იციან, რომ მათი დამრბევი და გადამსახლებელი შავ აბაზი ყოფილა. ამ მეფეს დიდათ ემდურიან და წყევლა-

კრულვით მოიხსენებენ. რას ემართლებოდა, რომ ჩვენს მამა-
პაპებს სამშობლოდამ ასე შორს ასახლებდათ.

ამ პირთა სიტყვით, სპარსელ ქართველნი თუმც მუსულ-
მანები არიან, მაგრამ დიდი სიყვარული აქვსთ თურმე ქარ-
თველებისა, საქართველო და ქართველი ამათ აჭარლებივით
არა სძულსთ, არამედ საქართველოს დიდის პატივით იხსენი-
ებენ და ქართველიც სანაქებოდ მიაჩნიად. ის რაც სამცხე-
საათაბაგოს ქართველ მაჰმადიანებში მკაცრად იგმობა, იგი
ამათში იქება და იდილება. მიზეზი ამისი ის უნდა იყოს, რა-
დგანც სპარსელ ქართველნი საქართველოდამ ერთობ შორს
არიან წაყვანილნი და მეორე როგორც გადასახლებულთ და
შორს-მყოფთ. გულში დარჩენიათ ნაბერწყალი თავიანთის
ქვეყნის სიყვარულისა, ხომ მოგეხსენებათ, შორს მყოფს უფ-
რო უცხოვლდება მამულისშვილური გრძნობები. სპარსელ
ქართველთ არამც თუ უყვართ საქართველო და ქართველი
არამედ საპატიოთაც მიაჩნიათ. იგი.

ყოლა მუსეინ ონიკაშვილმა მიამბო: ჩვენში ერთი მო-
ხუცი ბრძა კაცი ივად გახდა, მალე შეწუხდა, ჩვენ ვნახეთ და
ვკითხეთ: იქნება გსურს რამე, გვითხარ და ჩვენც მოგართ-
მევთ მასათ. მოხუც უთქვამს: მე მინდა ერთი რამ, მცირე
დროით თვალი გავახილო და მის მერე ერთი ისეთი კაცი
ვნახა, რომელიც საქართველოს ამბებს მიამბობს და მასთანა-
ვე იმასაც დამანახვებს, თუ საქართველო რომელ ქვეყნის
კუთხეში სძევს. აი ეს მინდა, ეს მენატრება. ასეთ სიტყვებს
და ნატვრას იქ მყოფ ქართველებზედაც ერთობ კარგი გავ-
ლენა ჰქონია, ონიკაშვილს და ხუციშვილსაც უფრო მომა-
ტებიათ გულის ძეგრის ძალანი. ესენი ამით უფრო აღფრთო-
ვანებულან საქართველოს მოძებნის სიყვარულის ძალით. დღ-
ას, სპარსელ ქართველნი თურმე დიდათ მოყვარულნი ყოფი-
ლან საქართველოსი. დღემდე მათ სანაქებოდ მიაჩნიათ ის გა-
რემოება, რომ სპარსელნი მათ გურჯებს ეძახიან, სპარსელები
ამათ სხვა და სხვა ბარათებში და საქმეებში ქართველთ იხსე-

ნიებენ როგორც ქართველთ. თვით ეს პირნიც თავიანთ პას-პორტებში ქართველებად არიან ხსენებულნი, თვით სავაჭრო საქონლის გასაყიდ-გამოსაყიდ ბარათებშიც კი ესენი ქართ-ველად არიან მოხსენებულნი. ასეთი სავაჭრო ვაჭართა ბარა-თები ამათაც აქვსთ.

ამ პირთა თქიმთ, ვლადიმერ ალნიაშვილს შათს სოფე-ლში 12 დღეს დარჩენილა, მაშინ ჩვენ ახალ გაზღები ვიყა-ვითო, როცა ის ჩვენში მოვიდაო. მისი დიდი მაღლობელნი ვართო. მან ბევრი რამ გაგვაცნო საქართველოს და ქართვე-ლების შესახებ კარგი ცნობებით. მან გადმოგვახდინა ჩვენის სამშობლოსაკენაო. თუმცა მის მოსვლამდისაც ვიცოდით რომ საქართველო იყოვო, ხოლო ის კი არ ვიცოდით, თუ ეს ქვეყანა საით იყოვო. უმიტომ ეს პირები განსვენებუ-ლს ვლადიმერ ალნიაშვილის სახელს ქება-დიდებით და სიყვა-რულით მოიხსენებენ, მის ამაგს და პატივის-ცემას ჩვენ არ დავივიწყებთო.

ათამ ონიკაშვილის შესახებ ამათ ვერა სოჭვეს რა, იგი ჩვენგან 1870 წლებს უნდა იყოს წამოსულით, რაღაც მაშინ ჩვენში დიდი მოუსავლობა და შიმშილი ყოფილი და ამიტომაც მრავალნი აქეთ-იქით გადაცვივნულანო, ბევრს, ერთმანეთი დავიწყებიათ და აღარც შინ დაბრუნებულანო, ვგონებთ, რომ ეს ათამაც მაშინ უნდა იყოს ჩვენის ქვეყნიდამ კარში გასული და მერე აქეთ წამოსული და საქართველოში მოსულიო.

სოჭვეს ამათ, რომ მათში თურმე ყველას აქვს სურვილი საქართველოს ნახვის და ქართველთან ქართულად ლაპარაკის, ასეთ ნატვრით ავსილნი არიან თვით ის ქართველებიც, რო-მელთაც ქართული ენა დავიწყებიათ და დღეს სპარსულადლა ლაპარაკობენ. თვით ესენიც კი ქართველებათ იწოდებიან, ამათაც კი აქეთ სურვილი ქართული ლაპარაკის შეისწავლ-ისა რამოდენიმე ალაგას, ასეთ ქართველთ ხსენებულის პირე-ბისათვის დაუვალებიათ, რომ ეგბი საქართველოში თქვენ

ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვა კარგად ისწავლოდ და
მერე ჩვენც გვასწავლოთო. სთქვეს ამათ, რომ ჩვენებურს
ქართველთ სპარსეთის ყეინები ძრიელ სტულთო. მათ კრულვით
იხსენიებენ მის გამო, რომ საქართველოს რათ ანგრევდენ და
აქცევდენა. ყეინებს თურმე ყოველთვის ჩაკრომით იტყვიან
და არა სიკვდილით.

ქართველებში თურმე ბევრი რამ ამბებით ზეპირ დაშორ-
ნილი მასზედ თუ მათ წინაპართ რა წვალება გამოუვლით
აქედამ გადასახლების დროს, რა ტანჯვა, ურემლის ლვრა და
სხვანი. ეხლა ჩვენ რომ წამოველით და გამოვიარეთ იმოდელი
გზა, ეხლა ჩვენ რომ ვნახეთ ჩვენი წვალება და უძლურება.
ეხლა წარმოვიდგინეთ ის მწარე უძლურება და საკოდიობა თუ
ჩვენი ძველები რა ტანჯვას გაივლიდენ, რა მწუხარებას და
საშინელს მდგომარეობაში იქნებოდენ მგზავრობის დროს,
ისიც იმ დროს, XVII საუკუნეს, მათთ ტანჯვის ანუსხვა
შეუძლებელია. ამათ ფრეოდანიდან თეირანამდე 27 დღეს
უვლიათ და იქიდამ სპარსეთის სამზღვარამდე 10 დღეს და მე-
რე საქართველოში მოსვლაზედ რამდენიმე დღე.

ოქვეს, რომ ჩვენში, ვისაცი ვნახამდით ხოლმე საქარ-
თველოსკენ მყოფ სპარსელს, თუ სომებს, ყველას იმასა
ვკითხამდით, თუ საქართველო საით ხდეოსო? ზოგი გვიტ-
ყოდა რომ საქართველომდის აქედამ ექვსი თვის სავალიაო,
ზოგი იტყოდა ხუთი თვისაო, ზოგი მეტს და ზოგი ნაკლებსო.
დღემდე ჩვენ ამ ქვეყნის არაფერი ვიცოდითო, დღეის შემდეგ
კი გაგვეხსნა გზა და ამის შემდეგ ჩვენს ქართველებს და-
წყრილებით გავაგებინებთ ჩვენი სამშობლო ქვეყნის ვითა-
რებასო. ჩვენი ნალველა აქამდის იყოფო, რომ ჩვენ ისე
დავკარგულვართ, რომ ცნობაც არა გვექონდა ჩვენი სამშო-
ბლო ქვეყნისაო. ეხლა კი ეს ნალველა მოგვეხსპობაო.

საქართველოში წამოსვლა, ქართველთ მოძებნა და ნახ-
ვა ჩვენ პატარაობიდამვე გვექონდაო. ვიტყოდით ხოლმეო:
ჩვენ, თუ ჩვენს სამშობლო საქართველოს ვერ ვიპოვნითო,

უძმისოდ ჩვენი ყოფნა შეუძლებელი იქნებათ- განვიძრახეთ, მოვიწადინეთ ჩვენის ქვეყნის და ქართველთა პოვნა და ნახვა, ეს შევსძლით კიდეც, მოვახერხეთ, გველირსა, მოვახტიეთ ჩვენს სამშობლომდისო. ამ განძრახვის შესრულება მოგვცა შემდეგ მიზეზებმაც: ჩვენს სოფელში ყაჩალები დაგვეცნენ და გაგვცარცვეს, მოგვპარეს 1.700 მანეთი. ამ ფულის და ყაჩალების გამო ჩვენ თეირანში მოგვისდა ჩასვლა და ყეინთან საჩივარით. ჩვენ იქ მოვისაჭმიანეთ ფულის გამო და მის მერე მივეცით ზრუნვას, რომ საღმე ერთი კაცი გვენახა ვინმე და მის საშვალებით ქართველი კაციც გვეპოვნა და მისგან შეგვეტყო რამე ცნობები ჩვენი ქვეყნის შესახებ. ჩვენ მალე ვიპოვნეთ ერთი სომხის მღვდელი და ამასა ვკითხეთ, ამ ძლვდელმა ჩვენ მიგვახწავლა ერთ ლვინის გამჟიღველ სირაჭთან, ჩვენ ამასთან მალე მიველით, გავიცანით ერთმანეთი, იგი ალმოჩნდა საქართველოს სომები, კახელი, ჩვენი გაცნობა ძრიელ გაეხარდა, იგი გაგვიმასპინძლდა, დაგვპატიუა და გვესაუბრა, მალე თავისთან დაიბარა ნაცნობები და გაგვაცნო. ჩვენი გაცნობა ყველას დიდათ გაეხარდათ, მალე გავიცანით ~~იასონ~~ მენაბდე, თეირანის რუსის ბანკში მოსამსახურები; იასონს ძრიელ გახარებია ქართველების ნახვა, ასევე ამათ მალე გაუცვნიათ გაბოც. თეირანში სულ ათამდე ქართველი ყოფილა, ყველანი გაუცვნიათ მალე. იასონასთან მთელი ლამეები უთიებიათ ლაპარაკში, საუბარი სულ საქართველოზე ჰქონიად, იასონსვე დაუყენებია ესენი საქართველოს გზაზედ, ბევრი რამ დარიგება მიუკიათ და მასთან საქართველოს იმპერიუმ უამბნიათ, ქართული ანბანიც კი დაუწერიათ ამათვის იქ და სწივლება დაუწყებინებიათ, მალე ფულით დახმარებაც ამოუჩენიათ და საქართველოს გზაზედაც დაუყენებიათ.

ბევრი მგზავრობის შემდეგ ესენი მოსულიან ბაქოში, აქ ამათ გაუცვნიათ თლექსანდრე ბერელაშვილი, თლაქსანდრეს ამათვის შესანიშნავი სალამი, პურ-მარილი და თევაზი გაუწევია. ამისი და იასონის დიდი მაღლობელნი არიან. ბაქოდან

ესინი თბილისში ჩამოვიდნენ და გაიცნეს ქართველები, ამათი ცხოვრების და ზრუნვის საქმე ჩვენმა საზოგადოებამ იკისრა. მალე მათ მასწავლებელიც მიუჩინეს და ქართული წერა-კითხვის სწავლებაც დაწყებინეს. ქართულ წერა-კითხვაში მათ კარგი ნიჭი გამოაჩინეს და მოკლე ტროის განმავლობაში ისე დახელოვნენ, რომ მათ თავისუფლად დაიწყეს ქართული წიგნების კითხვა, ყოლი მუსეინ ონიკაშვილმა თავიანთ მოგზაურობაც დაწერა, რომელიც დაბეჭდილია 1907 წ. გაზეთ „ისრის“ № 112 113 და სხვა შემდეგ ნუმრებში. ამავე პირმა 24 ივნის, 1907 წ. თფილისის საკრებულო დარბაზში, საჯაროდ წაიკითხა თავიანთი ქვეყნის ანუ ქართველ სპარსელების ცხოვრება, რამაც საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. ასევე ამათ მიმოვლეს საქართველოს ზოგიერთ ქალაქებში და იქაც ამ გვარად გააცნეს საზოგადოებას თვისი ცხოვრების ამბები. რადგანაც ამათი ნაწერები ცალკე დაიბეჭდება, ამიტომ აქ მოკლედ ესკრიფ საუბარს. *)

სპარსელ ქართველთა გადასახლების დიალი ისტორია ერთობ ლარიბია, ამიტომ ჩვენ აქ კიდევ გადასახლებულთ შესახებ ვისაუბრებთ. სპარსეთში დღემდე დაშთენილთ ქართველთ ერთმანეთის იქ ცხოვრების ცნობაც არ იციან, თვით აი ამ პირებმა სოჭვეს, რომ ჩვენის მგზაურობის დროსა, სპარსეთის კუთხებში რამოდენიმე ალაგას შეგვხდა ქართველთა სოფლებით, იქ მცხოვრებნი ქართველნი არიან, ზოლო ქართული ენა კი დაკარგული აქვთო. ზოგ ალაგას ასეთ ქართველთ ენის დაკარგვის გამოსინან ული გაუცხადებიათ, და ამათვის დაუვალებიათ, რომ საქართველოში ეგება თქვენისწავლოთ ქართული წერა-კითხვა და მერე ბვენ დაგვასწავლოთ. ვიტყვით, რომ სპარსელ ქართველნი გადასახლების დღიდანვე ისეთ გასაველურებელს გზას დადგენ, ისეთ დასალუპს და გადაგვარების, რაისგამო, სადღეისოდ მათ გულსა და ხსოვნაში ისეთი ცვლილება დანერგიათ, რითაც მათ ში მკაცრად აღმოკვეთილა მისი ცნობიერებაც რომ ვითომ ქართველებს

*) გაზ. „ისრი“

თავიანთი საკუთარი ანბანიც კი ჰქონდესთ. მათ ამის წარ-
მოლგენაც აღარ ჰქონიათ, ჰგონებიათ რომ ქართველებსაც,
მათებურად არაბული ანბანი აქვსთ მიღებული, ამასვე ჩა-
შუთებს ვ. აღნიაშვილის ცნობა, იგი სწერს: როცა ამათ
ქართული ანბანი ვუჩვენე, იგინი ამით დიდათ გაკვირდენ და
სთქვეს, რომ ეს ჩვენ არ ვიცოდით, თუ ქართველებს თავიან-
თი ანბანი ჰქონიათო. *)

შავთა-დროთ გერა შესცვალეს, მის გული ანდამატსათ
ეს ჯემული, მაგრამ ვიტყვით, რომ ეს თქმა სწორე შეხედუ-
ლების მომასწავებელი არ არის. ქართველები უკვე შესცვალა
შავმა დრომ და კისერიც მოადრეკინა როგორც სპარსთა
მონების წინაშე, ისევე თავისიანების და გალაგვარების.
ეს რომ ასეა ამას ასაბუთებს ის გარემობაც, რომ თვით ზემო-
სენებულ პირთა თქმით სპარსელ ქართველებში დღეს მხოლოდ
რვა სოფელშილა იკიან ქართული, დანარჩენში ამოვარ-
დნილია და ყოველივე ისე დაკარგულა, რომ მათ თვით
ქართული ანბანის არსებობის ცნობაც კი არა ჰქონია. ესე
გალაგვარება, ესე მორჩილება შავის-ბედისა, სწორედ უნდა
ითქვას რამდენიც ქართველთ უძლიურებით აისნება იმდენადვე
სპარსთა მახვილის და მონებისაგან, რაც ამათ შავს დროს
უმორჩილებად და ცბიერის შაპაბაზის ბოროტებას და მახვი-
ლს გულსა და სულშიაც დიდის შიშით უნერგავდა. სომხურის
წყაროების ცნობებით, მე არ მაქვს იმედი, რომ დღეის
შემდეგ, სპარსელ ქართველთ შორის შეინარჩუნოს ვინმემღა
თავისი ენა და ცნობიერება, თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ
სწორედ საკვირველება იჭმნება.

აქამდის თუ ქართველი კაცი ძლევილად ჰყარგავდა თავის
ძველს სჯულს და ხხალს უერთდებოდა, აქამდის თუ იგი
ძლევილად არა ჰყარგავად თავის მიწა-მამულს და ენას, დღეს
კი გარემოება ისეა მოწყობილი, რომ ქართველი კაციც
ძლევილად სომობს თავის ენას, მიწა-მამულს და ეთვისება
სხვისას, ამის შეგალითია სპარსელ ქართველთ ვითარება, რომ

*) სპარსელი ქართველები. ვ. აღნიაშვილისა.

ეჭ დაკარგეს თავისი ენა, სჯული, ქვეყნის ხსოვნაცკი, თვით ქართული ანბანისაც და მის მაგიერ შეითვისეს სხვისა, თვის მოსისხარე მტრის. ასევე მოხდა ოსმალოს საქართველოში და აქაც დაკარგი თვისი ღვიძლი ენა ათმა ნაწილმა, ყველა ეს მაგალითები ცხადი საბუთია რომ ასე ვიფიქროდ. 1873 წ. თვილისში, სპარსეთიდან ათამ ონიკაშვილი რომ ჩამოვიდა, მაშინ ნიკოლოზ ყიფიანმა „ქროებაში,“ პატარა ფელეტონი დაბეჭდა და მერე ცალკე წიგნათაც დასტამბა, იქ ის-აზრი გაატარა, რომ სომეხი კაცი უფელთვის იცავს თავის სჯულსა და ენას კი ჰყარგავს. ქართველი კი ჰყარგავს სჯულსა და ენას კი იცავს. *)

ეს არ არის სწორედ, სომეხი თავის სჯულს მაინც იცავს და ქართველი კი აღვილად სომობს სჯულს და მასთან თავის ენას და მწიგნობრობასაც. ყველა ეს ქეშმარიტია, რაღანაც მაგალითებიც თვალთ წინ გვაქვს, განი შეიძლებოდა, რომ იმოდენა ქართველებს, როგორც იყო ოსმალეთში, რომ ისე აღვილად დასთმეს ქართული ენა და ხსოვნა, როგორც ქართველებმა, რასაცვირველია არა, მაგრამ დასთმო ქორთველმა მიტომ რაღანაც მიზეზი ზოგი ოსმალ-სპარსო მონება, დევნა და ტანჯვა გახლდათ და ზოგიც ის გარემოება, რომ ქართველ კაცს ამ დროისთვის უკვე აღვილად გადაებნა გულიდამ თავის ვრნაობის, სამშობლო ქვეყნის და მის ისტორიის ხსოვნის მაღალი ხსივები.

ცბიერის აბაზის გულიც სწორედ იმითი ყო სავსე, მან ქართველების გმირობა კარგად იცოდა და მიტომაც ელტოდა ამათ გადასახლებას; სპარსეთში დასახლებას და გადაგვარებას თვით სულიერადაც, რათა მის მერე კახელ ვაჟკაცო გმირებიც ჰყოლოდა, სწორედ მიტომაც დაეცი საქართველოს ორჯერ, ველურად შემოვიდა დიდის ჯარით, ორჯერვე კახეთის ნახევარი პირქვე დამხო და 1617-18 წლებს საკარისიდ დიდი რიცხვიც წაგვართვა და წაიყვანა, ამ მანქანების ცბიერებას მით.

*) ქართველების კოლექნია სპარსეთში, 1873 წ. თავ.

უფრო შერებოდა, რაღანაც XVII საუკუნეში, ოსმალეთშა
დიდათ იწყო ამალლება და ამათი ძალა თვით სპარსეთსც
ერთხმებოდა გარს და ანიავებდა, ამის დროს, ოსმალეთს
სპარსეთის რამდენიმე ადგილებიც აქვნდა დაპყრობილი, გარდა
ამისი შავ-ბაზი იშვილითაც მტრობდა ქართველებს, რაღანც
მთელი-სამცხე-სათაბაგო ოსმალეთის მეხარჯე საკუთრებას
შეაღენდა და იმერეთიც უხდიდა ხარვს, მეორედ მოსვლის
მიზეზი სულ ეს იყო, მიტომაც მან აქარლებსაც დაუწყო
ბრძოლა, საიდამაც ძლიული დაბრუნდა.

საქართველოს დალუპვის და შავ-აბაზის შემოსევის და
აოხრების საქმეში დიდს ბრალსა სდებენ დიდ მოურავს გიო-
რგი სააკაძეს, ზოგნი მოლალატეს უწოდებენ, ზოგნი მფარ-
ველს. ამის შესახებ 1907 წ. გაზეთ „ისარში“ მ. ჯანშვილმა
წერილი დაბეჭდა და შას საქართველოს მოლალატე უწოდა. *)
ანტონ ფურცელაძე კა მხსნელი ხატავს. ეხლა ხან ალმოჩ-
ნდა რომში ერთი ცნობა და მოურავის სურათიც, რომელიც
ერთ ლათინის ბერს XVII საკ. დაუბეჭდია, სურათს ბოლო-
ზედ აწერია ასე: „საქართველოს მხსნელი გიორგი
მოურავი.“ **) ამიტომ გიორგის მკიცნელი სულდავს საქართვე-
ლოს ისტორიას. თვით სტამბოლში ყოფნისი დროსაც გიორ-
გი მოურავი ეხვეწება ლათინის მოგზაურს ბერებს, დარიგებას
აძლევს და გზავნის საქართველოში და ავალებს მათ, რომ
თქვენ წადით საქართველოში, თემურაზ მეფესთან მიდით და
უშველეთ რამე, თორემ დაიღუპება საქართველოვან, თქვენ
შეგიძლიანთ მისი ქვეყნის შველაო. თქვენ დიდს სიკეთეს
უზამთ მის ხალხსაო. *) უნდა ითქვას, რომ ყველა ამ
უბედურების მიზეზნი იყვნენ თემურაზ მეფე და ლუარსაბი,
რომელთაც თვითანთ დროს ვერ გამოაჩინეს დიდი პოლტიკური
ნიჭი და შავ-აბაზს ვერ გაუგეს ეშმაკური ცბირება.

*) „ისარი“ 1907 წ.

**) მ. თამარაშვილის ნაწერები და სურათები 1906 წ. რომის:

შაჰ აბაზება ლუარსაბს თავი მოჰკვეთა რუსების დახლოვების გამო, *) ქვეთევანი აწამა სპარსეთიდამ ქართველების დარღვნების თხოვნის გამო და თემურაზს ორი შეიტი დაუსაჭურისა და აუოხრა ქვეყანა მის გამო, რომ თემურაზმაც სპარსეთს და რუსეთს მიმართა კახეთის საკავშიროდ და სპარსეთს უკეუ-უოსტატოდ ქიშპობა დაუწყო. მიზეზები ქართველების გადასახლების პირდაპირ ედება შაჰ აბაზის გველურს პოლტიკას და თემურაზის უხეირობას, ეს ცხადთ სჩანს თვით იმ გარემოებიდამ, რომ თემურაზი იმ დროს რაღაც უგვან ლექსებს ჯლაბნიდა, სთარგმნიდა ვარდ-ბულბულიანს, გაზაფხულისა და შემოდგომის ბას და სხვა ასეთებს. ქვეყანა აუოხრა შაჰ აბაზება, ხალხი გადაუსახლა და ამაზედ კი კრინტიც არა იქვს დაძრული! ასევე ქარაფშუტა და გულის ამყოლ ლუარსაბსაც კი მიეწერება.

ასე იყო, თუ ისე, ქართველთ გადასახლების საქმეში, რამდენადაც ჩვენი მტერია დამნაშავე, იმდენადვე ჩვენი მეფეებიც გახლავან. აქამდის სპარსელ ქართველები ჩვენთვის დაკარგულად მიმიჩნდა, რაკი ამ ბოლო დროს იქიდამ კაცები მოვიდნენ, ამიტომ ჩვენ ახლა აწინდელ დროზედ ვილაპარაკებთ.

უფლა მუსეინ თხიკაშვილი, შესმენილი პირია მამა ამისი აბდულ მაშადი გახლავს † 1901 წ. დედა ამისი ფათემა ნაჯაბ თხიკაშვილის ასული † 1906. ამ პირთ ხშირად უამბნიათ პატარა ყოლა მუსეინასთვის საქართველოს იმბები და ამათის ცნობებით გალვიძებია ამას სამშობლო ქვეყნის სიყვარული, მოგონება და ამის პოვნა და ნახვაც კი: იმედია რომ ყოლა მუსეინა საქართველოში ყოფნას კარგად გამოიყენებს, საქართველოდამ დაბრუნებული სპარსეთში თავის თანა-მედროვე ქართველებში ძირითად ცვლილებას შეიტანს.

უფლა ამრეზა ხუციშვილი, ზემო მარტყოფელი, 30 წ. მამა ამისი ალამჯუნა ხუციშვილი და დედა თამარნისა სეფიაანთ

*) ბრძოლა საქართველოს შოთა რეზ 1893 წ. თვითისი.

ქალი. ამათ გვარში დაბჩენილი ყოფილი ამბათ, რომ ჩვენის
აქ გადმოსვლის ტრას, ჩვენ ოჯახში ერთი მღვდელი იყოვთ,
რომელსაც სახელად ალავერდა ერქვაო, ზოგნი სფირიდონა-
თაც იტყვიანო. ამათ მაშინ თავიანთ პატარა საყდარიც
ჰქონიათ, ამ საყდრის შთენი დღესაც არის თურმ დაშთენილი,
ამ პირს მშობლებიც ბშირად მოუთხრობდენ თავის ძველს
საქართვლოს ცნობებს, ქართველთ შმბებს და სწორედ ამათის
წყალობით გალვიძებია ამას გული და სული თავის სამშობლო-
ქვეყნის სიყვარულის აღებით. იმედია, რომ ესენი თავიანთ
თანა მექვეყნებს დიდს ამაგს გაუწევენ საქართველოს გაცნობით.

ქართველები როცა დაკავშირებიან ისლამს, იმათი იმ
დღიდანვე დაუწყვიათ ცდა თავიანთ საკუთარ მეგვარტომე
სასულიერო წოდების ყოლას. პირველ დროების გათათრების,
როგორც ვიცით კათოლიკის მოგზაურ ბერებისავან, უნდა
მომხდარიყოს 1660 წლებში. თუმცა ისიც ვიცით ქეთევან
დედოფლის ცხოვრების აღწერით, რომ ქართველთ სპარსეთში
წაყვანილთ და პატიშართ გათათრება 1620 წლებიდამ მოხდა,
მაგრამ ამ დროის გათათრება იყო კანტი-კუნტად, ხოლო
ფრეოდანის ქართველთ გათათრება კი 1660 წლიდამ იწყება,
ამიტომ ამ წლიდამ ქართველთა მოისპო ყოველივე, მათ
მაგიერ გაჩნდა ისლამის სასულიერო პირთა რიცხვი არა
მარტო ერთის ხარისხის მექონი, არამედ ყველასი, ეს იგი
მთელი სასულიერო წოდების: მოლები, იმამები, ხო-
ჯები, ყადები, მუშტეიდი, ახუნდნი და შეხულ-ისლამიც,
მთელი რიცხვი ისლამის სარწმუნოების სასულიერო წო-
დების კრებულისა.

ასე და ამ გვარად ფრეოდანის ქართველებში, თვით
ქართულ გვარის ისლამის სასულიერო პირთა გამოსვლის დრო-
მიწერება 1670—1680 წლებიდამ, ამაზედ უგვიანეს არა.
პირველად ქართველებს ასეთი უცხო სჯულ-წესების შეთვი-
სების აღსრულება უძნელდებოდათ, მაგრამ ყველანი კი მაინც
ეჩვეოდენ, რადგანაც ამისთვის მათ მიჩენილი ჰყვანდათ

სპარსეთის მთავრობისაგან მცოლნე მღვთის მეტყველ სასუჲ ლიკირო სპარსნი. იმავ-თავიდგანვე, ქართველ სბარსელებში სასულიერო პირთა რიცხვი იმოდონად შემდგარა, რისა გამო მათვის 1680 წლებიდამ სხვა და სხვა ტომის მოლები და ხოჯები საჭირონი აღარ—ყოფილან. ქართველებს ყველა სოფლებში ჰყოლიათ თავიანთი ტომის ხოჯები, მოლები და ახუნდები, რომელნიც ხალხს ალოცებდენ ყოველთვის. სადაც ქართველებს სპარსულს და არაბულ ენაზედ კარგად გაგება უჭირდებოდათ, იქ ქართველ გვარის მოლები და ახუნდები ქართულს ენასაც ხმარობდენ, ქართული ენით უხსნიდენ. სადღეისოდ ქართველ სპარსთა სოფლებში სადაც კი ქართული ენა დავიწყებას მიეცა, ეს ბრალდება არის ისეთ გარეშოების და მოლების და ახუნდების, სადაც ქართველ გვარის მოლები და ახუნდები მუდმივისად არ ჰყავანდათ და მათში მსახურებდენ ისეთ სპარსთა სასულიერო პირნი, რომ-ელთაც ქართული ენის არა იცოდონ რა და ქართველებსაც უადვილებდენ ერთობ სპარსული ენის შესწავლას.

დღეს, ქართველ სპარსელებს, თავიანთ შორის, მოლები ხოჯები და ახუნდები სულ ქართველები ჰყავსთ. ესენი სწავლას იღებენ თავიანთშივე დაარსებულ სასულიერო სასწავლებელში, ასეთი ასწავლებელი მათ გახსნილი აქვთ ზემო მარტყოფში, სადაც 1200 კომლი სცხოვრობს. დღეს, ქართველ სპარსელთა სასულიერო საქმეებს მარტოდ ქართველთ გვარის პირნი ასრულებენ, ამთში უხვად არიან მოლები, ხოჯები, ახუნდები, მუშტევილი და შეიხულ ისლამიც. სჯული აქვსთ შეასი, ესე იგი ალი სწაო უპირველეს მაციქულად. სასულიერო პირნი მათში საკანონდებულო თანამდებობასაც ასრულებდნ, მეჯლიში ყადებიც ესენი არიან, შარიათსაც ესენი წარმოადგენენ. მეჯლიში ამათგან შესდგება და ქართულ ენასაც ხმარობდენ. დღემდე კი ეს ასეა და დღეის შემდეგ როგორ იქონება, ეს უწყის საქმემ და სპარსეთის კონტიტუ-

ციამ. ქართველთ სპარსელთ სასულიერო პირნი ქებულნი არიან დიდათ არა მარტო ქართველებში, არამედ თვით მეზობელს სპარსელებშიც.

დღევანდელ ქართველ სპარსელებში არის ჰაჯი შეიხეული ისლამი, მოლა ალი ასყარა, გვარად მობონაშვილი. ეს არის დიდი მუშტეიდი მთელს ფრეოდანის მხრის როგორც ქართველ სპარსელებში, ისევე სხვებშიაც. იცის კარგად ქართული ენა, კარგი მოლაპარკეა. სათნო მოსამართლე, ქეშმარიტად საქმის ამწონ — დამწონი, მის გადაწყვეტილებას თურმე ვერავინ დარღვევს აღვილად.

მეორე, ასეთივე კანონმდბელი და პატიოსანი, მაღბალარა გვარად ზუბიტაშვილი, უწარჩინებულები პირი და კარგად მცოდნე ქართული ენის, მაინც როგორც სთქვეს ამ პირებმა, მათში ქართული ენა სასულიერო პირებში. თითქმის ყველამ იცის კარგად, ხმარება ყოველ თვის სუფთად და კანონიერად ვინ-მეც ერის კაცთა. სასულიერო პირთა შორის ყოლის ქართველ სპარსელ ნასწავლს უწოდებენ თურმე.

ქართველ სპარსელებში, სპარსული სკოლები დაუხსნიათ იმ დღიდგან, როცა ესენი ისლამს მტკიცედ დაკავშირებიან. შანამდისკი თურმე მათში შინაურულად სწავლობდენ ქარ-თულ ანბანს და ქართული ანბანი მათში თვით გათათრების შემდეგაც კარგა ხანს შენახულა. ქართული ანბანი მათ შენარჩუნებიათ თითქმის 1700 წლამდე, მის მერეკი მოსპო-ბილა, ქართულს ასწავლიდენ ხელთნაწერებით და ხშირად ჩუმათაცკი. მეთვრამეტე საუკუნის დამდეგიდამ ქართველ სპარსთავის ქართული ანბანი უცხოდ შეიქმნა. მათში ამის მომვონებელ რიცხვიც შემცირდა, თუმცა ქართველებს სპარ-სეთში მისვლა-მოსვლა ხშირად აქვნდათ და მთელი სპარსე-თის ქალაქები ქართველ ტყვეებით და პატიმრებით სავე იყო, გაგრამ მაინც მათ შორის სპარსთა მახვილის წყალობით მალე დაირღვა ქართული ანბანის მფარველობის ძალა. თუმ-ცა ისიც კარგად ვიცით, რომ სპარსეთში მცხოვრებ ქართ-

ველნი და ზოგნი მათში ისლამთანაც დაკავშირებულნი, ხშირად სთარგმნიდნენ არაბულის და სპარსელის ენიდამ სხვა და სხვა ძველს წიგნებს. ასეთ თარგმანთა ნაწერებიდამ გადაწერილების სპარსეთში და მერე საქართველოში მოტანილი წიგნების მეც მინახავს მრავლად, მქონია კიდეც. ასეთ ძველი ხელთნაწერების სამთელ გავლებულს ქალალდზედ ნაწერების ზოგი ქართული ასოებით და სპარსული სიტყვებითაც ყოფილა მთელი წიგნები. „ლელიანი“ „იოსებ ზილიანი“, და სხვა.

სადღეისოდ ქართველ სპარსელებში ქართული წერა-კითხვა მოსპობილია, მათ სამრევლო სკოლებში ბავშვებს არაბულს ენაზედ ასწავლიან, ყმაწვილებს არაბულის ანბანის შესწავლა ძრიელ უჭირდებათ. მაგრამ მეტი რა გზა აქვსთ. სწავლა სწარმოებს გაველურებულის წესებით, უწესოდ და უგვა-როდ. მასწავლებლად მოლები არიან. სწავლისთვის დრო მათში არ არის განსაზღვრული, სკოლაში როცა და ვისაცკი მოუნდება მაშინ შევა. მოკლედ რომ ითქვას რაც წესები რსმალეთის ქართველთ შორის არსებობს, იგივე იქ ყოფილა ამათში. ეხლა ყოლა მუსეინ ანიკაშვილი და ყოლა ამრეზ ხუციშვილი მეცადონეობენ და ჩვენებური სკოლის წესებს სწავლობენ, რომ მერე იქ მათ ეს წესები შეიტანონ და სპარსელ ქართველთ სკოლის საქმეები ჩვენებურად მორთონ, შიგ ქართული სახელმძღვანელო წეგნების სწავლება დაიწყონ, ქართულის წიგნებით გამოსწურთნონ თვისი მოძმენი.

თუ ეს ასე არა, უამისოდ ვიტყვით და კიდევაც გვითქვამს, რომ ქართველ სპარსელთ ქართველად სტენება და საუბარი უბრალო იქმნება. მართალია აქამდის შეინახეს ქართული ენა და ქართველად სთვლიან თავს, მაგრამ ეს არ კმარა, მათ უნდა შეისწავლონ ქართული ენა, საქართველოს ისტორია, სამშობლო მწერლობა, ნამეტურ მათი გადასახლების ისტორია და ყველა ის ტანჯვა-წამება რაც მათ გამოუვლიად ქართველ სპარსელებთ შორის როგორც მამაკაცებში, ისევე დედაკაცებში, ზოგი რამ ქართული სახელები დღემ-

დეც დაშთენილი, მაგალითებრ: თამარი, გულო, ჯეირანა (დარეჯანი) მარიამი, ასო, ისო, სესე. ბოლგრა და სხვა. მამაკაცთ შორის: როსტომი, კოლა, ბერი, თეიმურაზ, ფერიდან (ფრიდონ) გივი, მუსა, მერაბ, ხოსროვა, ასკანდარ და სხვანი: ამ ქალთა და კაცთა სახელებს სპარსენი სრულებით არ არქმევენ თავიანთ ხალხს, ეს მარტო ქართველებშიც დაშთენილი ჩვეულებათ. სპარსელ მამაკაცთა და დედაკაცებს თავიანთ სახელების დაფარვის ნატვრა იმ ისტორიულის ტრფიალების ხსოვნითაც აქვსთ, რომ მათ ახსოესთ თავიანთი ძველ მამა—პაპათა ვინაობის ვითარება, იკიან ისიც კარგად, რომ მათი ძველები საქართველოდამ ჩაურეკიათ იქ სპარსელებს ფეხით და ამას გარდა დიდათაც უტანჯავთ და უწვალებიათ, მათ წვალებას ფასი არ ჰქონია და ის სწორედ ასეთ წვალებულ მამა—პაპათა სახელების ზოგი მაინც ჩვენც მოვალენი ვართ რომ შევიჩახოთ და არ დავივიწყოთ. ასეთ საქმეთა არ დავიწყებას ქალნი, თუ კაცნი დიდის მორიცებით და თავაზით ეპყრობიან, ამაში იგინი ხელვენ თავიანთ ზნებრივ ვალს.

სამწუხაოოდ სპარსელ ქართველ კაცთა სახე შესცვლიად, ტიპზედ ბუნებას თავის აღგილ—მდებარეობითი გავლენა მოუხდენია, იგინი გარდაუქმნია სახით იმოდენად, რომ დღეინდელი სპარსელ ქართველნი უფრო სპარსელებს ჰგვანან, იგინი გირჩევიან მხოლოდ ქართული ენის ხმარებით, მამა კაცებს დღემდე შერჩენიათ ქართული ტანთიაც მელი, ხოლო ეს ტანთ საცმელი ძველი ქართულია და არა აწინდებური, ძველებური მოკლე კაბები, ქულაჯები, ჩოხები და სხვანი მათში იხილვება დღემდე, ნაბდის ქუდები კი გადასცვლიათ სპარსულს ქუდებზედ, ჩუსტები, ქალამნები მათში დღესაც იციან. ტანთ-საცმელს გარდა სხვაც ბევრი. რამ ძველებური ნივთებია მათში დაცული, ბევრიცი შეცვლილა. როგორც კაცთა შორის, ისევე ქართველ სპარსთა ქალებშიაც ბევრი რამ ნიშნებია ქართველობის დაშთენილი, ხოლო

ტანთ საცმელიკი შესცვლიათ, ტანთ საცმელი როგორც
ამბობენ სპარსული, ანუ თათრულიად სცმიათ პირბადეკი არ
ხურებიათ, ამით იგინი სპარსთა ქალებისაგან დიდათ განირ-
ჩევიან. ლაპარაკი, მითქმა-მოთქმა და ყოველივე ასეთნი მათ
აქვთ იმ სახით, როგორც ეს მათ წინაპრებს აქვნდათ საქარ-
თველოდამ გადასახლების დროს სპარსეთში.

ქალთა და კაცთა შორის, ზემო ხსენებულ ჩვეულებათ
გარდა ბევრიც სხვა რამ ძველებურ ქართულ გარდმოცემანია
თურმე დაცული, ბევრს რამეს ძველებურს ამბებს იტყვიან
და თან დაუმატებენ, რომ „ამას ჩვენი ძველ შაშა—პაპანი ასე
იტეჭდნენ“ ასეთის ამბების მოყვანა როგორც კაცებში,
ისევე ქალებშიაც ერთობ მრავლად სცოდნიათ. ბევრს ლხი-
ნსა, სადღესასწაულო საქმეებში და ჭირშიც იციან ქარ-
თული ჩვეულების მოგონება და გახსენებათ. ნამეცურ
ქორწილში ბევრს მოიგონებენ ქართულსაო.

დღემდე ქართველ სპარსელებში თუ ქართული ენა კი-
დევ არსებობს საღმე, ეს არის მიზეზი ქართველ სპარსელ
ქალებისა, რომელთაც დედეულთაგან მძიმელ იცავდენ ქარ-
თულ ენასაო. ამას გარდა მათში ბევრი ძველებური ექიმობა
და ქართული შელოცვებიც ყოფილა დაშთენილი. პურის
გამოცხობის დროს, გუნდებს ჯვარს უკეთებენ, მოიგონებენ
აღდგომას, ამაღლებას, ვარდის-ფენობას და სხვა ასეთს დღე-
ებს. ქართველ ქალნი დღეის შემდეგაც კარგა ხანს შეინახ-
ვენ ქართულ ენას, რაღვანაც თავიანთ პატარებს აკვანზედვე
დამლერიან ქართულ ნანას. ნანას თქმა მათში აღრე თურმე
ლექსათაც ღცოდენ, მაგრამ სადღეისოდ იქ გალეჭილი ნა-
ნების თქმა სუსტად იციან. უფრო სიტყვების გაბმით მოუ-
თხრობენ პატარა ფრეოდან ელ ქართველებს.

ხვნა, თესვა, მკა, ლეწვა და სხვა ამ გვარნი, მთელი სამეუ-
რნეო და საოჯახო საქმენი სპარსელ ქართველთ ქართულიდ
ჰქონიათ. სამეურნეო იარაღის სახელებიც სულ ქართული
სახელებით არის დღემდე დაშთენილი, ხმარებაც ისევე იციან

როგორც ეს მათ ძველებს კახეთში სცოდნიათ. ჩვენებურთ „ონჩახარის“ მსგავსი მათაც სცოდნიათ, კალოობას თურმე ვინც ხელ მოკლე არიან იმათ გაკითხვაც სცოდნიათ. ამით თურმე ქართველ სპარსელნი განთქმულნი არიან, თუმცა მათ ცუდი აღგილები უკავიათ, მაგრამ იგინი მაინც ლარიბთათვის არას იშურვებენ და ვისაც რით შეუძლიან მით ეხმარებიან ხელ-მოკლეთ, რაისა გამო მათში ესენი მძლავრად არც არიან დაჩაგრულნი.

დრო ხვნა-თესვის, აღება, გალეწვაც ისეთსავე წესებით იციან როგორც საქართველოში. ხოლოდ ჩე თავთავის დროის კვალად, რადგანაც დრო იქ სხვა და-სხვა ნაირია და არა ჩვენებური, დღემდე ყოველ სამუშაო იარაღს და საქმიანობას ძველებური ქართული ნაშან წყალი სცხიაო.

ჭამა-სმა და საქმელების კეთებაც ქართულად ჰქონიათ, ესენი ბევრს ისეთ საქმელებს ხმარობენ რაც სპარსთა სულ არა აქვსთ. უზმება, მიწის ფლობის პირობებიც ამათ კარგად ჰქონიად, ამათში თითქმის მამულის საერთო მფლობელობა ყოფილა დაცული, ჩვენებურად, ეს როგორც ადრე კახეთსა და ჭიზიუში არხებობდა, ასეთი მიწის ფლობის წესები სპარსელებს თურმე სრულებით არა აქვსთ, ამ წესების შესახებ ერთხელ ვრცლად გვიაპნეს, მასში ბევრი ისეთი უცხო ძველებური ქართული საერთო წესებია დაცული, რაც ლირს, რომ იგი კარგის მკოდნესაგან იქმნეს გაცნობილი და აწერილი, ეს წესები კარგად ალაპარაკა მიხეილ ვახ. მაჩაბელმა, ცნობილმა ქართველ მრღვაწემ და ამ საქმის მეტრფემ.

ქართველები სახლების კეთებასაც კარგად მისდევენ, ამათი სახლები ბევრად გაირჩევა სპარსელთა სახლებისაგან, სპარსელნი სულ ლრმა მიწურ სორებში სცხოვრობენ და ქართველნიკი ჩვენებურ კახურად გაკეთებულ სახლებში. ქართველთა კეთება ისე იქება და იდიდება სპარსეთში, როს სპარსელთ ამისთვის საკუთარი სახელიც უწოდებით „გურჯა ფუშ“. სახელების კარგად კეთებას ესენი ძველად-განვე კარგად შესდგომიან. ამიტომ თურმე მათშა მოიპოვე.

ბა ბევრი ისეთი ძველი სახლები დღესაც მკვიდრად მდგარი, სადაც ხალხიც სცხოვრობენ, ა'ეთ ძველ სახლებზედ იტყვიან თურმე ქართველნი, რომ ეს სახლები ჩვენს ძველებს მაშინ გაუკეთებიათ, როცა იგინი შაჰ-აბაზს საქართველოდაშ აქ მოუყვანიათ.

მაუწყეს, რომ ძველის საფლავის ქვებზე დაც ძრიელ ხშირად მოიხსენებიან ქართველნიო. ზოგს ქვის წაწერა მოწმობს ასეთ მიცვალებულის შესახებო — „ადე ერთი და გადმოხედე თუ ქართველები როგორ არიან, როგორ სცხოვრობენ“ მოხუცებულნი ასეთ ამბებს გულ ჩათხრობილნი მოუთხრობენ ახალ-გაზიდებს იგინი სწუხან დიდათ და შაჰ-აბაზის წყევლაც იციან ხშირად თვის აყრის და იქ გადასახლების გამო.

ერთი საყურადღებო ცნობა მოჰყავს ვლ. აღნიაშვილს თავის წიგნში, ამაზედ ჩვენც ვიტყვით რამეს. ფრეოდანის ქართველ სპარსელთ გვერდით სცხოვრობენ თურმე სომეხნიც, ქრისტიანები, რომელთაც საყდარში და ისეც კარში, პირჯვარს ქართულად იწერენ და არა სომხურად, ეს გარემოება ვალნიაშვილს აფიქჩებინებს, რომ იქნება ეს სომეხი ქართვლობიდამ არიან სომხობაზედ გადასულიო. ამას ეჭვიარუნდა, მასვე ასაბუთებს თვით ამისგანვე მოყვანილი მეორე ცნობა ქართველის თავადის აგინაშვილის შესახებ, რომელიც სპარსეთში ყოფილი 1830 წლებს, იქ ამას სომხის ქალი შეურთავს ცოლად, შვილები სომხურად დაუნათლავს და დღეს ესენი ხაგინიანად იწოდებიან და თავიც სომხად მიაჩნიად.

მზეზი ამისი ის გახლდათ, რომ სპარსეთში აღრე არ იყო ქართული ეკლესია. მეორე სპარსთა მთავრობა სომხებს სჯულის გამო არც სდევნიდა, არ ათათჩებდა უეჭველია ქართველიც ამ სჯულს მიეკედლებოდა, იგი ქრისტიანობით დაშთებიდა კიდეც ხელ შეუხებელი. სპარსთა მთავრობა ასევე არ სდევნიდა კათოლიკის საჩრიუნოებას მაღარებლთ, მარტინ ქართველებს ატანდა ძალას სჯულის გამოცვლის გაშო, ძალიანაც შეიძლება, რომ ქართველს ხალხსაც ქრისტიანობიდამ ისლამზედ

გადასელა მორიდებოდა, ამიტომ იგი სახეს შეიცვლიდა, სოჭნის, ან კეთილიკობას შეუერთებოდა და მით იგი ქრისტიანობით დაშთებოდა, ფიქრი არ უნდა რომ ასეთი მაგალითები ხშირად მოხდებოდა მათში და ბევრი ქართველი გადავიდოდა ადვილად მათს სჯულზედ. ჩვენ ეს ჰაზრები სხვაგანაც გვაქვს ნათქვამი, ამიტომ აქ ესეც კმარა. ნახეთ ამაზედ ჩემი წიგნი „ქართველი გრიგორიანები.“ გამოცემა 1906 წ. თფილისი.

1800 წლების შეედეგ, სპარსეთში ქართველთა მისვლა-მოსვლა სრულიად შევწყვიტეთ. ვინც იქ ქართველნი სცხოვრებლენ ხსენებულ დროს გადასულნი, იმათაც დროის განმავლობის წყალობით განვლენ სოფელი და მათის მოსპობით მოისპო ქორთველთა კვალი სპარსეთში. ერთი მაგალითზე იყო ვლადიმერ ალნიაშვილის და მეორე ქართველებში კარგად ცნობილის ილია ზარაფიშვილის, სოფლის უწესოებისაგან დევნილმა სპარსეთში ირჩია წასვლა და იქაურს ქართველებზედ შორიდამ მაინც გადახედვა. ამის წერილები სპარსეთიდამ 1906-1907 წ. „ცნობის ფურცელსა და „ისარშიაც“ მრავლად იბეჭდებოდა. დღეის შემდეგ უეჭველია ქართველნი ხშირად მიმოიხილვენ სპარსეთს და მის საშუალებით სპარსელ ქართველთა ცხოვრებასაც ზომიერს სინათლეს მიჰყენენ.

თვით ცნობიერება ქართველებში საკმარისად იდგად ფეხს. სპარსელ ქართველთა მოსვლას საქართველოში ქართველებმა კარგის ისტორიულის თვალით შეხედეს. თფილისის თავადაზნაურთა კრებამ 600 მ. გადასდო სპარსელ ქართველებში სკოლის გასახსნელად, ასევე ქუთაისის თავად აზნაურთა კრებამ და ჭიათურის შავი-ქვის სამრეწველო საბჭომ 1500 მ. ამით გადაქარბეს მათ თავიანთ ზნეობრის ვალს, ყველა ეს ცხად საბუთს გვაძლევს ვითიქროთ რომ დღეის შემდეგ სპარსელ ქართველთ გაღვიძების და განახლების ზარიც დაირეკტება, ახალ ცხოვრების ულელში შეებმენ, ახლა მათი ვალია, რომ თავიანთი შვილები საქართველოში მრავლად და ხშირად გამოგზავნონ სასწავლებლად, რაღვანაც მათსა და ჩვენს შორის გზა გაიხსნა, ხიდი გაკეთდა და ამ ხიდის ბურჯებათ ლნდა ჩაითვალონ ყოლა მუსეინ ონიკაშვილი და ყოლა ამრეზ ხუციშვილი.

944.922
4551



II თაუმანთვის ქუჩა, სახლი № 30.

ბ. ჭიჭინაძე.

ფასი 20 რაპ.

სპარსელ ქართველთათვის დაიბეჭდება შემდეგი წიგნები:

1. ქართველთ უმიგრაცია და შაპ-აბაზის შემოსევა.
2. მოგზაურობა ქართველ სპარსელებისა სპარსეთიდამ სა-
ქართველომდე.
3. ისტორია სპარსელ ქართველებისა და მათი მოსპობის.
4. სპარსეთში წამებული ქართველები.
5. ყოლა მუსეინ თნიკაშვილი და ყოლა ამრეზ ხუცი
შვილი.
6. შაპ-აბაზის შემოსევა დ. კარეჭაშვილისა.
7. სპარსელ ქართველები ი. ცინცაძისა.